

ISSN 2233-3606

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია  
GEORGIAN ACADEMY OF BUSINESS SCIENCES

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

**მოამბე**  
**XXVIII**  
**MOAMBE**

SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE

თბილისი 2017 TBILISI

**„მოამბე“ გამომცემის 1995 წლიდან  
„MOAMBE“ IS PUBLISHED SINCE 1995**

**სტატიები მიიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით**

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, AcadNusx-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის 1.5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა 2.5 და 2.5 სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG ფორმატში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.
  2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კოორდინატები (ტელეფონები, ელ-ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში
  3. სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე. მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად AcadNusx-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12, სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.
  4. სტატია შეიძლება გამოქვეყნდეს ინგლისურ, რუსულ, გერმანულ ენებზეც. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი მოთხოვნაა რეზიუმე მოგვანოდოთ ქართულ და ინგლისურ ენებზე.
- სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს: ჟურნალის ერთი გვერდი 6 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება 5 ლარი.

ელ.ფოსტა [moambe95@mail.ru](mailto:moambe95@mail.ru); [temur.babunashvili@mail.ru](mailto:temur.babunashvili@mail.ru);  
ტელეფონები: 231 14 75; 231 18 50; 593 239 958  
ვებ-გვერდი: [www.sbma.ge](http://www.sbma.ge)

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of AcadNusx font 12, interval between lines – 1.5; borders in right and left side – 3 and 2 sm. Also, up and down borders – 2,5 and 2,5 sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEG. The minimal size of article is Spages of A4 format.
  2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEG.
  3. The article must have reziume in Georgian and English languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in AcadNusx and in Times New Roman, size of font – 12. Scientific article must have list of used literature.
  4. The article may be published in English, Russian, German languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian and English languagues too.
- The price of article's publication is one page of Journal 6 Gel (lari). And author will pay tjis price after getting positive respond. Also, the price of Journal is 5 GEL (lari).

**E-mail: [moambe95@mail.ru](mailto:moambe95@mail.ru); [temur.babunashvili@mail.ru](mailto:temur.babunashvili@mail.ru);**

**Tel: 231 14 75; 231 18 50; 593 239 958**

[www.sbma.ge](http://www.sbma.ge)

**საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია დაფუძნდა 1995 წლის 23 მარტს. აკადემია საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციის ბაზარა 1995 წლის 9 აპრილს, რეგისტრაციის სერტიფიკატის №1982**

THE GEORGIAN ACADEMY OF BUZINESS SCIENCES WAS ESTABLISHED ON MARCH 23, 1995. THE ACADEMY WAS REGISTERED ON APRIL 9, 1995 BY MINISTRY OF GEORGIA (CERTIFICATE #1982)

**„მოამბე“**  
**საერთაშორისო რეჟირირებადი და რეცენზირებადი**  
**სამეცნიერო ჟურნალი, №28, 2017 წელი**

**თეიმურაზ ბაბუნაშვილი**- *მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ქ. თბილისის საპატრიო მოქალაქე.*

**სარედაქციო კოლეგია**  
**მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები**

აბესაძე რამაზი, აბრალავა ანზორი, ასათიანი როზა, ბაბუნაშვილი გიორგი, ბაბუნაშვილი ანზორი, ბაკაშვილი ნიკოლოზი, ბარათაშვილი ევგენი, ბერიძე თეიმურაზი, გვალია ნარგიზი, გომოხია რევაზი, გველესიანი მერაბი, გეგანი პაპი, დანელია თამაზი, დათაშვილი ვახტანგი, ელიაშვილი ლია, ივანიშვილი მარინა, კუჭუბუკი თამაზი, კურტიანი დავითი, კუჭუბუკი რომანი, კვარაცხელი ვახა, კვარაცხელი ალექსანდრე, კობახიძე თამაზი, ლაბარაძე გულთაზი, ლომიძე პარმენი, ლომიძე გივი, ლეკაშვილი ეკა, მალაშვილი გიორგი, მამუკაშვილი ელგუჯა, ნადირაშვილი ბაიონი, ნარმანი დავითი, ნადარაია ნუბარა, პაპიაშვილი ნუბარა, რეკვიანიშვილი მიხეილ, სილაგაძე ავთანდილი (საქ. ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი), შარვაშიძე მინდია, ქარაძე ლეონი, ქვიციანიშვილი მარინა, ყიფიანი გელა, ყუფიაშვილი გურამი, ყორღანაშვილი ლარისა, შენგელია თეიმურაზი, შენგელია რევაზი, ჩხეიძე ნიკო, ჭითანაშვილი ნოდარი, ჭუმბურიძე მამია, ხაბუაძე ნოდარი, ხარაბაძე ელენე, ხელაშვილი იოსები, ჯავახიშვილი რევაზი, მამუკაშვილი ფიშული (აზერბაიჯანის რესპუბლიკა), მელნიკი ტატიანა (უკრაინა), სერძანიანი ნაიკი (სომხეთი), ალირზაევი ალი (აზერბაიჯანის რესპუბლიკა), ბორჯღოვი ტატიანა (ბელორუსია), ალუხანოვი ესპერანო (ყაზახეთის რესპუბლიკა), ზაქარაიანი ირა (ესტონეთი), ვაშაძე ნატალია (უკრაინა), მიხაილ ვარძილა (სლოვაკეთი).

**„MOAMBE“**  
**QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC MAGAZINE,**  
**PRECISED AND REVIEWED №28, 2017**

**TEIMURAZ BABUNASVILI- Editor-in-Chief and Head of Editorial Board,**  
**Doktor of Ekonomik Science, President of**  
**Georgian Academy of Business Science,**  
**Honored citizen of Tbilisi**

**EDEDITORIAL BOARD**  
**Doctors of science, Professors**

**ABESADZE RAMAZI, ABRALAVA ANZORI, ASATIANI ROZETA, BABUNASHVILI GIORGI, BABUKHADIA ANZORI, BAKASHVILI NIKOLOZI, BARATASHVILI EVGENI, BERIDZE TEIMURAZI, GVALIA NARGIZI, GOGOKHIA REVAZI, GVELESIANI MERABI, GECHBAIA BADRI, DATASHVILI VAXTANGI, DANELIA TAMAZI, ELIAVIA LIA, IZORIA MARINA, KUNCHULIA TAMAZI, KURTANIDZE DAVITI, KUCHUKHIDZE ROMANI, KVALIASHVILI VAJA, KVASHILAVA ALEKSANDRE, KOBALIDZE TAMAZI, LABARTKHAVA GULTAZI, LEMONJAVA PARMENI, LOBJANIDZE GIVI, LEKASHVILI EKA, MALAKHSHIA GIORGI, MEQVABISHVILI ELGUJA, NADIRASHVILI GAIOZI, NARMANIA DAVITI, NADARIA NUGZARI, PAICHADZE NUGZARI, ROKETLISHVILI MIKHEILI, SILAGADZE AVTANDILI (Member of Georgian national Academy of Science), UGREKHELIDZE MINDIA, KHARCHAVA LOIDI, KHESHELASHVILI OMARI, KHIFIANI GELA, KHUFUNIA GURAMI, KHORGHANASHVILI LARISA, SHENGELIA TEIMURAZI, SHENGELIA REVAZI, CHIXLADZE NIKO, CHITANAVA NODARI, CHUMBURIDZE MAMIA, XADURI NODARI, KHARABADZE ELENE, KHELASHVILI IOSEBI, JAVAKHISHVILI REVAZI, MAMEDOVI PHIZULI (AZERBAIDJAN), MELNIKI TATIANA (UKRAINE), SERKHAIANI NAIKI (ARMENIA), ALIRZAEVI ALI (AZERBAIDJAN), BORZDOVA TATIANA (BELORUSIA), ALUXANOVI ESBERGI (KAZAKHSTAN), ZALENIENI INGA (ESTONIA), VDOVENKO NATALIA (UKRAINA), VARCHOLA MICHAL (SLOVAKIA).**

# შინაარსი

|   |           |
|---|-----------|
| <b>1. ჯემალ ჯანაშია</b> .....   | <b>7</b>  |
| ნარკომანიის და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის სამართლებრივი და ეკონომიკური პრობლემების შედარებითი ანალიზი |           |
| <b>2. ლუარა გვაჯია</b> .....  | <b>13</b> |
| ფირმის ინოვაციური გარემოს მართვა  |           |
| <b>3. ჯემალ კვინიკაძე</b> .....   | <b>17</b> |
| ინოვაციების მარკეტინგი  |           |
| <b>4. ჯიმშერ სირაქე, დავით ტურქელაქე, მაყვალა მჭედლიძე</b> .....  | <b>22</b> |
| მაღალსიხშირული ელექტროფიცირებადი ინსტრუმენტის კვლევის შედეგები  |           |
| <b>5. მანანა მჭედლიშვილი</b> .....  | <b>25</b> |
| ორბანიზაციებში პერსონალის ერთგულება, როგორც არამატერიალური აქტივი                                       |           |
| <b>6. ვენერა გოგავა</b> .....   | <b>28</b> |
| ბრძოლა საქართველოსთვის დღესაც გრძელდება   |           |
| <b>7. МЕДЕА МЧЕДЛИДЗЕ</b> .....   | <b>38</b> |
| ВЛИЯНИЕ ИЗМЕНЕНИЙ ОКРУЖАЮЩЕЙ СРЕДЫ НА ЗДОРОВЬЕ ЧЕЛОВЕКА   |           |
| <b>8. თამარ გუკია-ვერულაშვილი</b> .....   | <b>41</b> |
| ეკოლოგიური ტურიზმის თავისებურებანი  |           |
| <b>9. МАРИНА ИЗОРИЯ</b> .....   | <b>52</b> |
| ПОЛИТИКА США НА БЛИЖНЕМ ВОСТОКЕ И ПРИЗНАНИЕ ИЕРУСАЛИМА СТОЛИЦЕЙ ИЗРАИЛЯ                                 |           |
| <b>10. მამია ჭუმბურიძე, გიორგი ჭუმბურიძე</b> .....  | <b>56</b> |
| დომინირებული ფირმების ქცევის შესახებ დარგობრივ გაზარზე  |           |
| <b>11. თეიმურაზ გაბუნაშვილი, თამაზ დანელია</b> .....  | <b>64</b> |
| ადამიანური რესურსების არსის სწორი გაგებისათვის  |           |
| <b>12. სოფიკო ნულუკიძე</b> .....  | <b>67</b> |
| ფინანსური ბაზრის კონცენტრაციის დონე საქართველოში  |           |
| <b>13. თამილა არნანია-კეკელაძე</b> .....  | <b>72</b> |
| ინსტიტუტი: ტერმინის განუსაზღვრელობის გენეზისი (ნაწილი II: ჩვილობის პერიოდი: გერმანული ისტორიული სკოლა)  |           |
| <b>14. ნინო შოშიტაშვილი, ხათუნა კაჭარავა</b> .....  | <b>78</b> |
| მასმედია და საზოგადოება   |           |

# CONTENTS

|  |           |
|--|-----------|
| <b>1. JEMAL JANASHIA</b> .....   | <b>7</b>  |
| Comparative Analysis of Legal and Economic Problems of Illicit Drug Abuse and Illicit Turnover |           |
| <b>2. LUARA GVAJAIA</b> .....  | <b>13</b> |
| Innovative Management of the Firm  |           |
| <b>3. JEMAL KVINIKADZE</b> .....   | <b>17</b> |
| Innovative Marketing   |           |
| <b>4. JIMSHER SIRADZE, DAVIT TURDZELADZE, MAKVALA MCHEDLIDZE</b> .....                         | <b>22</b> |
| High-frequency Electrified Instrument Survey Results   |           |
| <b>5. MANANA MCHEDLISHVILI</b> .....   | <b>25</b> |
| Commitment of Staff in Organizations as an Intangible Asset                                    |           |
| <b>6. VENERA GOGAVA</b> .....  | <b>28</b> |
| The Fight Continues to Georgia Today   |           |
| <b>7. MEDEA MCHEDLIDZE</b> .....   | <b>38</b> |
| Influence of Environmental Changes on Human Health   |           |
| <b>8. TAMAR BUKIA-VERULAHVILI</b> .....  | <b>41</b> |
| Ecological Tourism Peculiarities   |           |
| <b>9. MARINA IZORIA</b> .....  | <b>52</b> |
| US policy in the Middle East and Recognition of Jerusalem as the Capital of Israel             |           |
| <b>10. MAMIA CHUMBURIDZE, GIORGI CHUMBURIDZE</b> .....   | <b>56</b> |
| On the Behavior of Dominant Firms on Commodity and Field Markets                               |           |
| <b>11. TEIMURAZ BABUNASHVILI, TAMAZ DANELIA</b> .....  | <b>64</b> |
| To Understand the Essence of Human Resources   |           |
| <b>12. SOFIKO TSULUKIDZE</b> .....   | <b>67</b> |
| Level of Financial Market Concentration in Georgia   |           |
| <b>13. TAMILA ARNANIA-KEPULADZE</b> .....  | <b>72</b> |
| Institute: Genetics of Term Definition (Part II: Infant period: German Historical School)      |           |
| <b>14. NINO SHOSHITASHVILI, KHATUNA KACHARAVA</b> .....  | <b>78</b> |
| Massmedia and Society  |           |

# ნარკომანიის და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის სამართლებრივი და ეკონომიკური პრობლემების შედარებითი ანალიზი

## ჯემალ ჯანაშია იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნარკომანია და ნარკოტიკები უკანონო ბრუნვის პრობლემა უაღრესად გამწვავებულია საქართველოში და ხასიათდება მუდმივი ზრდის ტენდენციით. ქვეყანაში და რეგიონში მიმდინარე გარდაქმნებმა, გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელმა ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა, სოციალურმა და სხვა სახის სიძნელებმა ახალი ბიძგი მისცა ქვეყანაში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის მასშტაბების ჩქარი ტემპებით ზრდას და ამ ფონზე ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარების მატეზას<sup>1</sup>.

ამ მოსაზრებას სტატისტიკური მონაცემებიც ადასტურებს. ჩატარებული კვლევები გვიჩვენებს, რომ ინექციური ნარკოტიკების რეგულარული მომხმარებლების რაოდენობა 2009 წელს შეადგენდა 40 000-ს, 2012 წელს იგი გაუტოლდა 45 000-ს, ხოლო 2015 წელს ამ მაჩვენებელმა საქართველოში 50 000-ს მიაღწია<sup>2</sup>. პრევალენტობა ჩატარებულ კვლევებს შორის საშუალოდ 1,65%-ს შეადგენს.

ევროპის ნარკოტიკებისა და ნარკომანიის მონიტორინგის ცენტრის (EMCDDA) მიხედვით ევროპის ქვეყნებში ინტრავენურ ნარკომანთა რიცხვი ასეთია: ბელგიაში-5 125, ჩეხეთის რესპუბლიკაში-37 200, დანიაში-12 754, საბერძნეთში-9 439, კვიპროსში-275, ლუქსემბურგში-1 483, უნგრეთში-5 699, ნიდერლანდებში-2 390, სლოვაკეთში-18 841, დიდ ბრიტანეთში-133 112, ხორვატიაში-2 490, ნორვეგიაში-10 320. ამერიკის შეერთებულ შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2013-2014 წლების ანგარიშის

მიხედვით, ჩვენ მეზობელ აზერბაიჯანში ინტრავენურად (ინექციურად) ნარკოტიკებს 25 800 პირი მოიხმარს, ხოლო სომხეთში 120, სადაც ხელისუფლება თვლის, რომ ნარკომანია სომხეთისათვის არ წარმოადგენს სოციალურ პრობლემას<sup>3</sup>.

1. ჯ. ჯანაშია. XXI საუკუნის გამოწვევა. თბილისი, 2002წ. გვ. 111  
2. თ. სირბილაძე. ნარკოლოგიური კლინიკა "ბემონის" მთავარი კონსულტანტი-ნარკოლოგი. ნარკოვითარება საქართველოში-უახლოესი სოციოლოგიური კვლევების შედეგების პრეზენტაცია. უნივერსიტეტთაშორისი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 2014წ. გვ. 36.  
3. გ. ლეჟავა. ნარკოტიკების მოხმარების და გავრცელების სანინალმდეგო ღონისძიებათა მსოფლიო გამოცდილების ანალიტიკური მიმოხილვა. უნივერსიტეტთაშორისი საერთა-

შემამფოთებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევების პირველადი მონაცემები, რომლის მიხედვით საქართველო 15-დან 64 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში ინექციური ნარკოტიკების მოხმარების გავრცელების დონით, შესწავლილ 220 ქვეყანას შორის მესამე ადგილზეა. ჩვენზე წინ მხოლოდ რუსეთის ფედერაციაა<sup>4</sup>.

ვფიქრობთ სიტუაცია საკმაოდ ნათელია, მაგრამ იბადება კანონზომიერი კითხვა, რატომ არის სახელდობრ საქართველოში ასეთი მძიმე ნარკო სიტუაცია, რა არის ამის გამომწვევი მიზეზები და რა ზომები უნდა მიიღოს სახელმწიფომ მდგომარეობის გამოსწორებად?

როდესაც მიზეზებზე ვმსჯელობთ, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის და ნარკომანიის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მრავალწლიანმა პრაქტიკულმა და თეორიულმა მოღვაწეობამ და მსოფლიოს წამყვან ცენტრებში მიღებულმა გამოცდილებამ ერთმნიშვნელოვნად დამარწმუნა, რომ მრავალი წლების განმავლობაში ნარკოტიკების პრობლემებთან არაადეკვატურმა მოქმედებამ, ნარკობიზნესთან ბრძოლის მსოფლიო სისტემიდან თვითიზოლაციამ კომუნისტურ რეჟიმგამოვლილი ქვეყნები მძიმე სიტუაციაში ჩააგდო. აი რას ამბობს ცნობილი ჩეხი ექსპერტი პაველ ბემი ამის შესახებ: „პოსტკომუნისტურ სივრცეში იზიარებდნენ

იმ იდეოლოგიას, რომ ნარკოტიკების არალეგალური გავრცელება და ტრანსპორტირება დამახასიათებელი იყო მხოლოდ კაპიტალისტური საზოგადოებისათვის. ასეთმა იდეოლოგიამ გამოიწვია ის, რომ ამ ქვეყნების პოლიცია, ჯანმრთელობის სფერო, ფინანსური წრეები ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლაში მოუშადადებლნი აღმოჩნდნენ. წინა მთავრობების დროს გარკვეულ სოციალურ საკითხებზე შეგნებულად ხუჭავდნენ თვალს და მათ პრობლემად არ აღიქვამდნენ. ნარკოტიკების ბოროტად გამოყენება ასეთ შორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 2014წ. გვ. 31  
4 UNODC, World Drug Report 2017, Vienna 2017. (გამოქვეყნების თარიღი 26 ივნისი, 2017წ.)

პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება. ახლა, როცა თავისუფალ საბაზრო სისტემას ვეცნობით, ვხედავთ თუ რაოდენ გამოუცდელი ვართ ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების და ტრანსპორტირების წინააღმდეგ ბრძოლაში.<sup>1</sup>

აი რას წერს საქართველოს ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი (1977-1986) წლებში გურამ გვეტაძე თავის წიგნში „გენერლის მოგონებათა ზარდახშა“: „... ერთ-ერთ საკავშირო თათბირზე (მოსკოვში), რესპუბლიკის ხელმძღვანელობის დავალებით წამოვჭერი ეს პრობლემა და დავაყენე საკითხი ამ მავნე მოვლენასთან ბრძოლის კოორდინაციაზე საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან, რაზეც ყოფილმა საკავშირო მინისტრმა ნ. შროლოკოვმა გალიზიანებით მესროლა რეპლიკა, რომ საბჭოთა კავშირისათვის ეს არ არის პრობლემა.“<sup>2</sup>

ეს არის ყოფილ პოსტსაბჭოთა სივრცეში ნარკოტიკების პრობლემებისადმი მიდგომის კლასიკური მაგალითი. თუმცა მას შემდეგ, რაც ნარკოტიკების მოხმარების მასშტაბები საგანგაშო გახდა მიდგომა შეიცვალა, მაგრამ იგი დავაყენებული აღმოჩნდა. ამ ქვეყნებში ჩამოყალიბდა ნარკოტიკული საშუალებებით და ფსიქოტროპული ნივთიერებებით უკანონო ვაჭრობის შიდა ეროვნული და საერთაშორისო კავშირები, ნარკოტიკები მთელი სიმწვავით შეიჭრა ამ ქვეყნების აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებში და მრავალი პრობლემა შეუქმნა ამ სახელწიფოთა გარდამავალი პერიოდის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სისტემებში მიმდინარე რეფორმებს.

ჩვენ ზოგადად შევხებით ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების მოთხოვნის პრობლემებს, რაც მისი პრევენციის პრობლემატიკას უკავშირდება. იგი ძალზედ მნიშვნელოვანი რთული, მრავალნახნაგოვანი კომპლექსური პრობლემაა, რომელიც ამ სტატიის კვლევის საგანს არ წარმოადგენს.

ახლა შევხებით ნარკოტიკულ საშუალებებთან და ფსიქოტროპულ ნივთიერებებთან დაკავშირებულ ურთულეს საკითხს. ეს არის მათი უკანონო მიწოდების პრობლემა. აქ დგება საკითხი, მიუხედავად გატარებული მრავალმხრივი ღონისძიებებისა და დახარჯული კოლოსალური თანხებისა, რატომ ვერ

შესძლო მსოფლიო თანამეგობრობამ საერთაშორისო ნარკო-ბიზნესის წინააღმდეგ გამარჯვება? პასუხი ერთია. ნარკოტიკული საშუალებებით და ფსიქოტროპული ნივთიერებებით უკანონო ვაჭრობას უდიდესი მოგებები მოაქვს. ასე მაგალითად 1 გრ. ბამბის ან სანვავის მამრავლი (ფასზრდა პლანტაციიდან ან საბადოდან მომხმარებლამდე მზა პროდუქციის სახით) 40-50 შეადგენს, ხოლო 1 გრ. ჰეროინის ან კოკაინის ფხვნილის მამრავლი (ფასზრდა პლანტაციიდან მომხმარებლამდე შესაბამისად (688-1600)-ს შეადგენს. სწორედ ეს უდიდესი მოგებები უდევს საფუძვლად საერთაშორისო ნარკოტიკული დანაშაულებრივი ორგანიზაციების სიძლიერეს. საკითხში მეტი სიცხადის შესატანად ნარკოტიკების მსოფლიო ისტორიას მივმართოთ.

გამაბრუებლებით ვაჭრობას გასული საუკუნის 30-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში მშრალი კანონის გაუქმების შემდგომ ეტაპს მოყვა. ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებები, რომელთაც ამერიკის კონტინენტზე ალკოჰოლის კონტრაბანდის მწყობრი სისტემა ააწყვეს უსაქმოდ დარჩნენ. მათი დანაშაულებრივი ვექტორები აღარ მუშაობდა. მაგრამ მათ ამერიკული ბაზრის დასაპყრობად ახალი მეთოდი-საშუალება ნარკოტიკები გამოიხატეს. ასე ჩაისახა ნარკო-მაფიის თანამედროვე ტიპი. ამ მაფიურმა ორგანიზაციებმა შესაშური უნარი გამოიჩინე, ფულის მოსაგებად მრავალ კომპრომისზე წავიდნენ და ერთმანეთს შორის წარმოებულ ტოტალურ ომებს გაუძლეს. მიუხედავად რელიგიური, რასობრივი და ტერიტორიული წინააღმდეგობებისა, საჭირო შემთხვევებში გაერთიანდნენ კიდევაც და ამას გაცილებით სწრაფად და ხარისხიანად აკეთებდნენ, ვიდრე მსოფლიო სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენლები.

დიდმა ნოგებებმა განაპირობა, რომ ორგანიზაციის მოთავიდან რიგით შემსრულებლამდე ყველა თავისი საქმისადმი ფანატიკური ერთგულებით გამოირჩეოდა. ასეთი ერთგულება, ასევე თავის მხრივ, იარაღსა და სი სასტიკეზე იყო დაფუძნებული. სულ მალე მათ უკან დიდი ფინანსები, პოლიტიკური ძალა გაჩნდა, რაც უმთავრესია, სამართალდამცავ სისტემებში და სასამართლო ხელისუფლებაშიც მოიპოვეს გავლენა<sup>3</sup>.

1 Pavel Bem, Chief doctor at the Centre of Drug Addict Cure in Prague. Speech to the Conference on drug Abuse in Paris April 18 1991

2 .g.vetaZe. generlis mogonebaTa zardaxSa. Tbilisi. 2012w. gamomcemloba „damani“ gv.118

3 ჯ.ჯანაშია. XXI საუკუნის გამონკვევა, მეხუთე ნაწილი. ნარკოტიკები და მაფია. თბილისი 2002 წ. გვ.322



დღენიადაგ უნდა გვახსოვდეს, რომ ნარკოტიკების მიწოდების წინააღმდეგ ბრძოლა მრავალმხრივი კომპლექსური პრობლემაა და ამ ბრძოლაში ყურადღების მცირედი მოდუნებაც კი მძიმე შედეგების მომტანია რადგან საერთაშორისო ნარკობიზნესი დინამიურად პასუხობს გარემო პროცესებზე და მუდმივად ეძებს აზიიდან ევროპაში ნარკოტიკების უკანონო ტრანსპორტირების უმოკლეს და ნაკლებად კონტროლირებად გზებს.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია რომ, დღეს საქართველო მყარად ფიგურირებს ნარკოტიკების გეოპოლიტიკურ რუკაზე, როგორც სატრანზიტო ქვეყანა, ხოლო დასავლეთის სპეცსამსახურები უკვე მერამდენედ აფიქსირებენ ჩვენი ტერიტორიების და პორტების საშუალებით ნარკოტიკების დიდი პარტიების ტრანსპორტირებას.

დღეს საქართველოში ნარკოტიკების გავრცელება და უკანონო ტრანსპორტირება რამოდენიმე მარშრუტითაა შესაძლებელი:

**ჩრდილოეთის მარშრუტი 1** - ჩრდილოეთ ოსეთიდან, საქართველოს სამხედრო გზის გავლით სტეფანწმინდა-დუშეთი-მცხეთა, შემდეგ თბილისი ან დასავლეთ საქართველო-ფოთი, შემდეგ შესაძლებელია თურქეთი ან ევროპა. ეს მარშრუტი დღეს ყველაზე ეფექტურად კონტროლირდება და აქედან ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ტრანსპორტირების ფაქტებითი შემთხვევის არ დაფიქსირებულა;

**ჩრდილოეთის მარშრუტი 2** - ჩრდილოეთ ოსეთიდან, როკის გვირაბის გავლით, შესაძლებელია ნარკოტიკების თბილისისაკენ ან დასავლეთ საქართველოს მიმართულებით ტრანსპორტირება. ეს მარშრუტი პრობლემურია, რადგან ე.წ. „პირობითი საზღვარი“, ფაქტიურად უკონტროლოა, ხოლო რუს სამხედროებს სიტუაციის მიხედვით ნებისმიერ ტვირთის გატარება შეუძლიათ. შესაძლებელია ძველი დანაშაულებრივი კავშირების გამოყენებით იგივე გზით ტვირთი დასავლეთ საქართველოს ნაცვლად შეიძლება ახალციხისკენ „ვალეს“ საკონტროლო გამშვები პუნქტის მიმართულებით წავიდეს.

**სომხური ვექტორი** - ირანი-სომხეთი-საქართველო, შემდეგ შესაძლებელია შავი ზღვის პორტებით ან ხმელეთით თურქეთის ან ევროპის მიმართულებით უკანონო ტვირთის ტრანსპორტირება. სწორედ სომხური ვექტორი გააქტიურდა ბოლო პერიოდში, რომლის საშუალებით 117 კგ. კოკაინი, სატვირთო მანქანის ორმაგი სახურავის სა-

შუალებით მიჰქონდათ სამხრეთ საქართველოს მიმართულებით. ტვირთი ქართველმა მებაჟეებმა 2015 წელს „ვალეს საბაჟო გამშვებ პუნქტზე დააკავეს“.

**აზერბაიჯანული ვექტორი** - ირანი-აზერბაიჯანი-საქართველოს ტერიტორიით საზღვაო, პორტებით ან ხმელთით უკანონო ტვირთი შეიძლება ევროპაში ან თურქეთში მოხვდეს.

**აფხაზური ვექტორი** - აფხაზეთიდან სამეგრელოს ტერიტორიაზე გავლით უკანონო ნარკოტიკები (ბოლო პერიოდში განსაკუთრებით მარისხუნა) ვრცელდება თბილისში (აღმოსავლეთ საქართველო), ხოლო აფხაზეთის პორტებიდან უკანონო ნარკოტიკების ტრანსპორტირება თურქული პორტების მიმართულებითაა შესაძლებელი<sup>1</sup>.

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის მასშტაბების და შესაძლო მოგებების შესახებ ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის აზერბაიჯანული ვექტორით განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების გადაზიდვის ფაქტი.

სასამართლოს გადაწყვეტილების მასალები მიუთითებს, რომ თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქემ ნური კურნაზიმ 2014 წელს საქართველოში დაარეგისტრირა შპს „GEORGIAN SPEED“, რომლის მეშვეობით იმავე წლის ივნისის თვეში ირანიდან აზერბაიჯანში შემდეგ კი საქართველოში გადმოვიდა 600 ცალი პლასტმასის ბიდონში მოთავსებული კანის დასაბანი საშუალება სითხის სახით. ავტომანქანის მძღოლად განერილ იქნა საქართველოს მოქალაქე გიორგი სიდამონიძე. ტვირთი ქ. ბათუმში მიიღო თურქეთის მოქალაქემ შეფიქ თემი ოგლუმ მასზე რეგისტრირებული შპს-ს სახელით „DENI TATLI“. იმავე წლის ივნისის თვეში აღნიშნულმა დანაშაულებრივმა ჯგუფმა ამ კანის დასაბანი სითხის წარმოშობის ადგილად ახლა უკვე საქართველო, ბათუმი მიუთითა, ხოლო ტვირთის ახალ მიმართულებად უკვე მოლდავეთის რესპუბლიკა იყო მითითებული. ტვირთი ტრანსპორტირებისას ბათუმში სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტზე დააკავეს. სატვირთო მანქანაში აღმოაჩინეს კუსტარულად ლაბორატორიაში მიღებული ნარკოტიკული საშუალება 2555.5 ლიტრი ჰეროინის, მორფინის და კოდეინის სთხე.

თუ ექსპერტული გამოკვლევების დონეზე ვიმსჯელებთ აღნიშნული რაოდენობის ნარ-

<sup>1</sup> ჯ.ჯანაშია. XXI საუკუნის გამოწვევა. თბილისი. 2002 წ. გვ.284.

კოტიკული ნივთიერებების შემცველი სითხე-დან შეიძლება მიღებულიყო 1500-1600 კგ. კრისტალური სახის ნარკოტიკი ჰეროინი, რომლის საბაზრო ღირებულება შეადგენს: 180-200 მილიონ აშშ დოლარს.

ერთი გრამი კოკაინის და ჰეროინის ფასები ევროპაში

ქვემოთ იხილეთ ცხრილი 1.



ვიქრობ, რომ ადამიანების ჯგუფმა, რომლებიც აყალიბებენ საქართველოში ნარკოპოლიტიკას და მისი მოთხოვნების პრაქტიკაში განხორციელებას, ყოველი გადაწყვეტილება უნდა მიიღონ ქართული

მდებლო ცვლილებების შესახებ. მეცნიერ და პრაქტიკოს მუშაკთა დიდი ნაწილი, რომელიც გამოხატავს მოსახლეობის უმეტესი ნაწილის აზრს თვლის, რომ კარდინალური ცვლილებები მოქმედ კანონმდებლობაში შეიძლება ნაჩქარევი აღმოჩნდეს. მეორე შედარებით მცირე ნაწილი თვლის, რომ დადგა დრო, რომ ამ სფეროში ლიბერალური საკანონმდებლო ცვლილებების გატარებისა, კერძოდ მათ შემოაქვთ საკანონმდებლო ინიციატივა ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისათვის გაუქმდეს არა მარტო სისხლის, არამედ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობაც, ე.ი გაუქმდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლები.

ამავე ჯგუფის „მეორე ფრთა“ უფრო შორს წავიდა. ისინი ითხოვენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლის „ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება“ გაუქმებას, შემდგომში ლიცენზიების გაცემას და საქართველოში მარიხუანას დათესვა-კულტივაციას, ბიზნესისა და სამედიცინო მოხმარების თვალსაზრისით<sup>1</sup>.

ეხლა განვიხილოთ ეს პრობლემა ეკონომიკური თვალსაზრისით. ნარკოტიკების არასამედიცინო მიზნებით მოხმარების ან მისი მცირე ოდენობით შენახვისათვის სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაუქმების შემთხვევაში ნარკოტიკების მსოფლიო ისტორიიდან გამომდინარე აუცილებლად მივიღებთ მომხმარებელთა მკვეთრ ზრდას, რაც გამოიწვევს მოთხოვნის გაზრდას. სახელმწიფო ვალდებული იქნება შეიმუშავოს ნარკოტიკების მოხმარების კონტროლის მექანიზმები, რაც ძვირადღირებული პროცესია, ასევე ჩამოაყალიბოს ნარკოტიკების მიწოდების სისტემა-ქსელი, შემოიტანოს საზღვარგარეთიდან ან თვით აწარმოოს იგი.

ასეთ შემთხვევაში ჩნდება ახალი თავსატეხი პრობლემა. როგორ და რა ფასად უნდა



სახელმწიფოს ისტორიაზე, კულტურულ წარსულზე, მის ტრადიციებზე დაყრდნობით და ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით. ჩვენ ამ სფეროში ბრმად ვერ გავიზიარებთ იმ ქვეყნების გამოცდილება, სადაც ხშირად ნარკოტიკი მათი ისტორიის და ეკონომიკის განუყოფელი ნაწილი იყო.

ყოველივე ეს განსაკუთრებით საგულისხმოა, იმ ფონზე, როდესაც დღეს საქართველოში მიმდინარეობს მსჯელობა ნარკოტიკული დანაშაულის სფეროში სერიოზული საკანონ-

<sup>1</sup> ჯ.ჯანაშია. საქართველოში ნარკომანიასთან და ნარკოტიკულ დანაშაულთან ბრძოლის სისხლის სამართლის პოლიტიკის შედარებითი ანალიზი. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი იურისტი N2. თბილისი 2017წ. გვ. 66-79

გაიყიდოს ნარკოტიკული საშუალებები?. თუ გასაყიდი ფასი კანონიერ ბაზარზე ბევრად მაღალი იქნება, რა თქმა უნდა, მომხმარებელი არაკანონიერ - შავ ბაზარს მიმართავს. ასეთი მდგომარეობა შექმნილია ბე-ვრ ქვეყანაში, თამბაქოსთან დაკავშირებით, სადაც კონტრაბანდული სიგარეტი თანაარსებობს სიგარეტის კანონიერ ბაზართან იგივე მოვლენას ჰქონდა ადგილი ოპიუმის ნედლეულთან დაკავშირებით მსოფლიოს სხვადასხვა სივრცეში. მაგალითად დიდი ბრიტანეთი და ნიდერლანდები მართვის სახელმწიფო სტრუქტურების საშუალებით პირველი და მეორე მსოფლიო ომებს შორის დროის მონაკვეთში ოპიუმს მაღალი მოგების მიზნით მაღალ ფასებში ყიდდნენ, ხოლო მის გვერდზე არსებობდა შავი ბაზარი, რომელიც ნარკოტიკს გაცილებით დაბალ ფასში ყიდდა.

მაგრამ თუ სახელმწიფო ორგანო თავის ფასს არალეგალური ბაზრის ფასზე დაახლოვანებს-დაიყვანს, მაშინ ვაჭრებს არაფრად უღირთ თავიანთი ფასები შეცვალონ, რადგან ამ სფეროში მოგება მათ ფართო მოქმედების საშუალებას აძლევს. ნაკლებად სარწმუნოა ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ორგანო ვითომდა საკამაოდ დაბალ ფასად ფასს დაანებს და, რათა ვაჭრებს ვერ შესძლებოდათ ნარკოტიკის მაღალ ფასში გაყიდვა. გასათვალისწინებელია, რომ ფასების ასეთი შემცირებით სახელმწიფომ შეიძლება მომხმარებელთა მკვეთრი მატება გამოიწვიოს.

მოსაზრება იმის შესახებ, რომ შავი ბაზრის გაუქმებით ნარკოტიკის ფა-სი დაიწვეს, უტოპიაა! ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ქვეყანა ერთდროულად დაიკავებს ამ პოზიციას მთელ მსოფლიოში. ეს კი შეუძლებელია, რადგამ ამ დროს მოქმედებს ცნობილი ფორმულა, არის მოთხოვნა, არის მაზარი. საქართველოში კი დღევანდელი ნაჩქარევი რეფორმის საფუძველზე შეიძლება მივიღოთ ნარკოტიკების წარმოების შიდა ბაზარი.

#### **ნარკოტიკები+დეკრიმინალიზაცია=ბაზარს**

ჩვენ ვიცი თუ როგორ ცდილობს გაერთიანებული ერები ორგანიზაცია ნარკოტიკებით მდიდარ სახრელმწიფოებში ე.წ. ჩანაცვლების პროგრამების განხორციელებას სახელდობრ შეცვალოს კოკას ბუჩქის, ოპიუმის პლანტაციების და მარიხუანას ნათესები სხვა კულტურული მცენარეებით ხორბალით, კარტოფილით, სხვადასხვა ბალჩეულის კულტურებით მაგ-რამ შედეგი არ ჩანს, რა-

ტომ? ამის შესახებ საუბარი გვექონდა სტატიის დასაწყისში, რომ მცენარეული სახის სამი ოჯახის ნარკოტიკებს უდიდესი მოგებები მოაქვს და ეკონომიურად სუსტი ქვეყნების მოსახლეობისათვის იგი თავის რჩენის და ფიზიკური გადარჩენის საშუალება გახდა. ასე შეიჭრა იგი ამ ხალხების ყოფა ცხოვრებაში და მათი კულტურის და ისტორიის შემადგენელი გახდა.

ამის ფონზე მაშფოთებს ნარკოტიკული საშუალებების არასამედიცინო დანიშნულებით გამოყენების და მცენარეული ნარკოტიკების უკანონო ნათესების შესახებ უპასუხისმგებლო გამონათქვამები და მოწოდებები, რომელიც მეტად სახიფათოა ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

აი რას ამბობს ამერიკის შეერთებული შტატების ნარკოტიკებთან ბრძოლის ადმინისტრაციის ერთ-ერთი ხემძღვანელი ჯონ ჰეისლიპი, "ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი ნარკომანიის ეპიდემიისა არის მოწოდებები ნარკოტიკებისა და მისი მოხმარების ლეგალიზების შესახებ, და როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, უმეტეს სახელმწიფოთა ხელისუფალნი არაადეკვატურნი არიან ასეთი წამოწყებების მიმართ, რაც აშკარად ჩანს ნარკოტიკების გავრცელების მსოფლიო ისტორიის შესწავლიდან".

საკითხის კვლევისას მკაცრად ჩამომიყალიბდა მოსაზრება, იმის შესახებ, რომ არ შეიძლება საქართველოში ნაჩქარევად საკითხის ყოველმხრივ შესწავლის გარეშე ნარკოტიკების სფეროში დავნერგოთ იმ ქვეყნების გამოცდილება, რომელთაც საუკუნეების განმავლობაში შეხება ჰქონდათ ნარკოტიკების წარმოებასთან, მოხმარებასა და ტრანსპორტირებასთან და იგი მათი ისტორიის, კულტურის და ეკონომიკის შემადგენელი იყო.

ლეგალიზება ეს არის პოლიტიკოსებისა და ინტელექტუალების გარკვეული ნაწილის მცდელობა სოციალური, სამედიცინო, კრიმინოგენური და სხვა პრობლემების გადანყვეტისა გრძელვადიანი, შრომატევადი ღონისძიებების გვერდის ავლით, რაც ჩვენი საზოგადოებისათვის, კერძოდ მისი ახალგაზრდობისათვის უალრესად სახიფათოა.

სახელმწიფო ვერ გაექცევა ვალდებულებებს თავისი მოქალაქეების წინაშე. თუ მის-

1 Нормативная конференция стран Содружества Независимых Государств по правоохранительной борьбе и контролю над наркотиками и химическими веществами. Отчет конференции. Вступление Дж. Хейслипа: Мега-тенденции. Зальцбург. Вена. Австрия. 11-14 октября, 1994г.

ვის ძნელია ყველა საშუალებით აღკვეთოს ნარკოტიკების მოხმარება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საკითხის გასამართლებლად მისი მოხმარება დაუშვას. პირიქით იგი უნდა წა-

ვიდეს იმავე ძნელი გზით და სრულყოს თავისი საქმიანობა ნარკოტიკების მოთხოვნის და მიწოდების სფეროში.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

- 1.ჯ.ჯანაშია. XXI საუკუნის გამოწვევა. თბილისი, 2002წ.
- 2.თ. სირბილაძე. ნარკოლოგიური კლინიკა“ ბემონის“ მთავარი კონსულტანტი-ნარკოლოგი. ნარკოვიტარება საქართველოში-უახლოესი სოციოლოგიური კვლევების შედეგების პრეზენტაცია. უნივერსიტეტთაშორისი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 2014წ.
- 3.გ.ლეჟავა. ნარკოტიკების მოხმარების და გავრცელების სანინალმდეგო ღონისძიებათა მსოფლიო გამოცდილების ანალიტიკური მიმოხილვა. უნივერსიტეტთაშორისი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 2014წ.
- 4.UNODC, World Drug Report 2017, Vienna 2017. (გამოქვეყნების თარიღი 26 ივნისი, 2017წ.)
- 5.Pavel Bem, Chief doctor at the Centre of Drug Addict Cure in Prague. Speech to the Conference on drug Abuse in Paris April 18 1991.
- 6..გ.გვეტაძე. გენერლის მოგონებათა ზარდახშა. თბილისი. 2012წ. გამომცემლობა „დამანი“
- 7..ჯ.ჯანაშია. XXI საუკუნის გამოწვევა, მეხუთე ნაწილი. ნარკოტიკები და მაფია. თბილისი 2002 წ..
- 8.ჯ.ჯანაშია. XXI საუკუნის გამოწვევა. თბილისი. 2002 წ.
- 9.ჯ.ჯანაშია. საქართველოში ნარკომანიასთან და ნაკოტიკულ დანაშაულთან ბრძოლის სისხლის სამართლის პოლიტიკის შედარებითი ანალიზი. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი იურისტი 2. თბილისი 2017წ.
10. Нормативная конференция стран Содружества Независимых Государств по правоохранительной борьбе и контролю над наркотиками и химическими веществами. Отчет конференции. Виступление Дж. Хейслипа: Мега-тенденции. Зальцбург. Вена. Австрия. 11-14 октября, 1994г.

# ფირმის ინოვაციური გარემოს მართვა

## ლუარა გვაჯაია სტუ ბიზნესტექნოლოგიების პროფესორი

**საკვანძო სიტყვები:** ფირმა, საწარმო, ინოვაციური გარემო, შიდა გარემო, საგარეო გარემო, მართვა, მენეჯერი, ტექნოლოგიები, ეკონომიკა, კონკურენტები, პარტნიორები, ფაქტორები, საწარმოო კადრები, მეცნიერებატექნოლოგია.

ინოვაციური სამეწარმეო გარემო შეიძლება განვმარტოთ როგორც განსაზღვრული სოციალურ-ეკონომიკური, ორგანიზაციულ-სამართლებრივი და პოლიტიკური გარემო, როელიც უზრუნველყოფს (ან აფერხებს) ორგანიზაციაში ინოვაციური საქმიანობის განვითარებას. იგი შეიძლება გაიყოს ორ ნაწილად: შიდა და საგარეო გარემოდ.

შიდა გარემო - აქტიური სუბიექტებისა და იმ ძალების ერთობლიობაა, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ფირმის შესაძლებლობებზე მიზნობრივ კლიენტებთან წარმატებული თანამშრომლობის დამყარებისა და შენარჩუნებისათვის. შიდა გარემო წარმოადგენს ძალებით, რომელთაც აქვთ უშუალო ურთიერთობები ფირმასთან და მის შესაძლებლობებთან. ეს ძალებია: საწარმოო გარემო, მმართველობითი გარემო და საქმიანობის ეკონომიკური შედეგები.

საწარმოო გარემო ითვალისწინებს საწარმოს სტრატეგიას, წარმოების ტექნოლოგიას, პროდუქციას, საწარმოს კადრებს, ნედლეულსა და მასალებს, ტექნოლოგიურ დანადგარებს, წარმოების ორგანიზაციის მეთოდებს, მარკეტინგს და სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს. მმართველობით გარემოს განსაზღვრავს: მართვის სტრუქტურა, ფუნქცია, მმართველობითი კადრები, ინფორმაციული ნაკადები, მართვის პროცესები და მმართველობითი გადაწყვეტილებები, მართვის მეთოდები და ილეთები, მართვის ტექნიკური საშუალებები.

საგარეო გარემო - მეურნე სუბიექტებისა და იმ მამოძრავებელი ძალების ერთობლიობაა, რომლებიც გავლენას ახდენენ ინოვაციურ საქმიანობაზე არა პირდაპირ და უშუალოდ, არამედ მაკროგარემოს ელემენტების საშუალებით. ამ შემთხვევაში საგარეო გარემოს ფორმირებაში მონაწილე ფაქტორე-

ბი იყოფა პირდაპირი და არაპირდაპირი (ირიბი) ზემოქმედების ფაქტორებად. პირდაპირი ზემოქმედების ფაქტორებს მიეკუთვნება: სახელმწიფო რეგულირებასთან დაკავშირებული კანონები და ნორმატიული აქტები, ნედლეულის და მასალების, დანადგარების, ენერჯის, მაკომპლექტებელი მასალების მომწოდებლები, კონკურენტები, როგორც არსებული, ისე პოტენციური, სავაჭრო, საფინანსო, სატრანსპორტო და სხვა ტიპის შუამავალი ორგანიზაციები. არაპირდაპირი ზემოქმედების ფაქტორებია: ქვეყანაში ეკონომიკის არსებული მდგომარეობა, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, პოლიტიკური, დემოგრაფიული, ბუნებრივი და კულტურული ფაქტორები.

საგარეო გარემოს მართვის პროცესში წარმოიშობა მთელი რიგი პრობლემები, როგორცაა: სირთულე (რთული სიტუაცია), დინამიურობა, განუსაზღვრელობა და ურთიერთდაკავშირება. სირთულის ქვეშ იგულისხმება ფაქტორები, რაზედაც საწარმო ვალდებულია საჩქაროდ გააკეთოს რეაგირება, რათა თავისი თავი შეინარჩუნოს; დინამიურობაში იგულისხმება გარემოს ცვლილების მიმდინარეობის სიჩქარე; განუსაზღვრელობა დამოკიდებულია ინფორმაციის რაოდენობასა და სიზუსტეზე, რომელიც გააჩნია საწარმოს კონკრეტული საგარეო გარემოს შესახებ; ურთიერთდაკავშირება - ეს იმ ძალის დონეა, რომლითაც ერთი ფაქტორის ცვლილება ზემოქმედებას ახდენს საგარეო გარემოს დანარჩენ ფაქტორებზე.

ინოვაციური ფირმის მართვა ხორციელდება გარემოში, რომელიც შედგება მრავალი ელემენტისაგან, ესენია: 1 - ბაზარი - თავისი წინადადებებით და მოთხოვნებით, 2 - აქციონერები - დივიდენდების მიღებისა და საკუთრების რეალიზაციის ინტერესებით; 3 - მთავრობა საგადასახადო და საკანონმდებლო მოთხოვნებით; 4 - პარტნიორები, რომელთა მიმართ ორგანიზაციას გააჩნია ვალდებულებები; 5-ტექნოლოგიების, დანადგარების, პროდუქციის ხარისხისადმი, შემსრულებელთა განათლების დონისადმი მოთხოვნების ცვალებადობა; 6-კონკურენტების საქმიანობა; 7 - ეკონომიკური კრიზისის შედეგები და

სხვა. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ გარემო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფირმის საქმიანობაზე და განსაზღვრავს კონკრეტულ მოთხოვნებს მისდამი.

საგარეო გარემო არ შეიძლება იყოს მუდმივი, ზოგი პარამეტრი ჩქარა იცვლება, ზოგი კი უფრო ნელა. ამიტომ მენეჯერს უნდა შეეძლოს ამ პარამეტრების განსაზღვრა და გათვალისწინება. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზაციის უნარს, შეეგუოს ახალ სიტუაციებს და იმოქმედოს შეცვლილი პირობების შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში დიდ როლს ასრულებენ კომპეტენტური, სხვადასხვა ორგანიზაციაში ნამუშევარი დიდი გამოცდილების მქონე სპეციალისტები, რომელთაც გააჩნიათ ცოდნა და უნარი ახალი ცვლილებების შესაბამისად მუშაობის გარდაქმნისა.

ფირმის მენეჯერები, რამდენადაც ძლიერები და გამოცდილები არ იყვნენ, თუ კი არ გაითვალისწინებენ საგარეო გარემოს ცვლილებებს და დროულად არ შეცვლიან თავიანთ მიდგომებს და პოზიციებს, უსათუოდ წააგებენ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მომუშავე კონკურენტებთან. ამიტომ აუცილებელია მენეჯმენტმა უზრუნველყოს ორგანიზაციის მართვა საგარეო გარემოსთან მუდმივად ურთიერთქმედებაში.

საწარმოს ინოვაციურ საქმიანობაზე მოქმედ შინაგან ფაქტორებს მიეკუთვნება:

- წარმოების მეცნიერებატევადობა და კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო ქვედანაყოფების, ექსპერიმენტული წარმოებების არსებობა;
- მისაღები დამატებითი ღირებულების მოცულობა;
- საწარმოო ციკლის ხანგრძლივობა;
- მიმოქცევის ციკლის ხანგრძლივობა;
- უწყვეტი წარმოებების არსებობა;
- სეზონურობის ფაქტორის გავლენა დარგის საწარმოო აქტივობაზე;
- წარმოების ენერგოტევადობა;
- წარმოების ტექნიკური დონე;
- პროდუქციის ხარისხის დონე;
- წარმოების დივერსიფიკაციის დონე დარგში;
- მუშაკთა კვალიფიკაციის დონე;
- სამომხმარებლო ბაზრის შესაბამისად მუშაობის დონე და სხვა.

მიუხედავად ინოვაციური პროცესების ორგანიზაციის კონკრეტული ფორმების მრავალსახეობისა, გამოყოფენ ფაქტორების ჯგუფს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფირ-

მის ინოვაციური საქმიანობის ფორმირებაზე. აღნიშნული ფაქტორები ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ 1 ცხრილში.

საწარმოს ინოვაციურ საქმიანობაზე, გარდა ზემოთაღნიშნული შინაგანი ფაქტორებისა დიდ გავლენას ახდენენ რიგი საგარეო ფაქტორებისა, მათ შორის პირველ რიგში შეიძლება დასახელდეს კონკურენტები, რომელთა გავლენა საწარმოს განვითარებაზე სხვადასხვანაირია. ფირმის ხელმძღვანელობას ნათლად უნდა ესმოდეს, რომ თუ კი მისი პროდუქტი ვერ დააკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნებს ისე ეფექტიანად, როგორც ამას კონკურენტები აკეთებენ, მაშინ ასეთი საწარმო ბაზარზე დიდხანს ვერ დარჩება. ასევე ინოვაციურ საქმიანობაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ტექნოლოგიური სიახლეები, რომლებიც აჩქარებენ მომხმარებლისათვის საჭირო პროდუქციის ბაზარზე დროულად გაშვებას.

მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობა გავლენას ახდენს რესურსების ღირებულებაზე და მომხმარებლის მსყიდველობითუნარიანობაზე. ამა თუ იმ კონკრეტულმა ეკონომიკურმა ცვლილებამ შესაძლოა ერთეულ ფირმებზე მოახდინოს დადებითი ზეგავლენა, დანარჩენებზე კი - უარყოფითი.

სოციალური და კულტურული ფაქტორები, რომელთა რიცხვში წარბოხს ცხოვრებისეული საკითხები, ფასეულობები და ტრადიციები, გავლენას ახდენენ ადამიანების ფირმასთან დამოკიდებულებაზე, მათივე შრომის შედეგებზე.

ასევე პოლიტიკური მდგომარეობის ელემენტი განსაკუთრებული ინტერესის საგანია. ფირმისათვის, რომელიც ეწევა ინოვაციურ საქმიანობას სხვა ქვეყნებთან მიმართებაში, პოლიტიკური სტაბილურობის ფაქტორი ფრიად მნიშვნელოვანია.

ინოვაციური ფირმის ხელმძღვანელთათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთი ფაქტორები, როგორცაა, ქალაქის (რაიონის), ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციის დამოკიდებულება, საკანონმდებლო ორგანოების პოლიტიკა ინოვაციურ საქმიანობასთან მიმართებაში, რამდენადაც თითქმის ყველა ადგილობრივ ადმინისტრაციას შემოაქვს კონკრეტული წესები და მიდგომები ბიზნესთან მიმართებაში.

ცხრილი 1

| ფაქტორების ჯგუფი                   | საქმიანობაზე უარყოფითად მოქმედი ფაქტორები   | საქმიანობის ხელშემწყობი ფაქტორები  |
|------------------------------------|---|--|
| ეკონომიკური, ტექნოლოგიური          | საინვესტიციო პროექტის ფინანსირებისათვის სახსრების უქონლობა; სუსტი მატერიალური, სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის და მოძველებული ტექნოლოგიის არსებობა, სარეზერვო სიმძლავრეების არქონა.  | ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების, პროგრესული ტექნოლოგიების, აუცილებელი სამეურნეო და სა-მეცნიერო ინფრასტრუქტურის რეზერვის არსებობა  |
| პოლიტიკური, სამართლებრივი          | პოლიტიკური არასტაბილურობა; შეზღუდვები, წარმოქმნილი ანტი-მონოპოლიური, საგადასახადო, საამორტიზაციო, საპატენტო-სალიცენზიო კანონმდებლობის მხრიდან; კრიმინოგენური მდგომარეობა.   | საკანონმდებლო ღონისძიებები (შეღავათები) ინოვაციური საქმიანობის წახალისებისათვის, ინოვაციების სახელმწიფო მხარდაჭერა.  |
| ორგანიზაციულ-მმართველობითი         | ფუნქციონალურად ორიენტირებული ორგანიზაციული სტრუქტურები; მართვის ავტორიტარული სტილი; გადაჭარბებული ცენტრალიზაცია; ინფორმაციის ვერტიკალური ნაკადების სიჭარბე; უწყებრივი ჩაკეტილობა; დარგთა-შორისი და ორგანიზაციათაშორისი ურთიერთკავშირების სირთულე; ინოვაციური პროცესების მონაწილეთა ინტერესების შეთანხმების სირთულე. | პროცესულად ორიენტირებული ორგანიზაციული სტრუქტურები; მართვის დემოკრატიული სტილი; ინფორმაციის ჰორიზონტალური ნაკადების სიჭარბე; თვითდაგეგმვა; კორექტირებების დაშვება; დეცენტრალიზაცია, ავტონომია, მიზნობრივი, პრობლემური ჯგუფების ფორმირება; რეინჟინერინგი; ხარისხის მართვის სისტემის ორგანიზება საერთაშორისო სტანდარტების ISO-9000-ის გამოყენებით; ინოვაციური საქმიანობისათვის მატერიალური წახალისება. |
| სოციალურ-ფსიქოლოგიური და კულტურული | წინააღმდეგობა სიახლეებისადმი, ყოველივე ახლისადმი, რაც შემოდის გარედან.  | მორალური დაინტერესება; საზოგადოებრივი აღიარება; თვითრეალიზაციის შესაძლებლობის უზრუნველყოფა; ნორმალური შრომითი კლიმატი.   |

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ა. აბრალავა, ლ. გვაჯაია, რ. ქუთათელაძე. საინოვაციო მენეჯმენტი. სახელმძღვანელო. სტუ, 2015.
2. В. Г. Медынский. Инновационный менеджмент. Москва. 2008 г.
3. Основы инновационного менеджмента. Под редакцией П. Н. Завлина. 2000 г.

**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია ფირმის ინოვაციურ განვითარებასთან დაკავშირებული ინოვაციური გარემოს მართვის საკითხები. გაანალიზებულია როგორც შიდა, ისე საგარეო გარემოს არსი და მისი მნიშვნელობა ინოვაციური საწარმოს წარმატებული საქმიანობის მიღწევის საქმეში. ასევე განხილულია საწარმოს ინოვაციური საქმიანობის ფორმირებაზე მოქმედი შინაგანი და გარეგანი ფაქტორები, როგორცაა, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, პოლიტიკური, სამართლებრივი, ორგანიზაციულ-მმართველობითი, სოციალურ-ფსიქოლოგიური და სხვა ფაქტორები.

## **RESUME**

### **A MANAGEMENT OF COMPANY'S INNOVATION ENVIRONMENT**

LuaraGvajaia  
Professor of GTU

The article considers the problems of management of innovation environment that is related to company's innovational development. The essence of internal and external environment is analyzed and their significance for innovational company's successful activities is underlined. The article also considers internal and external factors that have impact on formation of company's innovational activities. Such factors are technologic, political, judicial, organizational, management, socio-psychological and so on.



# ინოვაციების მარკეტინგი

## ჯემალ კვინიკაძე

### სტუ ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტი

მარკეტინგი ბიზნესის თანამედროვე ფილოსოფიაა, რომელიც განსაზღვრავს ფირმის სტრატეგიასა და ტექნიკას კონკურენციის პირობებში და წარმოადგენს ბაზარზე ორიენტირებულ სანარმოო - გასაღებით საქმიანობას, იძლევა მაქსიმალური მოგების მიღების საშუალებას დროის ხანგრძლივ პერიოდში მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად.

მარკეტინგის მართვა ითვალისწინებს ღონისძიებების დაგეგმვას, ანალიზსა და კონტროლს, რომლებიც მიმართულია მიზნობრივ მომხმარებლებზე სასარგებლო გაცვლების დამყარების, გფართოებისა და განვითარებისაკენ, ორგანიზაციის განსაზღვრული ამოცანების მიღწევისათვის.

ინოვაციური სფეროს განვითარება მნიშვნელოვანნილადაა დაკავშირებული მეცნიერულ-ტექნიკურ ორგანიზაციებსა და ინოვაციურ ფირმებში მარკეტინგული კვლევების მიზანდასახულად განხორციელებასთან. განსაკუთრებით ნაკლებადაა გამოკვლეული მარკეტინგი ინოვაციების სფეროში, თუმცა საბაზრო ურთიერთობების პირობებში ახალი საქონელი, ტექნოლოგიები და მომსახურება კონკურენტული ბრძოლის მთავარი ინსტრუმენტებია. როგორც წესი, ახალი საქონელი, ტექნოლოგია ან მომსახურება მრავალწლიანი სამეცნიერო-ტექნიკური კვლევის შედეგი, რაზეც დიდი თანხები იხარჯება ინოვაციური ფირმის მიერ. შესაბამისად მისი ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა უნდა იყოს დასამუშავებელ საქონელთამარკეტინგული უზრუნველყოფა, რადგან ინოვაციების კომერციალიზაცია დიდ რისკთანაა დაკავშირებული.

#### ინოვაციების ბაზრის თავისებურებაა:

- ფირმისათვის სრულიად ახალი ბაზარი, რომელზეც მას არ უვაჭრია. საქმე აქვს უცნობ მყიდველებთან საქონლის სიახლეებიდან გამომდინარე;
- მოთხოვნის მცირე ელასტიურობა, ფასების პოლიტიკა შეზღუდულად ზემოქმედებს გასაღების მოცულობაზე;
- საკმაოდ ვიწრო ბაზარი;
- თავიდან შესაძლებელია კონკურენ-

ტები არ არსებობდნენ (ინტელექტუალური საკუთრების მონოპოლიიდან გამომდინარე).

ინოვაციურ ბაზარზე მარკეტინგის კვლევისას, საჭიროა გავერკვეთ ცნებებში: „ინოვაციური მარკეტინგი“ და „მარკეტინგი მეცნიერულ - ტექნიკურ სფეროში“. ეს უკანასკნელი ბაზარზე ინოვაციათა შექმნის, ფასწარმოქმნის, გავრცელებისა და დანინაურების ღონისძიებათა კომპლექსია, რაც ხორციელდება სანარმოს მიერ ინოვაციის კომერციალიზაციის დროს, და აგრეთვე მეცნიერულ - ტექნიკური საქმიანობის არამომგებიან სფეროებში, რომლებიც მიმართულია ფირმის მაქსიმალური უკუგების სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. ფირმის მიერ თეორიული სამეცნიერო - კვლევითი სამუშაოების შედეგებს ხშირად არ მოაქვს პირდაპირი კომერციული უკუგება, მაგრამ მათ აქვთ ბაზარზე ფირმის ეკონომიკური მდგომარეობისათვის მნიშვნელოვანი ირიბი ეფექტი.

ინოვაციური მარკეტინგი წარმოადგენს მარკეტინგულ ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც მიმართულია ფირმის მიერ დასამუშავებელი ახალი ნაწარმის, ტექნოლოგიის, მომსახურების წარმატებულ კომერციულ რეალიზაციაზე.

#### ინოვაციური მარკეტინგის თავისებურებებია:

- მეცნიერულ - ტექნიკური პროდუქციის დარგთაშორისი ხასიათის გათვალისწინება. მოცემული პრინციპი რეალიზდება კონკრეტული სიახლის რამდენიმე დარგში გამოყენების შესწავლის საფუძველზე;
- სამეცნიერო - ტექნიკური პროდუქციის გაყიდვისას მისი ორიენტირება გამოცდილ, ჯგუფურ მომხმარებელზე. ასეთი ტიპის პროდუქციის გაყიდვა მიმდინარეობს ხანგრძლივი და შრომატევადი მოლაპარაკებებით;
- მეცნიერულ-ტექნიკური პროდუქციის გაყიდვა საჭიროებს აუცილებელ რეკლამას. თუ მყიდველს დაწვრილებით არ განემარტა ინოვაციის არსი, იგი უბრალოდ არ შეიძენს მოცემულ საქონელს, ვინაიდან მას არ

იცნობს;

- სიახლის ტექნიკური სირთულე, როგორც წესი, მოითხოვს ფირმამწარმოებლის მიერ გაყიდვის შემდგომი სერვისის აუცილებელ განხორციელებას. სერვისი - ინოვაციური კომერციული წარმატების საწინდარია;

- მეცნიერულ-ტექნიკური პროდუქციის გასაღება დამოკიდებულია მომხმარებლის ინოვაციური პოტენციალის მოცულობასა და ხარისხზე. მრავალი ინოვაცია გასაღებას ვერ პოულობს გასაღების ბაზრების ტექნოლოგიურად ჩამორჩენის გამო.

ახალი საქონლის მახასიათებელი პარამეტრები რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს: *პირველი ჯგუფი* - ესაა ნორმატიული პარამეტრები, ანუ ის მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ განსხვავებულ ბაზარზე სიახლის რეალიზაციის პრინციპულ შესაძლებლობებს. საპატენტო სინმიხდე ნორმატიულ პარამეტრს წარმოადგენს. თუ სიახლე ბაზარზე ვინმეს საპატენტო უფლებებს არღვევს, იგი ვერ იქნება რაელიზებული. ნაწარმის პარამეტრების შესაბამისობა კონკრეტული ბაზრის სტანდარტებთან და ნორმებთან ასევე ნორმატიულ პარამეტრს წარმოადგენს. პარამეტრების *მეორე ჯგუფია* - ტექნიკური, მათ მიეკუთვნება საქონლის დანიშნულება, საიმედოობა, გრძელვადიანობა, ასევე ესთეტიკური და ერგონომიკული პარამეტრები. პარამეტრების *მესამე ჯგუფია* - ეკონომიკურობა, ანუ მოხმარების ფასი. სიახლის მიწოდების, მონტაჟის, აწყობის ღირებულება, გამოსაყენებელი ელექტროენერჯის ღირებულება და მომსახურე პერსონალის ანაზღაურება. მომხმარებლისათვის საინტერესო ყველა პარამეტრის შესახებ მონაცემები გროვდება მარკეტინგული კვლევის პროცესში.

ბაზრის პირობებში ფასწარმოქმნის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ფასი რეგულირდება არა დირექტიულად ზემოდან, არამედ თანაბარუფლებიანი საქონელმწარმოებელთა კონკურენციით, ე.ი. ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა, გადახდისუნარიანი მოთხოვნის მოცულობა, კონკურენტების რაოდენობა და წარმოების მოცულობა, კონკურენტების პროდუქციის ხარისხის დონე ფასი და სხვა.

მომხმარებელი ყიდულობს საქონელს იმისთვის, რომ გადაჭრას მის წინაშე მდგარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ამო-

ცანა. აქედან შეიძლება ფასწარმოქმნის ძირითადი პრინციპი გამოვიყენოთ: თუ პროდუქტებს ერთნაირი სამომხმარებლო თვისებები გააჩნიათ, მაშინ მათი ფასები ტოლი უნდა იყოს. ამ პრინციპის საფუძველზე იგება სწორედ ფასწარმოქმნის მრავალი მეთოდი.

სამეცნიერო დაწესებულებები და ინოვაციური ფირმები ბოლო დროს ცვლიან თავიანთ დამოკიდებულებას პროპაგანდის მეთოდებთან და პრესტიჟის რეკლამასთან. მეცნიერებისა და ინოვაციური სფეროს წარმატება შეუძლებელია საზოგადოებრივი გაგების გარეშე. სამეცნიერო ორგანიზაციებისა და ფირმების სულ უფრო მეტი რაოდენობა იჩენს დაინტერესებას ამ სამუშაოსადმი და იზიდავს ნიჭიერ ახალგაზრდა კადრებს ინოვაციურ სფეროში და ინვესტირებაში. რეკლამის ქვეშ იგულისხმება საქონლის, მომსახურების, იდეის წარმოადგენისა და დანიშნულების ნებისმიერი ფორმა, რომელიც ანაზღაურებადია ზუსტად მითითებული რეკლამის მიმცემის მიერ; გასაღების სტიმულირება კი - ეს არის ღონისძიება, რომელიც მოიცავს საქონლის ნიმუშების დარიგებას კომპლექსურად და ერთეული სახით.

მეცნიერებატევადი პროდუქციის სფეროში მომხმარებელთა კომუნიკაციის მთავარ ელემენტს წარმოადგენს გამოფენა-ბაზრობები, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინოვაციების კომერციალიზაციის საქმეში შემდეგი მიზეზების გამო;

- მათ ესწრებიან პროფესიონალები და დაინტერესებული პირები;

- არსებობს საშუალება საქონლის დემონსტრირების;

- გამოფენას ფართოდ აშუქებს პრესა;

- შეიძლება პირადი კონტაქტების დამყარება მეცნიერულ-ტექნიკური კორპორაციისა პარტნიორებთან და კლიენტებთან.

მეცნიერებატევადი პროდუქციის არსებითი თავისებურებაა გაყიდვის შემდგომი მომსახურება და სწორედ ეს წარმოადგენს მყიდველისათვის სტიმულს. ასეთ შემთხვევაში მთავარი ამოცანაა, რაც შეიძლება სწრაფად და საიმედოდ დამაგრდეს მყიდველი ინოვაციურ ფირმასთან (რემონტი, სათადარიგო ნაწილები, მოდიფიკაციის გაუმჯობესება), აქციოს იგი უბრალო მყიდველიდან მუდმივ კლიენტად.

მეცნიერებატევადი პროდუქციის

რეკლამირებისათვის საჭიროა შემდეგი კონკრეტული ამოცანების გადაჭრა:

- სიახლის შესახებ ინფორმაციის გავრცელება;
- საქონლის მოქმედების პრინციპების ახსნა;
- სპეციალისტების მოზიდვა;
- სერვისის შესახებ მონაცემების გავრცელება;
- სპონსორებისა და პარტნიორების თვალში რეპუტაციის შექმნა.

საწარმო-ტექნიკური დანიშნულების მეცნიერებატევადი პროდუქციის რეკლამირებისათვის უპირატესობა ენიჭება კომუნიკაციის შემდეგ არხებს: სპეციალიზირებული ჟურნალები, სპეციალიზირებული გამოფენა-ბაზრობები, პროექტების და კატალოგების გაგზავნა ფოსტით, ფირმის სავაჭრო აგენტების ვიზიტი კლიენტთა ფირმების შემსყიდველი სამსახურების ხელმძღვანელებთან.

პირადი მოხმარების მეცნიერებატევადი პროდუქციის რეკლამირებისათვის უფრო მისაღებია გასაღების შემდეგი არხები: გაზეთები და ჟურნალები, ტელევიზია, რადიო, რეკლამა გაყიდვის ადგილებზე.

ბაზარზე მარკეტინგული კვლევების წარმატების უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს ბაზრის მოთხოვნების შესწავლა ახლად შესამუშავებელ მეცნიერებატევად პროდუქტებზე.

პირველ ეტაპზე აუცილებელია ფირმის პროდუქციის, მარკეტინგული კვლევის მიზნის ფორმულირება. თავისი ხასიათით მარკეტინგული კვლევის მიზანი შეიძლება იყოს საძიებო, აღწერითი, ექსპერიმენტალური და კომპლექსური.

საძიებო კვლევები მოიცავს იმ მონაცემების შეგროვებას, რომლებიც დაეხმარება ჰიპოთეზის წამოყენებას ორგანიზაციის პრობლემის შესახებ.

აღწერითი კვლევების პროცესში გროვდება დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ეხება ფირმის ეკონომიკურ მდგომარეობაზე მოქმედ ფაქტორებს.

ექსპერიმენტალური კვლევები მოიცავს იმ ჰიპოთეზის შემოწმებას, რაც არსებობს ბაზრის პარამეტრებსა და ფირმის პროდუქციის პარამეტრებს შორის.

სიახლის მარკეტინგული კვლევების კონკრეტულ მიზნებს მიეკუთვნება:

- სიახლეზე რეაქციის შესწავლა;
- მოცემული პროდუქტის ბაზრის

ტევადობის განსაზღვრა (გადახდის უნარიანი მოთხოვნის სიდიდე);

- კონკურენტების საქონლისა და მომსახურების შესწავლა;
- სამომხმარებლო მოტივაციისა და რეკლამის საშუალებათა კვლევა;
- კვლევა წარმოებისა და ფირმის საწყობის განლაგების ოპტიმიზაციის მიზნით;
- საკუთარი პროდუქციის გასაღებისა და განაწილების არხების ანალიზი;
- გასაღების სტიმულირების სტრატეგიის შესწავლა;
- გასაღების საერთაშორისო ბაზრებზე გასვლის შესაძლებლობის გამოვლენა;
- საკანონმდებლო შეზღუდვების შესწავლა რეკლამის და სტიმულირების დარგში;
- საზოგადოებრივი ფასეულობებისა და სოციალური ორიენტაციის შესწავლა.

შემდეგ ეტაპზე ხდება მარკეტინგული კვლევის ჩატარებისათვის აუცილებელი ინფორმაციის წყაროების შერჩევა.

მეცნიერებატევადი პროდუქციის ბაზრის კვლევა თანამედროვე პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელია პირველადი ინფორმაციის შეგროვების გარეშე. რაოდენ სრულყოფილიც არ უნდა იყოს წარმოებიდან მიღებული მეორადი მონაცემები, ყოველ მარკეტინგულ კვლევაში ჩნდება კითხვები, რომელზეც პასუხის გაცემა შესაძლებელია პირველადი ინფორმაციის ორგანიზებისას. მაგალითად, მარკეტინგის სამსახურის მუშაკი აკვირდება მეცნიერულ-ტექნიკური სიახლეების რეალიზაციის პროცესს, მყიდველთა შენიშვნების, გამყიდველების წარმატებებისა და წარუმატებლობის დაფიქსირებით. დაკვირვება შეიძლება განხორციელდეს მომხმარებელთან სიახლის ექსპლოატაციის პროცესზე და ინფორმაცია გროვდება გამოკითხვის მეთოდითაც, როცა სპეციალური საშუალებების დახმარებით ან უშუალოდ გამოიკითხება პოტენციური მომხმარებელი. ანკეტა სწორედ უნდა იყოს შედგენილი და გამოსაკითხი აუდიტორიის ხასიათიდან და ეროვნული სპეციფიკიდან გამომდინარე, რესპოდენტი შესავსებ ანკეტაში უნდა ხედავდეს თავისი პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობას.

სიახლის ბაზრის კვლევა შეიძლება ინტერვიუების მეშვეობითაც. ინფორმაციის შეგროვების ამ სახის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ გამოკითხვისას

გადამწყვეტ მომენტს წარმოადგენს პირდაპირი ურთიერთქმედება ინტერვიუერსა და გამოსაკითხ პირს შორის. ისევე როგორც საანკეტო გამოკითხვისას, აქაც წინასწარ დგება კითხვარი, რომლის საფუძველზეც ტარდება ინტერვიუ.

შემდეგი ეტაპი მოიცავს პროდუქტის შესახებ შეგროვილი ინფორმაციის ანალიზს. ინფორმაცია უნდა დალაგდეს სისტემატიზირებულად და შეტანილ იქნას კომპიუტერის მეხსიერებაში. მონაცემების ზუსტი შეტანა და ოპერაციული განახლება შესაძლებლობას იძლევა განხორციელდეს სასაქონლო და საფირმო დინამიკის, ბაზრის მდგომარეობის მონიტორინგი. შეგროვილი ინფორმაცია მუშავდება სტატისტიკური და მათემატიკური მოდელებით, რაც ოპტიმალური მარკეტინგული გადაწყვეტილების მიღებას უწყობს ხელს. მარკეტოლოგს დიდ დახმარებას ინფორმაციის გადამუშავებაში უწევს ექსპერტული სისტემები. ექსპერტული სისტემა - ესაა სპეციალურად შემუშავებული კომპიუტერული პროგრამა, რომელიც ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის ანალიზის საშუალებას იძლევა მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების მიზნით. კომპიუტერის მეხსიერებაში საჭირო ინფორმაციის შეყვანისას მარკეტოლოგი ღებულს გარკვეულ რჩევარეკომენდაციას.

მარკეტინგული კვლევის დასკვნითი ეტაპია - შედეგების წარდგენა. ანგარიში უნდა შეიცავდეს ძირითად დასკვნებს, იყოს ლაკონური. შედეგები სასურველია თვალსაჩინო ფორმაში იქნეს წარდგენილი, რომ ფირმის ხელმძღვანელობისათვის უფრო მოსახერხებელი იყოს მისი გაცნობა და

სწორი გადაწყვეტილების მიღება.

მეცნიერებატევადი პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია ფირმის კომერციულ ინტერესებში შედის. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ფირმის მეცნიერებატევადი პროდუქციის პირდაპირი გაყიდვა შეუძლებელია ან რთულია. ამ შემთხვევაში საბოლოო პროდუქტად იქცევა წარმოების ტექნოლოგია. ბაზარზე კომერციული ტექნოლოგიის ძირითად ფორმას წარმოადგენს ლიცენზიის გაყიდვა მის გამოყენებაზე.

როცა ხდება რადიკალურად ახალი ტექნოლოგიის რეალიზაცია, საჭიროა, მომავალმომხმარებელთარეაქციისდადგენა. თუ ადამიანები არაინფორმირებული არიან, მათ არ აქვთ „სიგნალები“ ახალი პროდუქციის ყიდვის შესახებ, მაშინ ახალი საჭიროება არ წარმოიშვება. ე.ი. მოხმარების პროგრესი შორსაა ტექნოლოგიის პროგრესისაგან. მაგრამ მრავალ პოტენციურ მიმხმარებელს, რომელსაც აქვს წარმოდგენა ახალი პროდუქტების შესახებ, უჩნდება აზრი, რომ შეიძინოს ეს პროდუქტი. ასე იქმნება ახალი მოთხოვნილება.

საჭიროა განისაზღვროს შესაძლო მოხმარების ჩარჩოები და მიზნობრივი აუდიტორია. ამისათვის ხდება მისი საქმიანობის, ყოფის, ბიზნესის ანალიზი, დგება ახალი ამოცანები, რომლის გადაჭრაც მომხმარებელს სურს.

ახალი პროდუქტების წარმატებული დანერგვა წარმოადგენს თანამედროვე მარკეტინგული პროგრამების ძირითად კომპონენტს და მოითხოვს მარკეტინგული, ტექნიკური და სხვა განყოფილებების საქმიანობის ზუსტ კოორდინაციას.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლეო ჩიქავა. ინოვაციური ეკონომიკა. თბილისი „სიახლე“ 2006 წ;
2. ე. ბარათაშვილი, გ. ნაკაიძე, რ. ქუთათელაძე, ინოვაციების მენეჯმენტი, ევროპული უნივერსიტეტი. თბილისი 2008 წელი;
3. ა. აბრალავა, ლ. გვაჯაია, რ. ქუთათელაძე საინოვაციო მენეჯმენტი. სტუ. თბილისი, 2009 წელი;
4. С. Валдайцев, Менеджмент технологических инноваций, С.Петербург., 2003г.
5. Экономика инновационного развития. Под редакцией М. Кудиной М., 2014г.

## **რეზიუმე**

სტატიაში განხილულია ინოვაციურ ფირმებში მარკეტინგული კვლევების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები, ინოვაციების მარკეტინგი წარმოდგენილია როგორც მარკეტინგულ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლის მიზანია ახალი პროდუქციის ტექნოლოგიის წარმატებული კომერციული რეალიზაცია.

განხილულია ინოვაციური ბაზრის, ინოვაციური მარკეტინგის თავისებურებები, ახალი საქონლის მახასიათებელი პარამეტრები, ფასწარმოქმნის თავისებურება, მარკეტინგული კვლევების კონკრეტული მიზნები, საქონლის რეკლამისა და გასაღების სტიმულირების საკითხები.

## **SUMMARY**

### **A MARKETING OF INNOVATIONS**

**JemalKvinikadze,**

**Doctoral Candidate of Faculty of Business Technologies of GTU**

The article considers the problems related to implementation of marketing studies in innovational companies. The marketing of innovations is represented as a complex of marketing activities whose goal is to successfully and commercially implement the technology of a new product.


The specifications of innovational market and innovational marketing are considered, as well as specific parameters of a new product, specifications of pricing, particular goals of marketing studies, problems of product's advertisement and stimulation of selling are described.

# მაღალსიხშირული ელექტრიფიცირებული ინსტრუმენტის კვლევის შედეგები

ჯიმშერ სირაძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,  
დავით ტურძელაძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი.  
მაყვალა მჭედლიძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი.

მაღალსიხშირული ელექტროამძრავის, რომელშიც შედის სამფაზა ასინქრონული ძრავი (აძ) და ასინქრონული სიხშირის გარდამსახი (ასგ), განხილულია დენების და მომენტების ანალიტიკური გამოსახულებები ამ და ასგ-ს ჩანაცვლების სქემების შესაბამისად. პრაქტიკულად ნაკლებად არსებობს შრომები ასინქრონული ელექტროამძრავებისა, რომელშიც გამოყენებულია ასინქრონულ-რეაქტიული სიხშირის გარდამსახი (სსგ), რომლის მუშაობის პრინციპი დამყარებულია მაგნიტური ველის უმაღლესი ჰარმონიკის გამოყენების პრინციპზე, კვლევაზე. ამ ტიპის გარდამსახების გამოყენება [1] შეიძლება ელექტრიფიცირებული ხელის ინსტრუმენტების, ცხვრის საპარსი მანქანების, ელექტრო სათიბელების, ხერხების და ა.შ. კვების წყაროებში. უნდა აღინიშნოს აგრეთვე სსგ-ს ნაკლოვანი მხარეებიც, სახელდობრ, გადატვირთვის დაბალი უნარი და დაბალი  $\cos \varphi$ , რაც ზღუდავს მისი გამოყენების სფეროს.

ხელის ელექტროსათიბელას კონსტრუქციაზე შეიძლება დავამაგროთ ექვსწახნაგოვანი მჭრელი დისკო (ნახ.1), რომელიც ბრუნავს ჰორიზონტალურ ან დახრილ სიბრტყეში. ბრუნვის სიხშირეა დაახლოებით  $n_p = 4500$  წთ<sup>-1</sup>.



ნახ.1

მჭრელი დისკო დაყენებულია უშუალოდ სამფაზიანი ასინქრონული მოკლედმერთული მაღალსიხშირული ( $f=2003$ ჰც.) დენის ელექტროძრავის ლილვზე. უკანასკნელ ხანში მჭრელი ინსტრუმენტად იყენებენ ე.წ. ძუას. მთელი სისტემა დამაგრებულია 2,5 მმ-მდე დიამეტრის და 2 მ-მდე სიგრძის ალუმინის მილზე, რომლის ბოლოზე დაყენებულია საპირწონე. სათიბელას დენით მომარაგება ხორციელდება 50 მ სიგრძის დრეკადი კაბლით. აპარატის ჭრის ხარისხი ბევრად არის დამოკიდებული ბალახთდგომის სიმაღლეზე. სათიბელას ორგანოთი მყარი სხეულის (ღერო) ჭრა წარმოებს ჭრის საწინააღმდეგო ფიფრფიტის გარეშე. ამ ღეროს დანების სიჩქარე  $V_p$  ჭრის პროცესში უნდა იყოს იმდენად დიდი, რომ გადასაჭრელმა სხეულმა მისი მასის ინერციულობის და სტატიკური ჭრის ძალების საფუძველზე წარმოქმნას ჭრისათვის საჭირო უკუმოქმედი ძალები. ლიტერატურაში  $V_p$  მიღებულია 40 მ/წმ [2] და მეტი [3].

რადგან ხელის სათიბელას მოდების განი და მწარმოებლობა არ აქვს დიდი, ამიტომ ისინი ძირითადად გამოყენებული უნდა იქნან შეზღუდულ ფართობებზე. ამ სათიბელების უწყვეტი ხანგრძლივი მუშაობა მომქანცველია და საჭიროა ფიზიკური ძალების დიდი დანახარჯები, მაგრამ, ამ ნაკლოვანების მიუხედავად, ხელის სათიბელა მაინც ჰპოვებს გამოყენებას შეზღუდულ პირობებში, სადაც ვერ მუშაობენ სხვა ტიპის სათიბელები.

სათიბელას მუშაობის დროს ელექტროძრავის სიმძლავრე იხარჯება შემდეგზე: ბალახდგომის ღეროების ჭრის წინააღმდეგობის გადალახვაზე, ჰერის წინააღმდეგობაზე, ელექტროამძრავის ელემენტების წინააღმდეგობაზე, როტაციული მუშა ორგანოსა და გადაჭრილი ბალახის ნაწვერალს შორის ხახუნზე, ღეროს დეფორმაციის წინააღმდეგობაზე, მოჭრილი მწვანე მასის

დისკოზე ხახუნით. ბოლო ორი წინააღმდეგობა უმნიშვნელოა და მხედველობაში არ მიიღება. იმ შემთხვევაში, თუ დისკო დახრილია  $\alpha > 3^\circ$  შეტევის კუთხით წინსვლითი მოძრაობის მხარეს, ხოლო დანის პირს აქვს დიდი ხაზობრივი სიჩქარე  $V_p$ , განხილული შემთხვევისათვის

$$V_p = \omega_p R = \frac{\pi n_p}{R} = \frac{3.14 \cdot 4500 \cdot 0.093}{30} = 43,8 \text{ მ/წმ.} \quad (1)$$

სადაც  $\omega_p$  - დისკოს კუთხური სიჩქარე,  $\omega_p = 471 \text{ წმ}^{-1}$   
 $R$  - დანის რადიუსი,  $R = 0,093 \text{ მ}$ .

ამ შემთხვევაში, მჭრელი მუშა ორგანოს აძვრისათვის მოხმარებული სიმძლავრე იქნება

$$P = [F_{ჭრ.} R \omega_p + (R_n f_B r_0 + 2\tau_T S_{PT})] \quad (2)$$

სადაც  $D_p$  - დისკოს დიამეტრი,  $m \cdot D_p = 0.186 \text{ მ}$

$\Sigma = F_{ჭრ.}$  - ჭრის ზონაში არსებული ყველა დანის  $\Sigma$  ჯამური ძალა, ნ;

$S_{PT}$  - დისკოს ფართობი,  $S_{PT} = 0,21 \text{ მ}^2$ ;

$R_n$  - საკისრების რეაქციის ჯამი, ნ.

$r_0$  - პოჭოჭიკის რადიუსი, მ.

$f_B$  - საკისრებში ხახუნის კოეფიციენტი.

$Q_3$  - სათიბის  $1\text{მ}^2$ -ზე მოჭრილი მწვანე მასა,  $Q_3 = 0,05 - 0,4 \text{ კგ}$

$V_m$  - წინსვლითი მოძრაობის საშუალო სიჩქარე,  $V_m \approx 0,5 \text{ მ/წმ}$ ;

$\tau_T$  - ხახუნის კუთხური მომენტი,  $\tau_T = 53 \cdot 10^{-9} \text{ ნმ/მ}^2$

ჭრის ძალა  $F_{ჭრ.}$  განსაზღვრისათვის საჭიროა ჭრის პროცესში ერთდროულად მონაწილე ყველა დანის სამუშაო სიმაღლის  $H$ -ის განსაზღვრა.

ყოველი დანა ბალახს ჭრის წინსვლითი მოძრაობის მიმართ გადაადგილებული ორი ტრახოიდის მიერ შემოხაზულ ფართობზე (ნახ. 1). ტრახოიდა ნახაზზე დატანილია წყვეტილი ხაზით [3]. დანა, რომელიც ბრუნავს (ნახ.1) O ცენტრის გარშემო  $\omega_p$  მუდმივი კუთხური სიხშირით და ერთდროულად გადაადგილდება რომელიღაც  $V_m$  საშუალო სიჩქარით,

წვერის და ფუძის A და C წერტილების პარამეტრული განტოლება შეიძლება დაიწეროს შემდეგი სახით [3].

$$\begin{aligned} X_A &= R \cos \omega_p t, & Y_A &= V_m t + R \sin \omega_p t, \\ X_C &= r \cos \omega_p t, & Y_C &= V_m t + r \sin \omega_p t, \end{aligned} \quad (3)$$

დანა (2), რომელიც ჩამორჩება დანა (1)-ს,  $V = 60^\circ$  კუთხით. ამ შემთხვევაში იგივე განტოლებებს აქვს სახე:

$$\begin{aligned} X_A &= R \cos(\omega_p t - v), & Y_A &= V_m t + R \sin(\omega_p t - v), \\ X_C &= r \cos(\omega_p t - v), & Y_C &= V_m t + r \sin(\omega_p t - v), \end{aligned} \quad (4)$$

მაშინ, ერთი დანის აბსოლუტური სიმაღლე იანგარიშება A და C წერტილებს შორის მოქცეული ცვალებადი რადიალური მონაკვეთის განსაზღვრის გზით,

$$h_c = ((X_b - X_A)^2 - (Y_b - Y_A)^2)^{1/2} \quad (5)$$

რიგი გარდაქმნებისა და მასში მჭრელი დისკოს

კონსტრუქციული პარამეტრების შეტანის შემდეგ მიიღებს სახეს:

$$h_c \approx V_m \frac{2\pi}{m\omega_p} \sin \omega_p t = 0,5 \frac{2 \cdot 3,14}{6 \cdot 471} \sin 471t \quad (6)$$

სადაც  $m=6$  მჭრელი დანების რაოდენობა.

ბალახის ჭრაში მონაწილე ყველა მუშა სიმაღლის ჯამი

$$H = \sum_{i=0}^m \frac{\pi V_m}{m\omega_p \sin \frac{\pi}{m}} [\cos(\varphi_1 - \frac{\pi}{m}) - \cos(\varphi_1 + \frac{\pi}{m}) + \cos(\frac{3\pi}{m} - \varphi_1) - \cos(\frac{3\pi}{m} - \varphi_1 - \pi)]$$

სადაც  $\varphi_1$  - დისკოს მობრუნების კუთხეა,  $\varphi_1 = \omega_p t$ ;  $\varphi > 0$  ან განხილულ შემთხვევაში  $m = 6$ .

$60^\circ > \varphi_1 > 0^\circ$  დროს. [4]

საბოლოოდ მივიღებთ ჯამურ ძალას:

$$\Sigma F_{ჭრ.} = F_c \sqrt{T} H = \frac{F_c \sqrt{V_m}}{m\omega_p \sin \frac{\pi}{m}} [\cos(\varphi_1 - \frac{\pi}{m}) - \cos(\varphi_1 + \frac{\pi}{m}) + \cos(\frac{3\pi}{m} - \varphi_1) - \cos(\frac{3\pi}{m} - \varphi_1 - \pi)] \quad (7)$$

$$\Sigma F_{ჭრ.} \approx 10 \cdot \sqrt{10000} H = \frac{1,21 \cdot 1,56}{\sqrt{2}} = 1,21 H \quad (8)$$

სადაც,  $T$  - ღეროების რაოდენობაა. სათიბის  $1\text{მ}^2$  -ზე. ბუნებრივი ბალახდგომისთვის  $T$  არ აღემატება 10000, გაზონებში აღწევს 20000.

$F_c$  - ერთი ღეროს გადაჭრის ძალა. აქ საორიენტაციოდ მიღებულია 10 [4].

მიღებული მონაცემების (7)-ში ჩასმით მივიღებთ:  $P_{ჭრ.} = \Sigma F_{ჭრ.} R \omega_p = 1,21 \cdot 0,093 \cdot 471 = 53 \text{ ვტ.} \quad (9)$

დანარჩენი წევრების რიცხვითი მნიშვნელობების (2)-ში შეტანის შემდეგ ხელის ელექტროსათიბელას ძრავის სიმძლავრე იქნება:

$$P = P_{ჭრ.} = 94 \text{ ვტ.}$$

მიღებული შედეგები ემთხვევა შერჩეული ელექტროძრავის პარამეტრებს.

ხელის ელექტროსათიბელის ლაბორატორიულ-საველე გამოკვლევის ძირითადი ამოცანა იყო მუშაობის რაციონალური რეჟიმების განსაზღვრა ძრავის გაცხელების თვალსაზრისით. ამ მიზნით გადაღებული იყო სათიბელას მუშაობის დროს ამძრავის დენური დატვირთვის დიაგრამა  $I = f(t)$ , რომელიც მოცემულია (ნახ. 2)-ზე რეალიზაციის ერთობლიობის სახით ხუთი შემთხვევისათვის.

მუშა ორგანოზე - დისკოზე მოქმედი შემთხვევითი ფაქტორების გამო ამძრავის მუშაობის რეჟიმიც არის შემთხვევითი. ამასთან შესაძლებელია ძრავის სტატორის დენის აღწერა დროის დეტერმინირებული ფუნქციით. ცხადია, რომ ამ პირობებში ბრუნვის სიხშირეც და სიმძლავრეც შემთხვევითია. სიჩქარის და დატვირთვის არარარეგულარული ცვლილებების გამო და მარტივ ქმედების კოეფიციენტი არის შემთხვევითი ცვლადი სიდიდეები. ამასთან, სათიბელას ამძრავის დატვირთვის პროცესი არასტაციონალურია, რადგან დატვირთვის დონე დამისი ცვალებადობის ხასიათი დამოკიდებულია ბალახდგომის ხასიათზე, ოპერატორის

წინსვლითი მოძრაობის სიჩქარეზე და სათიბელას განივი მოძრაობის სიჩქარეზე. გამოთვლილია გასაშუალებული მახასიათებლები, თითოეული რეალიზაცია, რომელიც მიღებულია მსგავს პირობებში, იშლებოდა ერთნაირი რაოდენობის მონაკვეთებად და ისაზღვრებოდა ციკლის დასაწყისის და ბოლოს მომენტებით. რეალიზაციის ერთობლიობით განისაზღვრებოდა დენის ექვივალენტური სიდიდე, ე.ი. მისი საშუალო კვადრატული მნიშვნელობა [2].

$$I_{\text{ექვ.}} = \sqrt{(M|i)^2}$$

გამოთვლილია სტანდარტული პროგრამებით. ხუთი რეალიზაციისათვის მიღებულია  $I_1 = 2,8\text{ა}$ ,  $I_2 = 3,0\text{ა}$ ,  $I_3 = 2,94\text{ა}$ ,  $I_4 = 2,61\text{ა}$ ,  $I_5 = 2,73\text{ა}$ , რომელთა საშუალო სიდიდეა  $I_{\text{ექვ.საშ.}} = 2,82\text{ა}$ . ის, რომ  $I_{\text{ექვ.საშ.}}$  რამდენადმე მეტია ნომინალურ დენზე, ჩვენი აზრით, სრულიად დასაშვებია, თუ გავითვალისწინებთ პაუზებს ოპერატორის მუშაობაში და აგრეთვე საცდელი ნიმუშის დამზადებასთან დაკავშირებულ თავისებურებებს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. დ. ლაოშვილი. ელექტროენერგეტიკა. თბილისი. 2003. . 383 გვ.
2. ვ. მეტრეველი. კ. დიდებულიძე, შ. ჭელიძე. ავტომატიზებული ელექტროამძრავი ს/მ-ში. თბილისი. 1982.
3. ჯ. კაციტაძე. სასოფლო სამეურნეო ტექნიკის საიმედოობის საფუძვლები. თბილისი. 1981.
4. ჯ. სირაძე. დისერტაცია. მაღალსიხშირული ელექტროფიცირებული სათიბელას დამუშავება და გამოკვლევა. თბილისი. 2002. 184

### SUMMARY

The article discusses the results of high-frequency electric motor (e.g., electrolytes) examination in order to use its recommendation such as grass hatching, cutting of branches and planting in gardening. The machine is a small gear. It is a very necessary and essential tool, as it meets agrotechnical requirements

### რეზიუმე

სტატიაში განხილულია მაღალსიხშირული ელექტროამძრავის (კერძოდ, ელექტრო-სათიბელა) გამოკვლევის შედეგები, რათა მიეცეს რეკომენდაცია მის გამოყენებას, როგორცაა ბალახის თიბვა, ტოტების ჭრა და საბალე მეურნეობაში მცენარეთა ფორმირება. დანადგარი მცირე გაბარიტიანი ინსტრუმენტია. იგი მეტად საჭირო და აუცილებელ ხელსაწყოს წარმოადგენს, რადგანაც აკმაყოფილებს აგროტექნიკურ მოთხოვნებს.



# ორგანიზაციებში პერსონალის ერთგულება, როგორც

## არამატერიალური აქტივი

მანანა მჭედლიშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი  
ეკონომიკის დოქტორი

ორგანიზაციებში არსებობს ისეთი ფენომენი, რომელსაც ეწოდება პერსონალის ერთგულება, და რომელიც გავლენას ახდენს ორგანიზაციის ქმედითუნარიანობაზე, სიცოცხლისუნარიანობაზე, შედეგიანობაზე, კონკურენტუნარიანობაზე, აღრიცხვით კი არსად არ აღირიცხება. რა ფენომენია პერსონალის ერთგულება და უნდა აღირიცხებოდეს თუ არა იგი ორგანიზაციის აქტივებში? პერსონალის ერთგულება ორგანიზაციისადმი თითოეული დამსაქმებლის დამოკიდებულებას ასახავს. ეს დამოკიდებულება ემოციურია და მას აყალიბებს ინდივიდის მიერ ორგანიზაციის ფასეულობების მიღება არ მიღება. ეს ისეთი მდგომარეობაა, როცა ინდივიდი ორგანიზაციას აიგივებს თავის თავთან, მთლიანად და სრულად იღებს მის მოცემულობებს, მათ თვლის საკუთარ მოცემულობებთან და თავის როლს ორგანიზაციაში დიდი ერთგულებით, თავდადებით, შეიძლება ითქვას სიყვარულით ასრულებს. რადგან პერსონალის ერთგულება ორგანიზაციას აძლევს შედეგს, ზრდის მის მოსავლიანობას იგი უნდა შევიდეს არამატერიალური აქტივების ჩამონათალში. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, არამატერიალურია აქტივი, რომელსაც არ გააჩნია ფიზიკური ფორმა და რომელსაც ორგანიზაცია ფლობს წარმოების ან მიწოდების (საქონლის ან მომსახურების) პროცესში გამოსაყენებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის, არამატერიალური აქტივების ამ განმარტებიდან გამომდინარე იგი უნდა აკმაყოფილებდეს სამ ძირითად პირობას:

**1. უნდა იყოს ორგანიზაციის მიერ კონტროლირებადი.**

**2. საწარმოს აძლევდეს ეკონომიკურ სარგებელს.**

**3. უნდა იყოს იდენტიფიცირებადი.**

უცხოელი მეცნიერ-ეკონომისტების მიერ ჩატარებული კვლევები პერსონალის ერთგულებაზე, მასზე მოქმედ ფაქტორებზე და შედეგის მომტან ცვლილებებზე. გამოკვლევებიდან ირკვევა რომ იქაც ეს საკითხი ახალია. ამ ფენომენს ისინი აღიარებენ, მაგრამ ისინიც ვერ გასცდნენ ერთგულების

სოციომეტიულ კვლევებს, ანუ ჯერ კვლევებით არ მომხდარა ერთგულების იდენტიფიცირება და კომპანიების მიერ არც მასზე კონტროლის მექანიზმი შემოთავაზებულა. არადა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები არამატერიალურ აქტივს, გარდა შედეგის მოცემისა, რაც კვლევებით უკვე დადგენილია, ამ ორ მოთხოვნასაც უყენებს.

არსებობს მეცნიერების სხვადასხვა მოსაზრებები:

მეცნიერი **სალანჩიკი** თვლის, რომ ორგანიზაციისადმი ინდივიდის ემოციური ერთგულება მით უფრო ძლიერია, რაც უფრო ნათელია მის მიერ ამ ორგანიზაციაში დასაქმების მოტივები, რაც უფრო მეტი ჰქონდა მას ამ ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია მის იქ დასაქმებამდე.

**პორტერი, სტირსი და ბონლიანი** ამტკიცებენ, რომ დასაქმებულის ერთგულება ორგანიზაციისადმი სამი ელემენტისგან შედგება:

1. ორგანიზაციის ფასეულობების მტკიცედ აღიარება.

2. სურვილი ნებაყოფლობით ემსახუროს ორგანიზაციას.

3. ძლიერი მისწრაფება იყოს მხოლოდ ამ ორგანიზაციის კოლექტივის წევრი.

ორგანიზაციისადმი ერთგულების სამი ტიპი შემოგვთავაზა მეცნიერმა **ეტციონმა**:

**1. მორალური ერთგულება. 2. ანგარეობითი ერთგულება. 3. გაუცხოვებული ანუ იძულებითი ერთგულება.**

**მორალური ერთგულება** - გვიჩვენებს თანამშრომლის თავდადებას თავისი დამსაქმებელი ორგანიზაციის მიმართ, იმის გამო, რომ ის ხედავს მის სოციალურ მიზნებს.

**ანგარეობითი ერთგულება** - ეფუძნება ორმხრივ სარგებელს. დასაქმებული ორგანიზაციის მიზნის და ამოცანების ერთგულნი არიან და ორგანიზაციაც არ რჩება ვალში, მათი შრომა და ასეთი თავდადება სათანადოდ ფასდება.

**იძულებითი ერთგულება** - გაუცხოვებული ერთგულების პირობითი სახელწოდებაა. იგი შეიძლება ჰქონდეთ სასჯელაღსრულების დანესებულების თანამშრომლებს.

ორგანიზაციისადმი ერთგულების სოციო-მეტრიულ კვლევებს მრავალი ქვეყანა ახორციელებს. კვლევები ძირითადად დასაქმებული ინდივიდების ანკეტირებით ხორციელდება. ამჟამად შედარებით ინტენსიურად გამოიყენება მეცნიერ **მოვდესუს** მიერ შემუშავებული ორგანიზაციისადმი ერთგულების ანკეტა, რომელიც 15 კითხვისგან შედგება. არსებობს მეცნიერ **უორომის** მიერ შედგენილი 9 კითხვიანი ანკეტაც. საქართველოში ამ საკითხზე არც კვლევით ორგანიზაციები და არც ცალკეული მეცნიერები არ მუშაობენ. ეს საკითხი არც მაკრო და არც მიკრო დონეზე არ დასმულა. არადა ორგანიზაციებში პერსონალის ერთგულება მისი აქტივია, ქონებაა. ერთგულება დადებითად მოქმედებს ორგანიზაციის საქმიანობის შედეგებზე. რაც მაღალია ერთგულების ხარისხი და რაც მასიურია იგი, მით ნაკლებია კონფლიქტები და მაღალია ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიანობა და შემოსავლიანობა.

ორგანიზაციისადმი ერთგულების კვლევებით დაკავებული მეცნიერები ასახელებენ დასაქმებულთა ერთგულებაზე მოქმედ ფაქტორებს და შედეგის მომცემ ცვლადებს. მათ რიცხვშია: **პიროვნული მახასიათებლები, როლები, ორგანიზაციის თავისებურებები, სამუშაო გამოცდილება, მუშაობის გაგრძელების სურვილი, მუშაობის გაგრძელების განზრახვა, სამსახურში ჩართულობა, სამსახურის შენარჩუნება, მუშაობაში ძალისხმევა.**

ამ ჩამონათვალში პირველია პიროვნული მახასიათებლები. 1979 წელს მეცნიერმა **სტირსმა** ჩაატარა გამოკვლევა საავადმყოფოებში 382 თანამშრომელზე **მოვდესუს** ანკეტის გამოყენებით და დაადგინა, რომ მართლაც ძალზე დიდია კავშირი დასაქმებულთა პირად მახასიათებლებსა და ორგანიზაციისადმი მათ ერთგულებას შორის. ორგანიზაციისადმი ერთგულების დადგენის მოვდესუს მიერ შედგენილი ტესტური შემონმება მოიცავდა შემდეგ კითხვებს:

**1. ბიოგრაფიული მონაცემები. 2. დაკავებული თანამდებობა. 3. რამ გადაწყვეტინა ამ ორგანიზაციაში დასაქმება? 4. როგორი აქვს მუშაობის სტაჟი? 5. რამდენად მნიშვნელოვანია მისთვის თავისი ორგანიზაციის პრესტიჟი და მომავალი? 6. რა განათლება აქვს მიღებული? 7. უზრუნველყოფს ორგანიზაცია დასაქმებულის შემოქმედებით სრულყოფას, ინიციატივის გამოჩენას? 8. რა პროფესიულ წარმატებას მიაღწია ორგანიზაციაში? 9. კმაყოფილია**

**ანაზღაურებით? 10. შეუძლია თუ არა თავისი უნარებით წინ წასწიოს ორგანიზაცია?**

**11. მოსწონს თავისი მორგანიზაცია? 12. რა მიზეზებით, რატომ მოსწონს თავისი ორგანიზაცია? 13. დავალების შესრულებისთვის აქვს ყველა საჭირო ინფორმაცია? 14. შეიძლება დაანიანაურონ? 15. ნათელია მისთვის ორგანიზაციის პერსპექტივები?**

მეცნიერ მოვდესუს კითხვარის გამოყენებით ჩატარებულია კვლევა ორ ფოკუს ჯგუფში, ერთ ფოკუს ჯგუფს მიეკუთვნება ქ. თბილისის 333 აფთიაქების თანამშრომლები, მეორეს კი ქ. თბილისის ბენზინგასამართი სადგურის თანამშრომლები. აფთიაქებიდან შერჩეულ ფოკუს ჯგუფში გამოიკითხა 20 თანამშრომელი (14 ქალი, 6 მამაკაცი), ბენზინგასამართი სადგურიდან კი -30 თანამშრომელი (26 მამაკაცი, 4 ქალი).

**გამოკითხვის შედეგები აფთიაქის ქსელში:**

1. მამაკაცები, რომლებიც ამჟამად ამ ქსელში დისტრიბუტორებად მუშაობენ, ეძებენ სხვა სამსახურს.

2. გამოკითხული 14 ქალიდან 6 - ს აქვს ადგილზე მუშაობის 7-10 წლის სტაჟი და ისინი სხვა ორგანიზაციაში გადასვლას არ აპირებენ.

3. გამოკითხული 14 ქალიდან 2 არის 50 წლამდე ასაკის და არც თუ ისე დიდი ხელფასის მიუხედავად მოსწონთ თავიანთი ორგანიზაცია.

4. რესპოდენტი ქალებიდან სამმა გამოთქვა უკეთესი სამსახურის სურვილი, რადგან მუშაობენ მოლარეებად, რაც არ შეესაბამება მათ უმაღლეს განათლებას.

შეიძლება დავასკვნათ, რომ მამაკაცები ნაკლები ერთგულები არიან ორგანიზაციის, რესპოდენტი ქალებიდან მეტ ერთგულებას იჩენენ საპენსიო ასაკს მიტანებული ქალები, ადგილზე მაღალი სტაჟის მქონე და შედარებით დაბალი განათლების მქონე ქალები.

**გამოკითხვის შედეგები ბენზინგასამართ სადგურებში:**

1. გამოკითხული 26 მამაკაციდან მხოლოდ ოთხმა გამოთქვა სამსახურით სრული კმაყოფილება, მათი ასაკი 40 წლამდეა, განათლება-საშუალო.

2. გამოკითხული ქალებიდან, რომლებიც მოლარეებად მუშაობენ, ყველა უარყოფითად იყო განწყობილი თავისი ორგანიზაციის მიმართ, ორი, რომელთაც უმაღლესი განათლება ჰქონდათ თვლიდნენ, რომ თანამდებობა და მისი ადექვატური ხელფასი მათთვის არ იყო შესაფერისი, ორს კი არ მოსწონდა კოლექტივში არსებული კლიმატი. ამრიგად,

დადგინდა რომ: ქალები ნაკლებად არიან ერთგულები ამ ორგანიზაციის; მამაკაცებიდან ერთგულნი არიან შედარებით მაღალი ასაკის და დაბალი განათლების მამაკაცები.

ჩატარებული კვლევიდან ვასკვნიტ, რომ მართალია ქალები ორგანიზაციისადმი მეტი ერთგულებით გამოირჩევიან, მაგრამ მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციის პროფილს და კოლექტივს. ქალებს არც ყველა სამუშაოს შესრულება შეუძლიათ და არც ყველანაირ კოლექტივში მუშაობა. ეს დასკვნა გამომდინარეობს ბენზინგასამართ სადგურზე ჩატ-

არებული კვლევიდან, რომლებიც მართალია ქალურ საქმეზე მოლარეებად მუშაობენ, მაგრამ არ მოსწონთ მამაკაცების კოლექტივში მუშაობა.

სასურველია მომავალში ორგანიზაციის ხელმძღვანელები დაინტერესდნენ ორგანიზაციებში დასაქმებული პერსონალის ერთგულებით, რადგან ეს მათთვის მაღალშედეგიანი აქტივია. სამწუხაროდ დღემდე პერსონალის ერთგულება თეორიულ დონეზეც არ მოიხსენება აქტივად. არადა, ის უნდა შედიოდეს კამპანიის არამატერიალურ აქტივებში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- 1.მესხია ი, ჯალალონია დ, ბულალტრული აღრიცხვა, ბიზნეს-კურიერი თბ.2006 წ.
- 2.სტივენ რობინსი, ტიმოთე ჯაჯი, ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები თბ.2009 წ.
- 3.Buchanan R. Personality New-York: Henny Holf and Company. Inc. 1974.
4. Salancik M. Emotions of human-person, Lankaskir, 1974.
- 5.Mowday R., Porter L., Steers R. Employee-Organization Linkages The Psychology of Commitment, Absenieceism and Turnover New-York, Academic Press, 1982,
- 6.ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“ 2 -2017 წ.

### რეზიუმე

ორგანიზაციებში არსებობს ისეთი ფენომენი, რომელსაც ეწოდება პერსონალის ერთგულება, და რომელიც გავლენას ახდენს ორგანიზაციის ქმედითუნარიანობაზე, სიცოცხლისუნარიანობაზე, შედეგიანობაზე, კონკურენტუნარიანობაზე, აღრიცხვით კი არსად არ აღირიცხება. უცხოელი მეცნიერ-ეკონომისტების მიერ ჩატარებულია კვლევები პერსონალის ერთგულებაზე, მასზე მოქმედ ფაქტორებზე და შედეგის მომტან ცვლილებებზე. გამოკვლევებიდან ირკვევა რომ იქაც ეს საკითხი ახალია. ამ ფენომენს ისინი აღიარებენ, მაგრამ ისინიც ვერ გასცდნენ ერთგულების სოციომეტიულ კვლევებს, ანუ ჯერ კვლევებით არ მომხდარა ერთგულების იდენტიფიცირება და კომპანიების მიერ არც მასზე კონტროლის მექანიზმი შემოთავაზებულა. არადა ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები არამატერიალურ აქტივს, გარდა შედეგის მოცემისა, რაც კვლევებით უკვე დადგენილია, ამ ორ მოთხოვნასაც უყენებს.

სასურველია მომავალში ორგანიზაციის ხელმძღვანელები დაინტერესდნენ ორგანიზაციებში დასაქმებული პერსონალის ერთგულებით, რადგან ეს მათთვის მაღალშედეგიანი აქტივია. სამწუხაროდ დღემდე პერსონალის ერთგულება თეორიულ დონეზეც არ მოიხსენება აქტივად. არადა, ის უნდა შედიოდეს კამპანიის არამატერიალურ აქტივებში.

### SUMMARY

#### STAFF DEVOTION TO THE ORGANIZATION, AS IT'S INTANGIBLE ASSETS

Manana Mchedlishvili

Caucasus international University Associated Professor, Doctor of Economics

In the article “Staff devotion to the organization, as it’s INTANGIBLE ASSETS” is raised a question that staff devotion gives the result to the organization (increases it’s income), it must be included in the list of its.

In the article it is discussed the researches of foreign scientists about staff devotion, its influenced factors and changes causing the result. From these researches it is clear that this question is new there too. They admit this phenomenon, but they can’t look far from these sociological researches about devotion, it means that the identification of devotion hasn’t happened yet and the mechanism of controlling it hasn’t been suggested by the companies. The international standards of accounting records of nonmaterialistic activities besides the results demands two things according the researches.

## ბრძოლა საქართველოსთვის დღესაც ბრძოლაა

ვენერა გოგავა

ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი  
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

**„ვერკვლის ციხე ვარ მგლისფერი, ამოზიდული დიდგორსა,  
შვიდპირად მაკრავს ღრუბელი, ველი მილოკავს ლიბოსა,  
ვერ იზამს წუთისოფელი, ფეხებზე დამიკიდოსა.“**

„ხალხი მაშინ არის მაგარი, როცა წარსულის გაცნობით ფეხქვეშ ნიადაგი უპოვნია.“ (აკაკი). საქართველოს ადამიანთა განსახლების ერთ-ერთ უძველეს რეგიონად მიიჩნევენ, სადაც მინათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარებამ ხანგრძლივი ეპოქა განვლო და ხელსაყრელი პირობები შექმნა შრომის პირველი დიდი საზოგადოებრივი დანაწილებისათვის. უცხო ქვეყნებთან ურთიერთობამ ხელი შეუწყო წარმოების სხვადასხვა დარგების განვითარებას: სპილენძის, ვერცხლის, ოქროს, რკინის გადამუშავებას, კერამიკისა და ქანდაკების ნაკეთობათა შექმნას, ტაძრების, საცხოვრებელი სახლების, ციხე-სიმაგრეების მშენებლობას, მსუბუქი მრეწველობის (კერვა, ქსოვა, ქარგვა, ტყავის დამუშავების) ათვისებას და სხვა. ქონდათ ნაყოფიერი მიწები, თავიანთი მმართველობის დინასტიური წესები, ცხოვრობდნენ კომპაქტურად, ინარჩუნებდნენ საკუთარ სიძლიერეს, ცდილობდნენ მტრისგან თავის დაცვას, საუბრობდნენ და წერდნენ ქართულად. ცივილიზაციის ერთი ხანა ცვლიდა მეორეს. თანდათანობით იქმნებოდა ქალაქები და სოფელ-დასახლებები. ყალიბდებოდა გაცვლა. უძველესი დროიდან სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ რომაელებთან და ბერძნებთან. ისინი შემოდდიოდნენ ეგეოსის ზღვიდან შავ ზღვამდე. ააგეს სანავსადგურო ქალაქები: ფოთი, დიოსკურია, ბიჭვინთა. ბერძნებს გაჰქონდათ სელი და სელის ქსოვილები, ბენვეული, ტყავები, ძვირფასი ხის-ბზის მასალა, სამშენებლო ხე-ტყე, ოქრო და სხვა ლითონები. სამაგიეროდ შემოქონდათ ქსოვილები, სამკაულები, ჭურჭელი, კვების პროდუქტები, ზეთი. ბერძნებს მოსწონდათ ქართული ოჯახები, მათი ხასიათები, ჩვეულებები, ინტელექტი. ბევრი ჩამოდიოდა და სახლდებოდა საქართველოში. მოსწონდათ ქართული ვაზი, ღვინო, კაკალი, ნაბლი, ვაშლი, ტყის ხილი, ლეღვი, ბროწეული. ზოგიერთი ხილის ხეები კოლხეთიდან გაჰქონდათ საბერძნეთში. მაგ:

ბლის ჯიშები გაიტანეს ზღვით, პურეულიდან – ხორბალი, ჩაი. რომაელები სავაჭროდ ფოთიდან (ფაზისი) შემოდდიოდნენ ქუთაისში, ყიდულობდნენ თაფლს, რძის ნაწარმს, განსაკუთრებით ყველს. ბერძენი ფილოსოფოსი აღნიშნავდა: „ფასიდზე არის პატარა ძროხები, რომელთაგანაც თითოეული ბევრ რძეს იძლევა.“ ბერძენები საქართველოს ლითონით მდიდარ ქვეყნად იხსენიებენ. ალებ-მიცემობის განვითარებამ გამოიწვია კოლხური ფულის მოჭრა. ძვირფასი მეტალებისგან ამზადებდნენ ყელსაბამებს, ბეჭდებს, საყურეებს, ქამრებს, გულსაბნევეებს, მძივებს. მიცვალებულებს საფლავში ატანდნენ ძვირფასი ლითონის ნაწარმს. დაკრძალვის წესები სხვადასხვანაირი იყო. აქაური საომარი იარაღები: შუბები, ფარები, ხანჯლები, რკინის ცულები გამოირჩეოდა სიმტკიცით. თავს იცავდნენ ხის ან ტყავის მუზარადით, ტანს სელის ჯავშნით. ცხოვრობდნენ და იზრდებოდნენ შეძლების მიხედვით. ყავდათ თემის გამორჩეული წარმომადგენლები: ბელადები, ქურუმები. ხალხი გამოირჩეოდა შეხედულებით, ხასიათებით, იყვნენ გულადები და დაუმორჩილებელნი, დამოუკიდებლობის მოყვარულნი. ქართველთა გაუტყეხელმა თავდადებას გადაარჩინა ქვეყანა მტრის განუწყვეტელი შემოსევებისგან.

ძველი კოლხეთის მოსახლეობიდან შედარებით დანინაურებული იყო ბარის მოსახლეობა-კოლხეთის სამხრეთ მთიანეთი, ხოლო კოლხეთის ჩრდილო მთიანი ნაწილის მოსახლეობა შედარებით ჩამორჩენილი იყო. სამხრეთის ზღვისპირას ქანური გაერთიანება არსებობდა. ჩრდილო კოლხეთში ძირითადად აფხაზები და სვანები ცხოვრობდნენ. მათ ევალეობდათ ჩრდილოეთიდან გამოშვალვი გზების დაცვა. საუბრობდნენ ქართულ ენაზე. ეგრისში მარილით ვაჭრობას ხელმძღვანელობდა მეფე და წარჩინებულები. აკრძალული იყო თავისუფალი ვაჭრობა, განსაკუთრებით ტყვეების ყიდვა-გაყიდვა. ეგრისი განიცდიდა ხშირ შემოსევებს. თუმცა გუბაზ

მეფეს თავის ირგვლივ საუკეთესო მეომრები ყავდა შემოკრებილი, მოუწოდებდა: „ნუ გაქრება ლაზების სახელი... საფრთხე ემუქრება ჩვენს ქვეყანას და ოჯახებს.“ სპარსელების დამარცხებით ომი დამთავრდა. ხოსროს გამარჯვების იმედი ჩაიშალა. სამწუხაროდ აბაზგები და აბშილები საიმედო-ნი არ იყვნენ, იტაცებდნენ ლამაზ ბავშვებს და ვაჭრობდნენ. ეს საქციელი ქართველებს შეუმჩნეველი არ დარჩა და გულისწყრომა გამოხატეს. 554 წელს რომაელი სარდლობის შეტყუებით მოკლეს გუბაზ მეფე. უჭკვიანესი და შორსმჭვრეტელი. იუსტინიანემ შეასრულა ლაზების მოთხოვნა: მკვლელების დასჯის შესახებ. წესების თანახმად ნათე შეუდგა ეგრისის მეფობას.

V საუკუნე დიდი კრიზისების დრო იყო საქართველოში. სპარსული პოლიტიკა მძლავრობდა. ტბილისში სპარსი პიტიახში იჯდა. დასავლეთიდან უტევდა ბიზანტია. ჯერ კლარჯეთი აიღეს, შემდეგ აფხაზეთში გადმოსხეს ლეგიონები. ეგრისს შემოესივნენ და ციხე-გოჯამდე მოაღწიეს. „ყოველნი ქართველნი იყვნენ მწუხარებასა შინა დიდსა“. ყველაზე საშიში მტერი იყო ირანი. ვახტანგ მეფემ შეძლო კავკასიელი ხალხების გაერთიანება, საზღვრების განმტკიცება და მოწინააღმდეგის დამარცხება. ხალხმა მას „იალბუზის გმირი“ შეარქვა. ვახტანგის მუზარადის დანახვაზე სპარსელები შიშისგან კანკალებდნენ. გამეფდა 457 წელს 15 წლის, იმეფა 45 წელი. ადამიანი ძნელად თუ წარმოიდგენდა საქართველოს ერთიანობასა და მთლიანობას, ერთ მეფობის სახით, რომელშიც ვგულისხმობთ: „პირველი, უკეთესი ჰკითხო ვისმე ქართველს, ანუ იმერელსა, მესხსა, ჰერ-კახსა, რა სჯული ხარ“, წამს მოგიგებს „ქართველი“, მეორედ, არს მათ ყოველთა წიგნი და ენა ერთ-იგივ ფარნაოზ პირველისა მეფისგან ქმნული, - და ჰკითხოს მათ წინ თქმულთა კაცთა: „რა ენა და წიგნი უნყო“, მოგიგებს მყის - „ქართული“, რამეთუ არა იტყვის არცა სჯულსა, ენასა და წიგნსა იმერეთასა, ანუ მესხთა და ჰერ-კახსა, „რა რჯული ხარ“, წამს მოგიგებს „ქართველი“. მეორედ, არს მათ ყოველთა წიგნი და ენა ერთ-იგივ ფარნაოზ პირველის მეფისაგან ქმნული - და ჰკითხოს მათ წინათქმული კაცთა: და მესამე ეკლესია მონასტერთა, ხატთა და ჯვართა, სადაც დაწერილია „ჩვენ მეფემან საქართველოსამან“, ანუ ქართლისა და აფხაზეთისა - (ი. ჯავახიშვილი). ყველა ქართველ ტომს საერთო ენა და მწერლობა აქვთ. მათ

შორის იმერლებსა და მეგრელებს. ისინი სარწმუნოებით ერთნი არიან ქართველთა თანა აღმსრულებელნი, არამედ უცქვიტესად მოუბარნი. მეგრელებზე ნათქვამია: ენით არიან დიდნი და წარჩინებულნი ქართულის ენითა, არამედ აქვთ თავისი ენა. თუმცა „წამბდარი“ ქართული და აქვთ მხოლოდ წიგნი ქართული და არა სხვაო. ასე წერს ვახუშტი თუშებზეც. მათ ენას „შერეულ“ ენად სთვლიდა. სვანების შესახებ სწერია „ენა თვისი აქვთ, საკუთარი, განა უწყიან ქართულიცა“-ო. აფხაზებსაც ვახუშტის სიტყვით „ენა საკუთარი თვისი აქვთ, არამედ უწყიან წარჩინებულთა ქართული“. (ი. ჯავახიშვილი). თავისი გეოგრაფიულ ნაშრომის ბოლოს ვახუშტი საგანგებოდ აღნიშნავს: „საქართველოში მცხოვრებ ზოგიერთ ტომებს თავისი „საკუთარი“ ენა აქვთ, მაგრამ ყველა მათთვის ქართული სამწერლობო, ერთადერთი ყველასათვის საერთო ენა არისო. „რაოდენნი ქვეყანანი ანუ ადგილნი დავსწერენით საქართველოსანი, გარნა თუ აქვთ ზოგთა ენა სხვა, თვისნი საკუთარნი, არამედ წიგნი არცა ერთსა რომელსამე აქუს თვნიერ ქართულისა წიგნისა საკუთრად“-ო. (ი. ჯავახიშვილი).

ელინისტურ ხანაში დასავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო ბერძნული დამწერლობა. ბერძნული ენა წარმოადგენდა საგარეო დიპლომატიური ურთიერთობის საშუალებას, თუმცა ადამიანები ამ ტერიტორიაზე საკუთარ ენაზე საუბრობდნენ და წერდნენ. დამწერლობა კოლხეთში დიდი ხნით ადრე არსებობდა. აპოლონიოს როდესელის სიტყვებით, კოლხეთში დაცული იყო არა ოქროს საწმისი, არამედ ტყავზე ნაწერი წიგნი, რომელშიც აღწერილი იყო ქიმიის დახმარებით ოქროს მიღების წესები. კოლხებს შენახული აქვთ თავიანთი მამათაგან ნაწერი კვირბები, რომელზედაც მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი. ამით მტკიცდება, რომ დამწერლობა კოლხეთში დიდი ხნით ადრე არსებობდა. პარალელურად ბერძნულ რომაული დამწერლობაც იყო. ნიჭიერი ქართველები სწავლობდნენ უცხო ენებს, სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის დამყარების მიზნით. განსაკუთრებით ზღვისპირა ქალაქებში. ე. ი. ახ.წ. IV საუკუნეში ლაზეთის სამეფო (ეგრისი) მთელ დასავლეთ საქართველოს აერთიანებდა. მისი ტერიტორია სამხრეთით მდინარე ჭოროხის შესართავამდე ვრცელდებოდა, ხოლო ჩრდილოეთით მოიცავდა აფხაზეთსა და მაღალმთიან სვანეთს. IV საუკუნის ბო-

ლოს ლაზეთის სამეფო ერთ-ერთი წარმატებული იყო. ფაზისის რიტორიკული სკოლა ანტიკური ხანის კულტურული ცენტრი გახდა, სადაც სწავლობდნენ და განათლებას ღებულობდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ნიჭიერი – წარჩინებული ახალგაზრდები. აგრეთვე ბიზანტიიდან და რომიდან მოვლინებულები. ისწავლებოდა მჭერმეტყველების 3 დარგი. 1. სათათბირო, 2. საპოლემიკო, 3. საზეიმო. ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსის ლიბანიოსის წრეში გამოირჩეოდნენ თემისტიოსი და ბაკურ იბერიელი. თემისტიოსს კონსტანტინეპოლში „სიტყვათა მეფეს“ უწოდებდნენ. სამეფო კანცელარია ქართულ ენაზე აწარმოებდა საქმეებს. წერის ტექნიკაში გამოიყენებოდა მელანი და კალამი. საინტერესოა სოხუმში ნაპოვნი თიხის ჭრაქი, რომელიც ახ.წ. III საუკუნით თარიღდება. სოხუმის ჭრაქის სალოცველი წარწერა მიმართულია ჰერმეს მერკურისადმი. ე.ი. ყველა რომაელი მოგზაური, ვაჭარი, თვით სოხუმის ჭრაქის მფლობელიც თავყვანს სცემდა ჰერმეს-მერკურს, თავისი სიცოცხლის ხსნისა და გადარჩენისთვის. ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად, დასავლეთ საქართველოში ბერძნული ენა ეკლესიის დასაყრდენი ხდება. „ერთ არს ღმერთი მშველელი შემწირველთა“. ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან მონათმფლობელობა ადგილს უთმობს ფეოდალურ ურთიერთობებს. ეგრისის მოსახლეობაში ერთღმერთიანობისაკენ სწრაფვა ქრისტიანული რელიგიის გამოცხადებით დამთავრდა. განსაკუთრებით აჭარაში, სადაც ქართველები მუსლიმანური სარწმუნოების ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. მათ შეგნებულად მიიტანეს თავიანთი სიცოცხლე საყვარელი სამშობლოს სამსხვერპლოზე. მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი უთანასწორო ბრძოლისა შეინარჩუნეს ქართველობა, ქართული ენა და კულტურა. შემდგომში შეუერთდნენ დედასამშობლოს. დაცული მასალების მიხედვით მეფე ვახტანგ გორგასალმა შეუპოვარი ბრძოლით და მონდომებით დაიბრუნა აჭარა, რომელიც ფარნავაზის დროიდან ქართლის სამეფოში შედიოდა. ადარნასე ბაგრატიონი აღნიშნავდა (826-867 წწ.) „მესამედი კლარჯეთისა, შავშეთისა და აჭარის ნიგალისა, რომელიც ჰქონდათ შვილიშვილთა ვახტანგ გორგასალთ მეფისათა“. გონიოში აღმოჩენილია განძი, რომელიც II-III საუკუნით თარიღდება. აჭარის სოფლებში დღესაც შემორჩენილია ლითონის გამოსადნობი ღუმელები. ე.ი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო იყო არა

მარტო მეტალურგიის კერა, არამედ პოლიტიკური ერთეულიც: „ბათუმთან უნდა ვეძიოთ კოლხეთის ძველი დედაქალაქი. ადრე ჭოროხს ფაზისი ერქვაო“. მოსახლეობამ მონობისგან თავის დაღწევის იმედი ღმერთისგან მოვლენილ მოსეში დაინახეს. იესო ქრისტეში ადამიანები ხედავდნენ თავიანთ მხსნელს. გადმოცემით ქრისტეს მოძღვრების გავრცელება დაევალა იესოს 12 მოციქულს. კენჭისყრით მათ გაინანილეს მსოფლიოს მოსალოცი ადგილები. განანილებით მარიამ ღვთისმშობელს ჰრგებია საქართველო. მარიამს გამოცხადებია თავისი შვილი იესო ქრისტე და უთქვამს: „დედაო ჩემო, არა უგულებელყო ერთი იგი საზეპურო უფროის ყოველთა ნათესავთა; მეოხებითა შენითა მათეს“. პირველწოდებული ანდრია გააგზავნე შენს მხვედრ მხარეში და თან გაატანე ხატი შენი სახის დადებით გამოსახული, რათა „შენ ნილ ხატი იგი შენი მკვიდრობდეს მცუელად მათ უკუნისამდე ჟამთა“. ყველაფერი ეს ქრისტეს დედამ მოუთხრო ანდრიას. მარიამმა წესების დაცვით ზუსტად ამოკვართა ხატი თვისი და გამოატანა ქრისტეს მონაფეებს საქართველოში. თან დააბარა: ამ „ხელთუქმნელ ხატი“ ხელში მოაქციეთ ჩემი ნილხვდომილი ქართველები და... თავდებიც ვიქნები“-ო... „არავინ მტერთაგანი მძლე ექნათ მათ“. ასედაც მოუთხრობდნენ ყველას საქართველოში მოსული ანდრია და სვიმონ კანანელი. ისინი ბევრჯერ ყოფილან ჩვენს ქვეყანაში და მოულოციათ გარკვეული ადგილები. ამ პერიოდში ქართლის მეფემ ფარსმან I-მა ბრძოლებით შემოიერთა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნაწილი, კერძოდ აჭარის ზღვისპირეთი, სადაც მათე ქადაგებდა ქრისტიანობას. შემდეგ ეწვია ქვემო აჭარას და ასე მოაქცია ეს მხარე ქრისტიანობაზე. ის დამარხულია ეთიოპიაში, სადაც არის აბსარა და გონიო. საერთოდ ქრისტიანობა საქართველოში გავრცელებას იწყებს პირველი საუკუნიდან. ანდრია მოციქულზე და სვიმონ კანანელზე ადრე ქრისტიანობა საქართველოში იქადაგა რჩეული მონაფემ ფილიპემ. იოანე საბანისძეს „აბოს წამებაში“ (786 წ.) აფხაზეთის საზღვრები ასე აქვს წარმოდგენილი: „საზღვარ მათდა არს ზღვაი პონტოისა სამკვიდრებელი ყოვლადვე ქრისტეანთა, მოსაზღვრამდე ქალდიასა. ტრაპეზუნტი მუნ არს, საყოფელ იგი აფსარვანისა და ნაფსაის ნავთსადგური“ აფსარი არის ის ადგილი, სადაც დაუსაფლავებიათ ანდრია პირველ წოდებული და მოციქული მატათია. ხოლო ნაფსაის ნავსად-

გური ნიკოფსია არის ადგილი აფხაზეთის, სადაც დაუსაფლავებიათ ანდრიას მეორე თანამოღვაწე მოციქული სვიმონ კანანელი. „ჩვენ ქართველები მათ მცნებათა და ქადაგებათა მტკიცე ვართ“. იბერიის იმ ნაწილებში, რომელიც პონტოს ზღვასთან მდებარეობს და კოლხიდად იწოდება ქრისტეს რწმენა რომის პაპის წმინდა კლიმენტის მეშვეობით მიუღიათ. საქართველოში ქრისტიანობის მიღებას ესწრებოდა ანტიოქიის პატრიარქი, რომელსაც ექვემდებარებოდა საქართველოს საეკლესიო კრება. 457 წლიდან ქართველებმა კათალიკოსობის უფლებაც მიიღეს და დამოუკიდებლობასაც მიაღწიეს. 325 წლიდან აფხაზეთში შემოვიდა ქრისტიანობა. კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ აფხაზეთის (ბიჭვინთის) და ტრაპიზონის ეპისკოპოსები. 465 წელს კონსტანტინეპოლის კარს ეწვია ლაზეთის პირველი ქრისტიანი მეფე. თავის სტუმრობით და განათლებით მოხიბლა ბიზანტიელები. ეგრისის სამეფომ ქრისტიანობა მიიღო იბერიის სამეფოსთან ერთდროულად IV საუკუნის პირველ ნახევრამდე. ნიკეაში გამართულ საეკლესიო კრებაზე, სადაც მოწვეული იყო სტრატოფილე ბიჭვინთელი. ე.ი. დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა ფეხმოკიდებული იყო წმინდა ნინოს მისიონერულ მოღვაწეობამდე.

ბაიბურდისა და ფორჩხის სამხრეთით ქანეთის მთის გაყოლებაზე ცხოვრობენ ქანები. მათ უწოდებენ ლაზებს. „კაცნი არიან ხელოვანნი ხის კეთებითა და შენებითა ნავთათა, დიდთა და მცირეთა. სარწმუნოებით არიან მაჰმადიანნი, გარნა მცირე ვინმე მოიპოვებიან ქრისტიანენი, არამედ იციან კვალად ქართული ენა“. სურვილი აქვთ აღიდგინონ სტატუსი. საინტერესოა ქართველების საყვარელ და საიმედო ადგილებად ითვლებოდა ეგვიპტე, პალესტინა, სირიის უდაბნო. სურვილი ქონდათ მირონი იერუსალიმიდან შემოეტანათ საქართველოში. ხშირად სტუმრობდნენ სალოცავად პალესტინაში, სინას მთაზე, შავ მთაზე, საბანმინდაში, ჯვარში. ამ პერიოდში სამრეწველო ასპარეზზე გამოდიან იოანე მინჩხი, იოანე ზოსიმე, გიორგი შეყენებული, გიორგი ათონელი, გიორგი მცირე, ეფრემ მცირე, ეფრემ ოშველი და სხვანი, რომლებმაც ქართული კულტურის მთელი ეპოქა შექმნეს. გადანყდა ქრისტიანობის სიმტკიცის პრობლემატიკა, ქართველებმა მიიღეს უფლება ავტოკეფალიაზე. 750-861 წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის გრიგოლ ხანძთელი, 822-875 წლებში ილ-

არიონ ქართველი. ეროვნული კულტურის განვითარებაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვით იოანეს და სახელგანთქმულ სარდალს - თორნიკე ერისთავს. შორსმჭვრეტელმა და ჭკვიანმა პოლიტიკოსმა დავით III კურაპალატი მთელ აღმოსავლეთში გაითქვა სახელი. 979 წელს ბიზანტიის იმპერიამ დახმარებისთვის მიმართა დავით დიდს, რომელმაც 12 ათასიანი ცხენოსანი ლაშქარი გაგზავნა სახელოვანი ქართველი სარდლების თორნიკე ერისთავის და ჯოჯიკის მეთაურობით ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ. გადამწყვეტ ბრძოლაში ქართველებმა გაიმარჯვეს. ბიზანტიის იმპერატორმა უდიდესი საჩუქარი გაუკეთა საქართველოს. მეომრებმა მიღებული შემოსავალი მთლიანად შესწირეს ათონის მთაზე მონასტრის აგებას, რომელიც საქართველოს საკუთრება გახდა. საჭიროა საკუთრების სტატუსის გადახედვა. 1001 წელს დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ მეფის ტიტული ბაგრატ III-მ მემკვიდრეობით მიიღო. მისი ხელმძღვანელობის ქვეშ გაერთიანდა თითქმის მთელი საქართველო. ბაგრატ III იწოდებოდა „მეფედ აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა“. ერთიანი საქართველოს დედაქალაქი იყო ქუთაისი. ბაგრატ III-მ აფხაზეთში ააგო ილორის ეკლესია, რომელსაც დიდი წარსული აქვს. როგორც ცნობილია ამ ხალხს არ აკლია საზრიანობა და შესწევს უნარი იფიქრონ ცივილიზაციისკენ. შემდგომად დიდისა ვახტანგ გორგასლისა არავინ გამოჩნდა სხვა მსგავსი მისი დიდებითა და ძალითა, ყოველთა გონებითა, გლახაკთა მოწყალე და მოქმედ ყოველთა კაცთათვის. ეს იყო ბაგრატ III. მან აღაშენა ეკლესია მონამეთისა, სადაც დაასვენა ძეგლები სახალხო გმირებისა - ძმათა მხეიძეთა დავითისა და კონსტანტინესი. აღაშენა ტაძარი ბედიას და ქუთაისში 1010 წელს. ბაგრატ მეფემ სვეტიცხოვლის ტაძრის აღმშენებლობა მიანდო დიდებულ ხუროთმოძღვარს კ. არსუკიძეს. განსაკუთრებით საინტერესოა ბაგრატ IV მეფობა. ის იყო უდიდესი მეფე თავისი კეთილშობილებით და საომარი თვისებებით. მას ჰქონდა რწმენა: „ვიდრე თვალითა არა ვიხილო, არა ვინამო“. საინტერესოა ბაგრატ IV წარმატებული ლაშქრობა ხუფათზე 1046 წელს. საქართველო-ბიზანტიის საზღვარი ხუფათი იყო და მეფესაც ციხე აქ აუშენებია. იგივე ხუფათი რჩებოდა ფეოდალური საქართველოს სასაზღვრო პუნქტად ზღვისპირეთში დავით აღმაშენებლის დროსაც, როცა 1116 წელს აფხაზეთიდან ტაოსკენ

მიმავალმა მეფემ ხუფათი გაიარა. დავითი ხუფათს 1120 წელშიც იყო. სიამოვნებდა მამა-პაპური ადგილების დათვალიერება. გადახედავდა იქაურობას და შორს მიაპყრობდა ცქერას. ალბათ სხვა ჩანაფიქრიც ანუხებდა. მას არავინ ყავდა ტოლი ხმალში, ჯიხათში, ისრის სროლაში, შუბის ტყორცნაში, მუშტის კვრაში, სირბილში, ცურვაში, უძილობაში, შიმშილში, წყურვილში, სიცხესა და ყინვის დაძლევაში. ცხადია გიორგი ჭყონდიდელმა ჩამოაყალიბა ახალგაზრდა მეფე ქვეყნის საუკეთესო მმართველად, პოლიტიკოსად და მებრძოლად. დავითმა თავისი პრინციპული მოსპო ფეოდალური შიდა დაპირისპირება, შეუდგა გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლას და საქართველოს ტერიტორიების გამთლიანებას. გაატარა უამრავი რეფორმები, განავითარა მეურნეობა, მიაჩვია ხალხი შრომას, სოფლის მეურნეობის დარგების ათვისებას, გაატარა სამხედრო რეფორმები, იყო ნამდვილი მეომარი და სტრატეგი, გააქრისტიანა მთელი საქართველო, ხელი შეუწყო წერა-კითხვის განვითარებას, გზა გაუხსნა ნიჭიერ ახალგაზრდებს, ებრძოდა გარეშე მტრებს, დაიბრუნა წართმეული მიწა-წყალი, ქუთაისიდან სამეფო ტახტი გადაიტანა თბილისში, გააერთიანა საქართველო. დაეხმარა მეზობელ ქვეყნებს, სასტიკად დაამარცხა მომთაბარეები. გადაარჩინა ამიერკავკასიელი ხალხი გათურქებას, აღაშენა გელათი და სამეცნიერო აკადემია. მოიწვია იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი, უცხოელი პედაგოგები და წარჩინებულნი. დავითი თავისი თვისებებით არის მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი კულმინაცია, სიმბოლო ომების, სიცოცხლისა და გამარჯვების. 60 ბრძოლა გადაიტანა და სიკვდილი უკუაქცია. ბოლოს სამეფო ტახტი შვილს დაულოცა, დაასაჩუქრა ღარიბები, ობლები, არაფრის მქონენი, მეომრებს შთააგონა გამძლეობა და თავდადება სამშობლოსათვის, ყველას უსურვა კაცთა ერთობა, საქართველოს დაულოცა მომავალი. მის სახელს ერთხელ სიკვდილი ვერაფერს დააკლებს. დაიკრძალა ანდერძის მიხედვით გელათს.

ლეგენდარული სიმშენიერით, უზენაესი სიბრძნითა და უსპეტაკესი ზნეობით თამარმა თავისი მეფობის პერიოდში საქართველოს საზღვრები განამტკიცა ჩრდილოეთით ნიკოფსიდან-დარუბანამდე, სამხრეთით სინოპიდან-არდაველამდე. თამარის მოღვაწეობის პერიოდში საქართველომ საზოგადოებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური,

კულტურული და ზნეობრივი აყვავების უმაღლეს საფეხურს მიაღწია. იდგა "ოქროს ხანა". თამარის აქტიურობით გაკეთდა დიდი საქმეები: ამაღლდა მეცნიერება და ხელოვნება, ხუროთმოძღვრება, მწერლობა, მან აღმოაჩინა შოთა რუსთაველი, ხელი შეუწყო განათლების მიღებაში, დააფინანსა საზღვარგარეთ სწავლისათვის. რუსთაველმა შექმნა უკვდავი ქმნილება "ვეფხისტყაოსანი", რომელმაც ქართული და მსოფლიო მწერლობის უმაღლესი მწვერვალი დაიპყრო. ქართულ მეცნიერებას, ლიტერატურასა და კულტურას არასდროს აკლდა ბრწყინვალე წარმომადგენლები: ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, ექვთიმე ათონელი, გიორგი მთაწმინდელი, გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელი, მოსე ხონელი, იოანე შავთელი, ჩახრუხაძე და სხვანი. განსაკუთრებით საქართველოს რჩეულთა თანავარსკვლავედში კამკაშებს შოთა რუსთაველი, ქართული და მსოფლიო ლიტერატურის შედეგის "ვეფხისტყაოსნის" გენიალური ავტორი. მთელი მსოფლიო იზიარებს ცნობილი პოეტის კ. ბალმონტის სიტყვებს: "როგორც ჰომეროსია-ელადა, დანტე-იტალია, შექსპირი-ინგლისი, კალდერონი და სერვანტესი-ესპანეთი, ისე რუსთაველია-საქართველო". შესანიშნავი არქიტექტურა, რომელშიც ქართველი ხალხის ბუნება, სული და ხელია ჩაქსოვილი: ოშკი, ზარზმა, სვეტიცხოველი, ბაგრატის ტაძარი და გელათი, სამთავისი და გრემი, ალავერდი და იყალთო, ნიკორწმინდა და ბეთანია, ხახული, ბანა, იშხანი, ხანძთა, ოპიზა, დოლისყანა, არტანუჯი, ბედია, ბიჭვინთის, იკორთის, პიტარეთის საყდრები და მონასტრები, კლდეში გამოჭრილი ციხე-ქალაქები ვარძია და უფლისციხე და მრავალი სხვანი ამშვენებენ ჩვენს მხარეს. მიუხედავად სათნო ქალბატონისა თამარ მეფე იყო მებრძოლი სულის, მეომარი და გაუტყეხელი, უკან არ იხევდა საქართველოს წარმატებისთვის, არცერთ მამაკაცს ტოლს არ უდებდა. დიდი ქრისტიანი, მლოცველი, ქველმოქმედი, მეომართა ოჯახების მფარველი, ქვრივობლებისა და გაჭირვებულთა დამხმარე, ახალგაზრდების გზამკვლევი. გორგასალისა და დავითის გვერდით მისი სახელი დაებეჭდა ქართულ დროშას.

გადიოდა წლები. მტერი შურით შესცქეროდა საქართველოს; არ აწყობდა მათი სამხედრო ძლიერება და რეგულარულად ესხმოდა თავს. განსაკუთრებით მონღოლურ-თათრულმა შემოსევებმა ძირფესვიანად შეა-



რცია ქვეყნის სამეურნეო ცხოვრება. ბედად საქართველოს მოველინა გიორგი V. ხალხმა მასში დაინახა ქვეყნის მზრუნველი და მოამაგე მეფე. მან შეიმუშავა სახელმწიფოს მოწყობის ახალი კანონები და გეგმა. მტრისგან შემოთავაზებებს არ ლებულობდა და პირდაპირ გადადიოდა შეტევაზე. ასე დააშინა და განასხნა თათარნი საქართველოსაგან. დაამხო მონღოლთა 100 წლიანი ბატონობა. გიორგი V „მსოფლიო გმირად“ იქცა. გიორგი V აღადგინა საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტი. საკათალიკოსო ცენტრი იზმირიდან თბილისში გადმოიტანა. კარგი ურთიერთობა დაამყარა რომის პაპთან, ეგვიპტის სულტანმა საქართველოს კვლავ დაუბრუნა ჯვრის მონასტერი – ქრისტეს „აღდგომის“ ეკლესია, „გოლგოთა“ და ქრისტეს საფლავი (ერთიანი სამონასტრო კომპლექსი). დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა საფრანგეთის მეფე ფილიპე V ვალუასთან (1328-1341 წწ.). გიორგი V-მ მოახდინა საქართველოს კვლავ გაერთიანება „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“. მან აღაშენა, აღადგინა და აღამალლა ჩვენი ქვეყანა ვითარცა დავით აღმაშენებელმა. ქართველ კაცს დაუბრუნა თავისი თავის, სარწმუნოების, სამშობლოს რწმენა... ამიტომ უწოდა მამულიშვილებმა „ბრწყინვალე“ და დამსახურებულად მიუჩინეს სამუდამო სასუფეველი გელათს, დავით აღმაშენებლის გვერდით – 1346 წელს. შევდივარ გელათში, დავცქერი საფლავებს და ყურში ჩამესმის „რას ფიქრობთ... არ დათმობთ ჩვენი მონაპოვარი, არ შეგაშინოთ მომხვდურებმა... იმუხტები დადებითად, იქმნება შთაბეჭდილება: ამ ლამაზ მხარეს რამდენი ჭირ-ვარამი უნახავს, რამდენი სიმდიდრე დაუკარგავს, რამდენი გამოცდილება დაუგროვებია. რომ არა მტრის შემოსევები უდავოდ დღეს ერთ-ერთი ეკონომიკურად, პოლიტიკურად და კულტურულად განვითარებული ქვეყანა იქნებოდა. საქართველომ მონღოლთა ურდო დასძლია. თუმცა გამოჩნდა თემურ ლენგი, რომელმაც გამუდმებული შემოსევების სერია განახორციელა საქართველოზე. XIV საუკუნის მეორე ნახევარში 1348 წელს მთელი ძალით იფეთქა ეპიდემიამ, რომელმაც დაასუსტა საქართველო. „სიკვდილის წელი“ ორი ათეული წელიწადი ტრიალებდა ქვეყანაში. საქართველო მოუმზადებელი შეხვდა ახალი საშიში მტრის შემოსევას. თემურმა 7-ჯერ დალაშქრა და დაარბია საქართველო. 17 წელი იბრძოდა ქართველები ულმობელ მტერთან, რომელსაც არავითარი საზავო დებულების გათვალ-

ისწინება არ აინტერესებდა. მისი მიზანი იყო საქართველოს დამონება და მთელი სიმდიდრის ხელში ჩაგდება. ააოხრა და ააწიოკა ციხესიმაგრეები, გადაწვა, მიწასთან გაასწორა კახეთისა და ქართლის მოსავლიანი ადგილები. 50 წლის მოვიდა ჩვენს მიწაზე. უკან მიდიოდა იმედგაცრუებული 67 წლის ბებერი, გატეხილი და დამარცხებული. დიდი მატერიალური ზარალისა და აუარებელი მსხვერპლის ფასად იქნა შესაძლებელი გამარჯვება. სამშობლოსაკენ უკან მიმავალი თემურ ლენგი გზად გარდაიცვალა. მსოფლიოს ჩამოცილდა კაცთმოძულე, ერთ-ერთი უდიდესი მტარვალი და დამპყრობელი. 1407 წელს ქართველები ბრძოლაში ჩაებნენ თურქმანების წინააღმდეგ, რომელიც ორი წელი გრძელდებოდა. ბრძოლა დამთავრდა თურქმანების გაძევებით. საქართველოს ერთიანი სამეფო დაიშალა. დაწესდა საზღვრები სამეფო სამთავროებს შორის. უმთავრესი მიზეზი მრავალრიცხოვანი მტრების არსებობაში უნდა ვეძიოთ. XVI საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალეთის მუდმივი შემოსევების გამო აფხაზეთის რეზიდენცია გადმოაქვთ გელათში. XV საუკუნეში ქართველებმა გარეშე მტრებთან გადაიხადეს 28 ბრძოლა, მოიგეს 18, ნააგეს 10. დაიშალა საქართველო ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად, სამცხის სამთავრო საათაბაგო, ცალკე მისწრაფიან საბედიანო-სამეგრელო და გურია. დაშლილი საქართველო კვლავ იბრძვის მტრის წინაშე, ზარალდება ციხე-სიმაგრეები, მონასტრები, მტერი იტაცებს სიმდიდრე, ძვირფას ნაკეთობებს, ოქრო-ვერცხლს, წიგნებს, ხატებს, ეკლესიების კარებს, კლავენ მშვიდობიან მოსახლეობას, ხოცავენ მეომრებს, ეკლესიის მსახურთ, რომელი ერთი ჩამოვთვალეთ. ამ ჯიშისა და ჯილაგის მქონე ხალხთან მეზობლობა სახიფათოა დღესაც XXI საუკუნეში მზად არიან ტერორი განახორციელონ, ამოხოცონ მშვიდობიანი მოსახლეობა. განსაკუთრებით XVI, XVII, XVIII საუკუნეებში გაძლიერდა ქრისტიანულ საქართველოზე მუსულმანთა შემოსევები. XVI საუკუნეში გათათრებულმა შაჰ-აბას პირველმა გადაწყვიტა საქართველოზე თავდასმა: ამ პერიოდში საქართველოში თავად-აზნაურთა შორის დაპირისპირება და შეჯახებებია, თუმცა აქტიურად მოაზროვნე ადამიანებიც ბლომად იყვნენ, რომლებიც იბრძოდნენ ქვეყნის გადარჩენისთვის. მაგ: გ. სააკაძის ოცნება იყო საქართველოს გაერთიანება, ხალხი მას მხარს უჭერდა. სპარსეთისა და თურქეთის

დიპლომატები მოითხოვდნენ: საქართველოს სააკადის გარეშე, მარაბდის ველზე ბრძოლა საქართველოს გამარჯვებით დამთავრდა. ამ ომში 24 000 მეომარი დაიღუპა, მათ შორის 14 000 ირანელი და 10 000 ქართველი. კახეთის მეფე ერეკლე II და იმერეთის მეფე სოლომონ I მზად იყვნენ ერთმანეთს დახმარებოდნენ ქვეყნის შიდა საქმეების მოგვარებაში და გარეშე მტრების შემოსევების დროსაც. 1762 წელს თეიმურაზ II გარდაცვალების შემდეგ ერეკლე II გაერთიანებული ქართლისა და კახეთის მეფეა. მისი სურვილი იყო გადაერჩინა თავისი ქვეყანა მაჰმადიანური სამყაროს მუდმივი შემოტევებისგან. 1770 წელს აწყურთან ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის დროს რუსეთის ხელმწიფემ ეკატერინე II ერეკლე მეფეს ჯარი გამოუგზავნა დასახმარებლად გენერალ ტოტლებენის სარდლობით. ბრძოლის დაწყების წინ ტოტლებენმა ერეკლე II მიატოვა. ერეკლე ოსმალეთის 8000 ჯარს 3000 ქართველით დაუპირისპირდა. მოკლა ლეკთა განთქმული ბელადი კოხტა-მადაჩილა. მტერი გაანადგურა, ტოტლებენის საქციელმა კი სასტიკად დააეჭვა. 1783 წელს „გიორგიევსკში“ ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების მიზნით, გაფორმდა ტრაქტატი რუსეთის მფარველობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესვლის შესახებ. ხელშეკრულების მიხედვით საქართველო თავის შინაურ საქმეებში სრულიად დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო, რუსეთი კისრულობდა საქართველოს დაცვას გარეშე მტრის ხელყოფისგან. ქართული ჯარი რუსულ სამხედრო ჯარს უნდა შეერთებოდა, გეორგიევსკის ტრაქტატს ქართველი ხალხის შემდგომ ბედ-იღბალში დიდი ისტორიული როლი უნდა შეესრულებინა. ტრაქტატი უნდა გამხდარიყო პირველი ქარტია რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობისა და ძმობის საქმეში ეს ხელშეკრულება გაამართლებდა თუ არა, წინასწარ არავინ იცოდა. 1795 წელს საქართველოს ალა-მაჰმად-ხანი შემოესია. ერეკლე II 3 000 მეომრით კვლავ მარტო დარჩა 30 000 მტრის წინაშე. მტერი უკუაქცია, თუმცა თავადების ლაღატის გამო მოწინააღმდეგე უკან დაბრუნდა ომის ახლიდან გასაჩაღებლად. ამ ბრძოლას 300 თავდადებული არაგველი შეეწირა, რომელთა საფლავებთან გამუდმებით დადიან ქართველები და მუხლმოდრეკილნი ლოცულობენ. მეფემ ვერაფერი გაანყო. უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდა, მიხვდა გეორგიევსკის ტრაქტატის განხორციელებას მომავალი არ ეწერა. რუსეთის პოლიტიკა

საქართველოს არ გამოადგებოდა. მან რუსეთის მიმართ საპასუხო წერილიც მოამზადა, თუმცა სიცოცხლეში პრობლემის გადაწყვეტა ვერ მოასწრო. 1798 წლის 11 იანვარს 78 წლის ასაკში მეფე ერეკლე გარდაიცვალა, დაკრძალულია სვეტიცხოველში. რუსეთი იმთავითვე ცდილობდა საკუთარი მმართველობა განეხორციელებინა საქართველოში, თუმცა ამაოდ. „გეორგიევსკის“ ტრაქტატი თანდათან კარგავდა მნიშვნელობას. ქვეყნებმა დაიწყეს მშვიდობიანი განვითარება. „1783 წლის ხელშეკრულებას საქართველოსთვის სარგებლობა არ მოუტანია რა, ზიანი კი აუარებელი პოლიტიკური მდგომარეობა გაუმჯობესების ნაცვლად გაუარესდა“. (ი. ჯავახიშვილი). XVIII საუკუნეში საქართველოს რუსეთთან დაკავშირებით უკმაყოფილო დარჩნენ ოსმალები და ახალციხის ფაშა სულეიმანიც. თურქეთის ფაშა ტრაქტატამდე ერეკლეს მეგობრობდა, ხოლო შემდეგ ქართველი მეფის მტრად იქცა. თურქეთმა აიძულა რუსეთი ხელი აეღო იმერეთის სამეფოსთან ანალოგიური ხელშეკრულების დადებაზე. 1787 წლის 15 ივლისს ოსმალეთმა რუსეთის დესპანს მოსთხოვა არ ჩარეულიყო საქართველოს საშინაო საქმეებში და ჯარიც გაეყვანა. რუსეთმა ჯარი გაიყვანა ქართლ-კახეთიდან, სამაგიეროდ 1787 წლის 7 სექტემბერს ომი გამოუცხადა თურქეთს. თანდათან მიმდინარეობდა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის დევნა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, დასავლეთ საქართველოს მოქცევა რუსეთის მმართველობაში.

XIX საუკუნის რუსეთის არმიაში არაერთმა ქართველმა ოფიცერმა და ჯარისკაცმა ასახელა საქართველო. ამბობენ: 53 ქართველმა გენერალმა გამოიჩინა თავი 1812 წლის რუსეთის სამამულო ომში. დიდება მათ. 1899 წელს გენერალ მაიორი პეტრე ბაგრატიონი იტალიის ისტორიულ ლაშქრობაში სუვოროვის არმიის ავანგარდს მეთაურობს. თავი გამოიჩინა ალპების გადალახვის დროს. 3-ჯერ დაიჭრა. 1805 წელს ფრანგებთან ომში კუტუზოვის არმიის ავანგარდს მეთაურობდა. განსაკუთრებული სიძლიერე გამოავლინა. შენგრაბენთან ბრძოლაში 1805 წლის 4 ნომბერს, რის გამოც გენერალ-ლეიტენანტის ნოდება მიენიჭა. 1808-1809 წლებში შვედების წინააღმდეგ ომში მეთაურობდა 21-ე დივიზიას. 1809 წელს მიენიჭა ინფანტერიის გენერლის ნოდება და გადაიყვანეს მოლდავეთის არმიის სარდლად-თურქეთის ტერიტორი-

აზუ. პ. ბაგრატიონი დაჯილდოვდა იმპერიის უმაღლესი „წმ. ანდრია“ პირველნოდებულის ორდენით. დაკრძალულია ბოროდინოს ველზე. ნუ გადაუსვამთ ხაზს წარსულს. ხალხი მაშინ არის მაგარი, როცა წარსულის გაცნობით ფეხქვეშ ნიადაგს პოულობს. სხვადასხვა საუკუნეებში ქართველებს რუსეთისათვის უომია, ბევრი სისხლი დაუღვრია ვიდრე თვით რუს ხალხს. შეიძლება დავივიწყოთ? პეტრე ივანეს-ძე ბაგრატიონი, რომელიც სუვოროვისა და კუტუზოვის გვერდით სამართლიანად ითვლება თვალსაჩინო ფიგურად სამხედრო ხელოვნების ისტორიაში. განსაცდელის ჟამს არასოდეს კარგავდა სულიერ სიმშვიდეს, წონასწორობას. მისი სახელი დაკავშირებულია რუსი ხალხის სამხედრო დიდებასთან. 30 წლის განმავლობაში თავდადებით იცავდა რუსეთის დამოუკიდებლობას, მის თავისუფლებას, მინა-წყალს. უმაღლესი სარდლობა პ. ბაგრატიონს აგზავნიდა ბრძოლების ყველაზე საშიშ უბნებზე, სადაც გამარჯვების მოპოვება ძალიან სასეჭვო თითქმის შეუძლებელი იყო. პეტრე ბაგრატიონმა სუვოროვისაგან ისწავლა „გამარჯვების მეცნიერება“. „თვალზომა, სისწრაფე, შეტევა“. ბრძოლის დროს ჯარისკაცებს არ ეშინოდათ, რადგან იბრძოდნენ ლეგენდარული გმირის გვერდით. რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი მსოფლიოს მხედართმთავრები მასთან შეჯახებას ერიდებოდნენ. პეტრე ბაგრატიონი რუსეთის დიდი პატრიოტი იყო, რუსეთს თავის მეორე სამშობლოდ აღიარებდა და სიცოცხლეც რუსეთისათვის ბრძოლას შეაღწია. წარმოშობით ქართველმა. მის ამაგს დავიწყება არ უნერია. სამარადისო დიდება მას. ჩვენც ქართველები ვართ, ქრისტიანები და შემწყნარებლები.

ჩვენს მშობელ მინაზე ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ დიდი რუსი პოეტები და მწერლები: ა.ს. გრიბოედოვი, ა.ს. პუშკინი, მ.ი. ლერმონტოვი, ლ.ნ. ტოლსტოი, ა.ე. ოსტროვსკი, ა.მ. გორკი, სახელოვანი მუსიკოსი. პ. ჩაიკოვსკი და მრავალი სხვანი. მათმა შესანიშნავმა ქმნილებებმა კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინეს საქართველოს მომავალზე. განსაკუთრებით რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების: ბ.გ. ბელინსკის, ა.ი. გერცენის, ნ.გ. ჩერნიშევსკის, ნ.ი დობროლიუბოვის იდეებმა ხელი შეუწყო საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. თავისუფლებისათვის მგზნებარე მებრძოლებად, პროგრესული იდეების სულიერ მამებად XIX საუკუნის მეორე ნახ-

ევარში მოგვევლინენ გამოჩენილი ქართველი პოეტები და საზოგადო მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, სერგეი მესხი და სხვები. რუსეთი ყველანაირად ცდილობდა ქართული ენის განდევნას სალიტერატურო ენიდან, ქართული კულტურის, ტრადიციების და ზნე ჩვეულებების ამოძიკვას. მათი მიზანი იყო საქართველოს დასუსტება. საჩუქრებად გასცეს უნიკალური ნაკეთობები, ქართული ხელნაწერები, ხატები, საეკლესიო წიგნები, მეფეთა ნახმარი იარაღები, სამუზეუმო ნაკეთობანი, იყიდებოდა „ვეფხვისტყაოსნის“ ხელნაწერები. ერთ-ერთ ინგლისელ სტუმარს უთქვამს: „ეგ ისეთი რამ გქონიათ, ეროვნული სიამაყის საგანია და არ უნდა გაყიდოთ“. (ლ.სანიკიძე) კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა ქვეყნის ეროვნული საქმე იყო. ამ პერიოდში ქართული ისტორიული ძეგლების გადარჩენისათვის გასაოცარი ენერგიით იბრძოდა ექვთიმე თაყაიშვილი. მან მოიძია მანამდე უცნობი „ვეფხვისტყაოსნის“ ძველი ხელნაწერები, სანაგვეში აღმოაჩინა გიორგი ბრწყინვალეს დროინდელი უმნიშვნელოვანესი ძეგლი- „ხელმწიფის კარის გარიგება“, გამოსცა კრებული: „ძველი საქართველო“ და „საქართველოს სიძველენი“ (1908). ექვთიმე თაყაიშვილის სახით ქვეყანას მოევლინა ძლიერი სწავლული და თავდადებული მამულიშვილი. 1918-1921 წლები. საქართველომ სამი წელი შეინარჩუნა დამოუკიდებლობა, თუმცა მალე ნოე ჟორდანიას მთავრობა ემიგრაციაში გადაიხვეწა საფრანგეთში. ექვთიმემ აიღო პასუხისმგებლობა ქართული საგანძურის მოვლა-პატრონობის შესახებ. მიუხედავად ბევრი შემოტევისა და დაინტირესებისა, შიმშილის, სიდუხჭირის და გაჭირვებისა ექვთიმემ თვალისჩინივით გაუფრთხილდა საქართველოს საგანძურს და უკლებლივ ჩამოიტანა სამშობლოში. მისი სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერა საქართველოს ისტორიაში. ამბობენ : წმინდა „ექვთიმე“- I –ათონელი, და წმინდა „ექვთიმე“-II თაყაიშვილი.

XX საუკუნის პირველი ნახევარი (1941-1945წწ) ქართველი ხალხი რუსი ხალხის გვერდით თავგანწირვით იბრძვის ფაშიზმის წინააღმდეგ, ათასობით მოხალისე ეწერებოდა ქვედანაყოფებში. სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნეს მრენველობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოები. არმიისათვის ამზადებდნენ მრავალი სახეობის სამხედრო პროდუქციას, დატვირთული ეშელონები

იგზავნებოდა მეომრებს ომში. ქართველმა ხალხმა გამოავლინა მეგობრომისა და გამტანობის გამორეული სული. 700 000 მეომარი დაჯილდოვდა ორდენებით და მედლებით, ხოლო 164 სახელოვან შვილს მიენიჭა გმირის წოდება. რომელი ერთი ჩამოვთვალო: მკვდრები თუ ცოცხლები. ყველას უკვდავება და დაფასება ჭირდება. ინტერნაციონალური ერთიანობის ნათელ სიმბოლოდ იქცა რუსი მიხეილ ეგოროვისა და ქართველი მელიტონ ქანთარიას სიმამაცე, რომლებმაც 1945 წლის 30 აპრილს გერმანიის რაიხტაგზე აღმართეს გამარჯვების დროშა.

გადიოდა წლები, განვითარების სწრაფი ტემპებისა და ფართო მასშტაბების გამო ქვეყნებს შორის ურთიერთობები შეიცვალა, მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკაში გაჩნდნენ ლიდერები. დაიწყო თავისუფალი კონკურენცია. საერთაშორისო განვითარებამ ხელი შეუწყო დიდი ქვეყნების დაშლას. XX საუკუნის 80-იანი წლებიდან რუსეთის იმპერია “ე.წ. სსრკ” განიცდის კრიზისს, რომელიც მარცხით მთავრდება, იმპერიის დაშლამ გამოიწვია მოკავშირე ქვეყნების დამოუკუდებლობის სურვილი. საქართველოში გაიღვიძა ეროვნულმა იდეებმა, ზ.გამსახურდიას, მ.კოსტავას, ზ.ჭავჭავაძეს, ი.წერეთლის და სხვათა მონაწილეობით. კვლავ დაიძაბა ურთიერთობა რუსეთ-საქართველოს შორის. 1978 წლის აპრილი, რუსეთის მცდელობა კონსტიტუციის პროექტიდან ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის ამოღების შესახებ. ქართული ინტელიგენციის აქტიური და პრინციპული მოთხოვნით ჩაიშალა რუსეთის მზაკვრული გეგმა. 1989 წლის 9 აპრილი, რუსთაველის გამზირზე ათასობით მომიტინგეებს რუსულმა ტანკებმა გადაუარეს, კვლავ მწუხარებამ და სევდამ დაისადგურა საქართველოში. ძლიერი ეროვნული ლიდერების ზეგავლენით და ქართველების გაუტეხლობით დადგა 1991 წლის 31 მარტი, ჩატარდა რეფერენდუმი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე. 1991 წლის 26 მაისი საქართველოს ყავს საჯაროდ არჩეული I პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რომელსაც მსოფლიოს დემოკრატიულმა ძალებმა და ქვეყნებმა დაუჭირეს მხარი. დაიძაბა ურთიერთობა რუსეთ-საქართველოს შორის. გაურკვეველ ვითარებაში კლავენ პირველ პრეზიდენტს საქართველოს სიყვარულის და ერთგულების სიმბოლოს. სახელმწიფოს სათავეში მოდის II პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. რუსეთი სეპარატისტული

ძალების გააქტიურებით ახორციელებს თავდასმებს, მოსახლეობის ანიოკებას, აყრას საცხოვრებელი ადგილებიდან. არის სერიოზული მსხვერპლი, როგორც აფხაზეთიდან ასევე ოსეთიდან. ხელისუფლება კრიზისშია. “ვარდების რევოლუციის” შედეგად საჯაროდ ირჩევენ საქართველოს III პრეზიდენტს – მიხეილ სააკაშვილს. მან პირველმა გაუწოდა მეგობრობის ხელი რუსეთის პრეზიდენტს, თუმცა უშედეგოდ. ევრო კავშირის ქვეყნებმა დაგმეს რუსეთის აგრესია. აშშ-მ აშკარად გამოხატა საქართველოს მიმართ პოლიტიკური და ეკონომიკური თანადგომა. განახორციელა ფართო მასშტაბიანი სამხედრო პროგორამა, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს შეიარაღებული ძალების მონაწილეობას საერთაშორისო მისიებში. აღუთქვა სერიოზული ფინანსური დახმარებაც. ფიქრი, რომ საქართველო ერთხელ და სამუდამოდ ეკუთვნის რუსეთს გაქარწყლდა. ქვეყანამ აიღო კურსი დასავლეთისკენ. ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ოცნება - ეცხოვრათ დამოუკიდებელ, თავისუფალ, სამართლიან ქვეყანაში სინამდვილედ იქცა. როგორც ი.ჭავჭავაძე წერდა: “ჩვენი კაცთმოყვარეობა და ზნეობითი მოვალეობაა ძმის წინაშე, რაც უნდა გაუნათლებელი ხალხი იყოს, ოღონდ აჩვენეთ, იმის სატკივარს საიდან ეშველება და გვერწმუნეთ, რომ დიდი და პატარა კარზე მოგადგებათ”.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის მკვეთრად გამოკვეთილმა პროდასავლურმა ორიენტაციამ პრეზიდენტ მ.სააკაშვილის ენერგიულმა მცდელობამ, საქართველო გამხდარიყო ნატოს წევრი ქვეყანა, შეაშფოთა რუსეთი. დაიწყო წარუმატებელი შეხვედრები სეპარატისტ ოს და აფხაზ ლიდერებთან, რუსეთის მიერ 2008 წლის ივლის-აგვისტოში ჩატარდა უპრეცედენტო დიდი რაოდენობის წვრთნები სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში. განხორციელდა უთვალავი რაოდენობის მძიმე ტექნიკის შემოტანა. მიმდინარეობდა თავდასხმები მშვიდობიან მოსახლეობაზე, რომელიც ხშირად მსხვერპლით მთავრდებოდა. ყოველივე ეს გახდა 2008 წლის აგვისტოს ომის მიზეზი. რატომ ჩაებნენ ორმხრივ ფართო მასშტაბიან ომში? ქართველმა ხალხმა, საჯარისო შენაერთებმა და მათმა ხელმძღვანელებმა კარგად იცოდნენ რომ რუსეთის არმიას ვერ გაუმკლავდებოდნენ. თუმცა ბრძოლის ველზე მოულოდნელად დალუპული ჯარისკაცების დაღვრილი სისხლის საპასუხოდ, ანწუხელიძის გმირობის

სადიდებლად და საქართველოს ღირსების დასაცავად მიიღეს გადამწყვეტილება გადასულიყვნენ შეტევაზე და შეეჩერებინათ მონინალმდევის ჭარბი ძალების წინსვლა, რაც ქართულ მხარეს დასავლური მხარდაჩერის მობილიზაციისთვის დროს მოაგებინებდა. რამდენი ომის გამოცდილება დაგვიტოვეს ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა, მხოლოდ ეს ამხნევებდა ქართველ მეომრებს. არცერთ მომხდურ მტერს რუსეთის მსგავსად არ გაუჩანაგებია საქართველო. ქართულმა საჯაროსო შენაერთებმა რამოდენიმე დღით შეაჩერეს მტერი და მიაყენეს საგრძნობი დანაკარგი. მოგებული დროის განმავლობაში შესაძლებელი გახდა რუსეთის მიმართ დასავლეთის ერთიანი მწვავე პოზიციის ჩამოყალიბება. რუსეთმა ვერც სამხედრო გზით შეძლო საქართველოს საგარეო კურსის შეცვლა, ევრო კავშირისა და ა.შ.შ-ს თანადგომამ, მსოფლიო დემოკრატიული ძალების ზეგავლენამ შეაჩერა რუსეთის აგრესია, თუმცა ლტოლვა ანექსიისა და ოკუპაციის შესახებ მტერს დღესაც არ ასვენებს. რაც შეეხება აფხაზეთს და ოსეთს ჩვენ ერთი მიწა წყალი გაგ-

ვანია. არავის დაუბარებია ამ მიწის გაყოფა, უძველესი წარსულის მქონე სახელმწიფოში ვცხოვრობთ, ვამაყოფთ საკუთარი წარსულით და დამწერლობით, მეცნიერული მიღწევებით, პროგრესული ახალგაზრდობით, ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული განვითარებით, ახლებური მართვის შესაძლებლობებით. რატომ უწყობთ ხელს ჩვენს ძირძველ მიწაზე თქვენს გადაშენებას და სხვა ერების მოშენებას? გაივლის წლები და ინანებთ. რად გინდათ გაურკვეველი სტატუსი. არსებობს პრობლემის გადაჭრის მშვიდობიანი მოგვარების წესი, სჯობს ქართველებთან ერთად დავსხდეთ, ვიმჯელოთ, გამოვასწოროთ ჩადენილი შეცდომები და გადავხვიოთ ერთმანეთს. ნუ დავდგებით სამართლის წინაშე, თორემ მკაცრად დავისჯებით. ყველას გვახსოვდეს: ეს მიწა მარიამ ხვთისშობლის ნაბოძებია, რომელმაც მტერი შეაჩვენა „არავინ მტერთაგანი მძლე ექნეთ მათ“.

წინ ახალი გამოწვევები გველის. ბრძოლა საქართველოსთვის არ დამთავრებულა.

### რეზიუმე

წამრომი ეძღვნება საქართველოს ლეგენდარულ გმირებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქვეყნის გამთლიანებასა და განმტკიცებაში. იბრომეს, ქვეყანა ფეხზე დააყენეს, იბრძოლეს სხვადასხვა რჯულის მტრებთან, გაუძლეს შიდა არეულობებს, ეკონომიკურ სიდუხჭირეს, ბოლშევიზმის მოთხოვნებს, შესაშური გმირობის ფურცელი ჩანერეს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, გაუძლეს კომუნისტურ რეჟიმს, ბევრი სადავო საკითხები გადაჭრეს, თუმცა ცხოვრების ინტერესები და პრობლემები არ მთავრდება. ქართველი ხალხი ბაასობს: რა უფრო სჯობს: მშვიდობისთვის, კარგი ურთიერთობებისთვის, უკეთესი სახელმწიფოს მონყობისთვის. ჩვენს წინაშეა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გაურკვეველი მოთხოვნები. საქართველოს ბევრი გამოწვევები აქვს – (აშშ) პარტნიორი ქვეყნის წინაშე ავტორიტეტის შექმნა, ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის განმტკიცება, ნატოში ინტეგრაცია, საშინაო საკითხების მოგვარება, ქვეყნის ძლიერება და წინსვლა. იმედია წინააღმდეგობების დაძლევა მიგვიყვანს ჭეშმარიტებამდე. ბრძოლა საქართველოსთვის გრძელდება.

### SUMMARY

The work is dedicated to the legendary heroes of Georgia, who have made a significant contribution in the unification and strengthening of the country. They worked hard, kept their country on its feet, fought against different enemies, endured the internal unrests of the country, economic hardship and the requirements of Bolshevism, they showed enviable heroism in the fight against fascism, survived the Communist regime and solved many controversial issues, but the interests and the problems of life are endless. The Georgian people talks about: what is better: for peace, good relations, arrangement for better State. There are uncertain demands of Abkhazia and South Ossetia before us.

Georgia faces many challenges: establishment of its authority before the partner country (USA), cooperation strengthening with European countries, integration with NATO, arranging of internal issues throughout the country, reinforcement and progress of the country. Hopefully, overcoming the obstacles will bring us to the truth. The fight is continuous in Georgia.

# ВЛИЯНИЕ ИЗМЕНЕНИЙ ОКРУЖАЮЩЕЙ СРЕДЫ НА ЗДОРОВЬЕ ЧЕЛОВЕКА

МЕДЕА МЧЕДЛИДЗЕ

Ассоц. Профессор, доктор биологических наук

Человек на протяжении веков стремился не приспособиться к природной среде, а сделать ее удобной для своего существования. Теперь мы осознали, что любая деятельность человека оказывает влияние на окружающую среду, а ухудшение состояния биосферы опасно для всех живых существ, в том числе и для человека. Ведь до 85% всех заболеваний современного человека связаны с неблагоприятными условиями окружающей среды возникающими по его же вине.

Глобальные изменения в последние годы превратились в основную проблему исследований в области окружающей среды главным образом благодаря тому огромному влиянию, которое она по всей вероятности будет оказывать на мировое сообщество.

Отрицательное воздействие на окружающую среду оказывают промышленные предприятия, автотранспорт, испытания ядерного оружия чрезмерное применение минеральных удобрений и пестицидов и др. Интенсивные темпы деградации окружающей среды создают реальную угрозу существованию самого человека.

Адаптационные системы организма оказались беззащитными перед новыми видами биологической агрессии. Загрязнения внешней среды привело к загрязнению среды внутренней. Мало того, что катастрофически падает здоровье людей: появились ранее неизвестные заболевания, причины их бывает очень трудно установить. Реакции организма на загрязнения зависят от индивидуальных особенностей: возраста, пола, состояния здоровья. Как правило, более уязвимы дети, пожилые и престарелые, больные люди. При систематическом или периодическом поступлении организм сравнительно небольших количеств токсичных веществ происходит хроническое отравление. Признаками хронического отравления являются нарушение нормального поведения, привычек, а также нейропсихического отклонения: быстрое утомление или чувство постоянной усталости, сонливость или, наоборот, бессонница, апатия, ослабление внимания, забывчивость, сильные колебания настроения.

Высокоактивные в биологическом отношении химические соединения могут вызвать эффект отдаленного влияния на здоровье человека: хронические воспалительные заболевания различных органов, изменение нервной системы, действие на внутриутробное развитие плода, приводящее к различным отклонениям у новорожденных. В некоторых регионах аллергическими заболеваниями страдает свыше половины детского населения. В основе всего этого лежит загрязнение организма токсичными веществами и нарушением эндоэкологического равновесия. Чтобы сохранить здоровье и выжить в сложившихся условиях экологического и социально-экономического неблагополучия, необходимо периодически очищать организм – снижать уровень накапливающихся в нем токсичных веществ до относительно безопасных пределов. Большинство экологически негативных последствий деятельности людей проявляется в виде изменения атмосферы — ее физического и химического состава. Выбросы промышленных предприятий энергетических систем и транспорта в атмосферу водоемы и недра достигли таких размеров, что в ряде районов земного шара уровни загрязнения значительно превышают допустимые санитарные нормы. Техногенные воздействия на атмосферу стали причиной таких глобальных изменений, как “парниковый эффект”, разрушение озонового слоя, выпадение кислотных дождей. Именно загрязнение атмосферы в наибольшей мере истощает адаптационные возможности человеческого организма. Атмосфера обладает мощной способностью к самоочищению от загрязняющих веществ. Движение воздуха приводит к рассеиванию примесей.

Пылевые частицы выпадают из воздуха на земную поверхность под действием силы тяжести и дождевых потоков. Многие газы растворяются во влаге облаков и с дождями также достигают почвы. Воздух очищается от пыли и газа в кронах лесных деревьев. Под воздействием солнечного света в атмосфере погибают болезнетворные микробы. Но в настоящее время объем ежегодно выбрасываемых в атмосферу вредных веществ в мире резко возрос и составляет многие миллионы

тонн. Это превышает пределы способности атмосферы к самоочищению. Особенно неблагоприятно складывается экологическая обстановка в городах, где сосредоточены крупнейшие промышленные объекты. Загрязнение атмосферы может принять опасный характер в течение какого-то определенного времени на той или иной территории.

Разрушение озонового слоя особенно значительно над полюсами Земли и в зонах полета космических аппаратов и сверхзвуковой авиации. Среда обитания человека - окружающая среда - характеризуется совокупностью физических, химических и биологических факторов, способных при определенных условиях оказывать прямое или косвенное немедленное или отдаленное воздействие на деятельность и здоровье человека. Химические загрязнения среды и здоровье человека. В настоящее время хозяйственная деятельность человека все чаще становится основным источником загрязнения биосферы. В природную среду во все больших количествах попадают газообразные, жидкие и твердые отходы производств.

В атмосферу выбрасывается в основном диоксид азота  $NO_2$  – бесцветный не имеющий запаха ядовитый газ, раздражающе действующий на органы дыхания. Особенно опасны оксиды азота в городах, где они взаимодействуют с углеводами выхлопных газов, где образуют фотохимический туман - смог. Отравленный оксидами азота воздух начинает действовать с легкого кашля. При повышении концентрации  $NO$ , возникает сильный кашель, рвота, иногда головная боль. При контакте с влажной поверхностью слизистой оболочки оксиды азота образуют кислоты  $HNO_3$  и  $HNO_2$ , которые приводят к отеку легких.  $SO_2$  - бесцветный газ с острым запахом, уже в малых концентрациях

(20-30 мг/м<sup>3</sup>) создает неприятный вкус во рту, раздражает слизистые оболочки глаз и дыхательных путей. Образование кислотных дождей связано с поступлением во влажную атмосферу оксида серы и азота. Кислотные дожди снижают плодородие почв, ухудшают здоровье населения.

Для того чтобы точно определить функциональную оценку окружающей среды необходимо рассмотреть показатели загрязнения ( $X, Y$ ) по которым должен быть сделан анализ функционального ритма экосистемы. С этой целью может быть использовано определение Лоренца  $X$ - доминирует над  $Y$  покажем это так  $Lx > Ly$  если

$$1) X_1 + X_2 + \dots + X_j \geq Y_1 + Y_2 + \dots + Y_j; \quad j=1, 2, \dots, (n-1)$$

$$2) X_1 + X_2 + \dots + X_j \geq Y_1 + Y_2 + \dots + Y_j, \quad \text{для } j < n$$

отметим, здесь  $\sum_{i=1}^n X_i = \sum_{i=1}^n Y_i = 1$  и  $X, Y \in \Omega$

Вслучае удовлетворения этого условия, можем сказать, что  $X$  --соответствует больше функционального ритма экосистемы, чем  $Y$ .

Благодаря этой оценке мы сможем точно, предсказать, какое инфекционное заболевание возможно должно распространится, какие оксиды загрязняют окружающую среду, а так же предотвратить разрушение экосистемы.

Окружающий нас мир и наш организм, это единое целое, все выбросы и загрязнения поступающие в среду обитания это урон нашему здоровью. Единству природы и человека должно соответствовать единство знаний о природе и человеке. Но как бы велики ни были наши знания, следует помнить о незнании. Именно им определяются вредные нежелательные последствия человеческой деятельности.

#### Список используемой литературы:

1. მ. მჭედლიძე, მ. ნოზაძე „ზოგიერთი ფაქტორის განხილვა, რომელიც იწვევს ეკოლოგიურ დაბინძურებას - ჟურნალი „ჰიდრომეტეოროლოგია 4 „ 2007 წ.
2. მ. მჭედლიძე, Влияние деятельности человека на биосферу, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, „თანამედროვე მეცნიერული პრობლემები“ გორი, საქართველო 2013
3. М. Мчедლიдзе, М. Григалашвили О прогнозировании радиационной обстановки с использованием подхода теории игр „მერმისი“-IV, RUSTAVI 2010წ.

## რეზიუმე

### გარემოსდაცვითი ცვლილებების გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე

მ.მჭედლიძე ასოც.პროფესორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ფაქტორები, რომლებიც იწვევენ ქიმიური ნივთიერებების დაშლას გარემოში, შეიძლება იყოს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური. ქიმიური დაშლა განაპირობებს ბუნებრივი პროცესების შეცვლას. ბინძურდება წყალი, ნიადაგი, მცენარეები და ა. შ. რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას.

აღსანიშნავია, რომ უნდა ტარდებოდეს „წყაროების“ სისტემური მონიტორინგი, რათა გარემო იყოს დაცული, ხოლო ეკოლოგთა და გარემოს დამცველთა სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს მოსახლეობისა და ტერიტორიების სრული დაცვა ქიმიური დაშლის პროცესების მავნე ზემოქმედებისაგან.

## SUMMARY

The impact of environmental changes on human health.

M. G. MCHEDLIDZE Ass. Professor .

Doctor of Biological Sciences

Factors that cause chemical disintegration in the environment may be both natural and artificial. Chemical disintegration causes the change of natural processes.

Water, soil, plants and so on. Which threatens human health. It should be noted that systemic monitoring of “sources” should be maintained in order to ensure environmental protection and the strategic goal of ecologists and environmental protection is to protect the population and territories from harmful effects of chemical disintegration processes.



# ეკოლოგიური ტურიზმის თავისებურებანი ეკოლოგიური ტურიზმის ჩასახვის წინაპირობები

## თამარ ბუკია-ვერულაშვილი ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

ეკოლოგიური ტურიზმის ჩასახვის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია სულ უფრო და უფრო მზარდი დატვირთვა ბუნებრივ და კულტურულ-ისტორიულ რესურსებზე, რომელიც გამოწვეულია ტურიზმის მასობრივობით და იზრდება ტურიზმის ზრდის პირდაპირპროპორციულად. სახეზე გვაქვს აშკარა წინააღმდეგობა ტურისტული მოთხოვნების დაკმაყოფილებასა და ტურისტული რესურსების რაციონალურ გამოყენებას შორის. ნეგატიური ასპექტები გამოვლინდა ჯერ კიდევ 1970-იან წლებში. 1973-1983 წწ-ში ევროპის საწყალოსნო მარშრუტების სიგრძე შემცირდა 40%-ით, საზღვაოსი კი - 70 %-ით. დაზიანებულ ადგილთა ფართობი გაიზარდა 60 %-ით.

მსოფლიო ტურისტული მეურნეობის გლობალიზაციის ზრდასთან ერთად მატულობდა ისეთი ნეგატიური ცვლილებებიც დედამიწის გეოსფეროში, როგორცაა:

- კლიმატური ცვლილებები;
- ნიადაგის დეგრადაცია;
- ეკოსისტემების რღვევა და ბიოლოგიური სახეობების შემცირება;
- ჰაერის, წყლისა და ნიადაგების დაბინძურების ზრდა;
- ადამიანის ქმედებებით გამოწვეული ბუნებრივი ზარალი;
- მოსახლეობის არაკონტროლირებადი მატება;
- კვებითი უსაფრთხოება და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მუქარის ზრდა.
- ენერჯისა და სხვა ბუნებრივი რესურსების მარაგის შეზღუდულობა.

1996 წელს მტო-ს ეგიდით შემუშავდა 21-ე საუკუნეში ტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფცია. ის ეფუძნებოდა შემდეგ პრინციპებს:

- მოგზაურობამ და ტურიზმმა ხელი უნდა შეუწყოს ადამიანებისა და ბუნების ჰარმონიზაციას;
- მოგზაურობამ და ტურიზმმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ეკოსისტემების შენახვის, დაცვისა და აღდგენის საქმეში;
- მოგზაურობა და ტურიზმი უნდა ეფუძნებოდეს წარმოებისა და მოხმარების

სიცოცხლისუნარიან მოდელებს;

- გარემოს დაცვა უნდა იყოს ტურიზმის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილი;
- ტურიზმის განვითარების პრობლემებში აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ ადგილობრივი ხელისუფლება და დაინტერესებული მოქალაქეები;
- სახელმწიფოებმა დროულად უნდა შეატყობინონ ერთმანეთს იმ ბუნებრივი თუ ტექნოგენური უბედურებებისა და კატასტროფების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიონ ტურიზმის სფეროზე;
- ტურიზმის ინდუსტრიის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს საერთაშორისო სამართალი გარემოს დაცვის სფეროში.

### ტურიზმის ზემოქმედება ბუნებრივ კომპლექსებზე

ტურიზმის ზემოქმედება ბუნებრივ კომპლექსებზე შეიძლება იყოს პირდაპირი და ირიბი.

#### პირდაპირი ზემოქმედება მოიცავს:

- ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლების გაჩანაგებას ნადირობისა და თევზაობის დროს;
- ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლების არსებობისთვის აუცილებელი ბუნებრივი პირობების განადგურებას ამ ტერიტორიების სამეურნეო საქმიანობაში ჩართვით;
- მცენარეებისა და ცხოველების ცხოველმყოფელობის ბუნებრივ პროცესებში ჩარევას;
- ინფექციისა და ავადმყოფობათა შეტანა-გავრცელებას ადამიანის მიერ მოხმარებული პ[როდუქტების საშუალებით.

#### ირიბი ზემოქმედება მოიცავს:

- ბუნებრივი საცხოვრებელი გარემოს შეცვლას;
- გლობალური ზემოქმედება გეოგრაფიული გარემოს კომპონენტებზე (ნიადაგისა და ზედაპირული წყლების დაბინძურება, ტყეების გაჩეხვა და ნიადაგის ეროზია, ატმოსფეროს დაბინძურება და ა. შ.).

ორნაირად ხდება ბუნებაზე ტურიზმის გავლენის პროცესის მართვაც: პირდაპირ და ირიბად.

**მართვის პირდაპირი ვარიანტი** მოიცავს: ვიზიტორთა საერთო რაოდენობის განსაზღვრულობას; განსაკუთრებით ძვირფასი და მნიშვნელოვანი ობიექტებისა და ტერიტორიების დაკეტვას ვიზიტორთათვის; თანამედროვე ტექნიკური საშუალებებისა და უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებას გარემოს დაბინძურების მინიმუმამდე შემცირების მიზნით.

**მართვის ირიბი ვარიანტი** ეფუძნება ტურისტების ქცევის შეცვლას მათი განათლების დონის ამაღლების გზით; ადგილობრივი მოსახლეობისადმი, ცხოველებისა და მცენარეებისადმი ტურისტების მიდგომის შეცვლას უკეთესისკენ, მათთან სათანადო საუბრებისა და ტრენინგების ჩატარების გზით. ეს ორივე მეთოდი ძალზე მნიშვნელოვანია ბუნებრივი გარემოსა და ეკოლოგიის შენარჩუნებისათვის.

### **ეკოლოგიური ტურიზმის რაობა და ნიშნები**

**ეკოლოგიური ტურიზმი** – ეს არის მოგზაურობა შედარებით ნაკლებდაბინძურებულ და ნაკლებადშეცვლილ რაიონებში, რომელშიც მრავლადაა უნიკალური ბუნებრივი ობიექტები. ეკოტურიზმი – ბუნებრივი ტურიზმი, რომელიც მოიცავს გარემოს შესწავლას. ის ეფუძნება გარემოზე ზრუნვის აუცილებლობას. წინა პლანზე გამოდის მოგზაურობის ორგანიზაცია მონაწილეთა შეზღუდული რაოდენობით ბუნებრივ ზონებში, სადაც მრავლადაა ისეთი ობიექტები, რომლებიც ინტერესს წარმოადგენენ ტურისტთათვის.

მტო–ს განსაზღვრებით, „ეკოლოგიური ტურიზმი – ეს არის ძალზე მნიშვნელოვანი მოგზაურობა ბუნებრივ ზონებში, გარემო პირობების შენარჩუნებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით.“

ეკოტურიზმის რაობის უკეთ გასაგებად ეკოტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციამ შეიმუშავა „ეკოტურისტის 10 მცნება“:

1. გახსოვდეს, – გულს ნუ ატყენ მიწას;
2. დატოვე მხოლოდ კვალი, წაიღე მხოლოდ ფოტოსურათი;
3. შეისწავლე სამყარო, რომელშიც მოხ-

ვდი: ხალხის კულტურა და გეოგრაფია;

4. პატივი ეცი ადგილობრივ მოსახლეობას;

5. ნუ შეისყიდი მწარმოებლის მიერ გამოშვებულ იმ ნაწარმს, რომელიც ზიანს მოუტანს ბუნებრივ გარემოს;

6. იარე მხოლოდ გაკვალული ბილიკებით;

7. მხარი დაუჭირე ბუნებრივი გარემოს დამცველ პროგრამას;

8. ისარგებლე ბუნებრივი გარემოს დამცველი მეთოდებით;

9. მხარი დაუჭირე იმ ორგანიზაციებს, რომლებიც იბრძვიან ბუნებრივი გარემოს დასაცავად;

10. იმოგზაურე იმ ფირმებთან ერთად, რომლებიც მხარს უჭერენ ეკოტურიზმის პრინციპებს.

### **ეკოლოგიური ტურიზმის ნიშნებია:**

- მთელი ტურის განმავლობაში ტურისტი შეისწავლის ბუნებრივ გარემოს;

- მოგზაურობის დროს ბუნება წარმოადგენს მთავარ ფასეულობას;

- ეკოტურიზმიდან მიღებული შემოსავალი მიმართულია ბუნებრივი გარემოს დაცვის ფინანსური მხარდაჭერისკენ;

- ეკოტურისტები პირადად ღებულობენ მონაწილეობას იმ ქმედებებში, რომლებიც მიმართულია ბუნებრივი გარემოს დაცვისა და აღდგენისკენ;

ეკოლოგიური ტურიზმის ნიშნები ეფუძნება თავად ეკოტურიზმის განსაზღვრებებს, რომლებიც, თავის მხრივ იყოფა პასიურ და აქტიურ განსაზღვრებებად. მათ საფუძველზე კი შეიძლება გამოვყოთ ეკოტურიზმის **სამი ძირითადი კომპონენტი:**

1. **„ბუნების შეცნობა“** – ანუ მოგზაურობა მოიცავს ბუნების შესწავლის ელემენტებს, ტურისტების მიერ გარკვეული გამოცდილებისა და ცოდნის შეძენას;

2. **„ეკოსისტემების შენარჩუნება“** გულისხმობს არა მხოლოდ ჯგუფის შესაბამის მოქმედებას ტურისტულ მარშრუტზე, არამედ ტურისტთა და ტუროპერატორთა მონაწილეობას ბუნებრივი გარემოს დასაცავად გამიზნულ პროგრამებში;

3. **„ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების პატივისცემა“** გულისხმობს არა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის ადათ–წესების დაცვას, არამედ ტურიზმით მიღებული შემოსავლის გარკვეული ნაწილის ჩადებას ტურისტული დესტინაციების სო-

ციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

ამ კომპონენტთან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობის შემთხვევაში აღარ არსებობს სრულ ეკოტურიზმი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეკოტურიზმის განმარტებას შეიძლება ასეთი სახეც მიეცეს:

**ეკოტურიზმი** – ტურიზმის სპეციალური სახეა, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს ტურისტული მოთხოვნები, დაკავშირებული ტურისტულ მოთხოვნილებებთან, რომ შეისწავლონ ბუნებრივი გარემო და გარკვეული წვლილი შეიტანონ ეკოსისტემების შენარჩუნებაში და ამასთანავე პატივი სცენ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს.

### ეკოლოგიური ტურიზმის სახეები

დღესდღეობით არჩევენ ეკოტურიზმის ოთხ სახეობას:

1. სამეცნიერო ტურიზმი;
2. ბუნების ისტორიის ტურები;
3. სათავგადასავლო ტურიზმი;
4. მოგზაურობები ბუნებრივ ნაკრძალებსა და რეზერვაციებში.

1. **სამეცნიერო ტურიზმის** ეკოსახეობაში ტურისტების ობიექტებად გვევლინება **დაცული ტერიტორიები** (ანუ ტერიტორია, რომელსაც მინიჭებული აქვს სპეციალური სტატუსი, რათა დაცული იყოს აღნიშნული ტერიტორიის ფიზიკური მახასიათებლები, დაცული იყოს როგორც კულტურული მემკვიდრეობა): **ნაკრძალები, აღკვეთილები და ეროვნული ტყე-პარკები**. სამეცნიერო ეკოტურების დროს ტურისტები მონაწილეობენ სხვადასხვაგვარ კვლევით ექსპედიციებში, ატარებენ სავალე დაკვირვებას. განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული ლათინურ ამერიკაში, გალაპაგოსის კუნძულებზე.

ტურისტულ ტურებში მთავრობის მიერ დაწესებულია **გარკვეული შეზღუდვები**:

\* ერთ ტურში არ შეიძლება შედიოდეს ოცზე მეტი ადამიანი.

\* გალაპაგოსის კუების გამრავლების პერიოდში, ტურისტების შესვლა კუნძულებზე საერთოდ აკრძალულია.

კუნძულებზე მოქმედებს ორი საშუალო ზომის აეროპორტი. ტურისტებს შორის ძალზე პოპულარულია კუნძულებს შორის გემით ან იახტით გადაადგილება. ზოგიერთ კუნ-

ძულთან არსებობს წყალქვეშა პარკები, სადაც შესაძლებელია წყალქვეშა ფლორისა და ფაუნის დათვალიერება. აღსანიშნავია, რომ უამრავ მცირე პარკსა თუ ტურისტულ ობიექტს ჰქვია ჩარლზ დარვინის სახელი.

ყველაზე მთავარი, რაც ტურისტებმა უნდა გაითვალისწინონ, არის ის, რომ კუნძულების მოსახლეობადაც ყველაზე საუკეთესო პერიოდი, ე.წ. „ცხელი სეზონი“ არის იანვრიდან აპრილამდე, როდესაც იქ ზაფხულია, რათა მთელი სრულყოფილებით შეიგრძნონ გალაპაგოსის სილამაზე.

2. **ბუნების ისტორიის ტურები** – ესაა სასწავლო, სამეცნიერო-კულტურული და ტურისტული ექსკურსიების ერთობლიობა, რომლებიც გადის სპეციალურად გაკვალულ გზებზე. ტურისტებს ეს სახეობა განსაკუთრებით პოპულარულია გერმანიაში, ამიტომ მათ, ხშირად, **ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების გერმანულ მოდელსაც უწოდებენ**.

3. **სათავგადასავლო ტურიზმი მოიცავს:**

\* აქტიურ დასვენებას და სიახლეთა მაძიებლობას დისლოკაციის ადგილიდან შორსმდებარე რეგიონებში (ისცოვერყ მპ; დვენტურე ოლიდაყს);

\* ხანმოკლე ტურები ველოსიპედებით (Short Destinations);

\* ლაშქრობები რთულადსავალი გზებით (Walking amp; Trekking);

\* მოგზაურობა მნიშვნელოვანი ფიზიკური დატვირთვით (Multi Activity Holidays);

\* მოგზაურობა სპეციალურად საცხოვრებლად გადაკეთებული ავტომანქანებით (Overland Tours).

ტურიზმის ეს სახეობა აერთიანებს ყველა ისეთ მოგზაურობას, რომელიც დაკავშირებულია გადაადგილების აქტიურ მეთოდებთან და დასვენებასთან ბუნების ნიაღში. ასეთებია: ალპინიზმი, კლდეზე ცოცვა, ყინულზე ცოცვა, სპელეოტურიზმი, სამთო-სალაშქრო ტურიზმი, სანყალოსნო, სამთო-სათხილამურო, საცხენოსნო ტურიზმი, დაივინგი, პარა-პლანერიზმი. მათ შორის ზოგიერთი მიეკუთვნება ტურიზმის სრულიად ახალ სახეებს და ერთიანდება **ექსტრემალური ტურიზმის** სახეობად.

4. **მოგზაურობები ბუნებრივ ნაკრძალებსა და რეზერვაციებში**. უნიკალური და ეგზოტიკური ბუნებრივი ობიექტებისა და

მოვლენების ნახვა-დათვალიერება მრავალ ტურისტს იზიდავს. ეკოტურიზმის ეს სახეობა განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული ავსტრალიაში, ამიტომ მას ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების ავსტრალიურ მოდელს წოდებენ.

### **ეროვნული ტყე-პარკები, ნაკრძალები და რეზერვაციები**

ეკოლოგიური ტურიზმის ფარგლებში არსებულ მოსახლურულ ობიექტთა კლასიფიცირება ხდება შემდეგნაირად:

**ნაკრძალი** – ტერიტორიის (აკვატორიის) ნაწილია, სადაც დაცულია მთლიანი ბუნებრივი კომპლექსები. ნაკრძალად ჩვეულებრივ ცხადდება ის ადგილი, რომელიც ან ტიპიზირია ანა თუ იმ გეოგრაფიული ზონისათვის, ან შეიცავს სამეცნიერო თვალსაზრისით ძვირფას ბუნებრივ ობიექტებს (მცენარეებისა და ცხოველების სახეობებს, ლანდშაფტების ტიპებს, მინერალებს და სხვა). ნაკრძალად შეიძლება გამოცხადდეს მთელი ქალაქი ან მისი ნაწილი, რომელსაც განსაკუთრებული ისტორიული, ისტორიულ-მხატვრული ან მემორიალური მნიშვნელობა აქვს.

**სახელმწიფო ნაკრძალი** - დაცული ტერიტორიაა, რომელიც შეესაბამება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების I კატეგორიას - მკაცრი ბუნებრივი რეზერვატი (Strict Nature Reserve/Wilderness Area). სახელმწიფო ნაკრძალი არის ტერიტორია და აკვატორია, რომელიც მთლიანად ამოღებულია ჩვეულებრივი სარგებლობიდან კომპლექსის ბუნებრივი მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით.

**სამეცნიერო ნაკრძალი** – ბუნების დაცვის ერთ-ერთი ფორმაა. იგი კომპლექსური ხასიათის სამეცნიერო-კვლევითი დანესებულებაა, სადაც აკვირდებიან მის ცალკეულ ობიექტებს, კომპლექსებს თუ ბიოგეოცენოზებს. ნაკრძალში შეისწავლიან ნადირფრინველის რაოდენობრივი ცვალებადობის გამომწვევ მიზეზებს, მცენარეთა და ცხოველთა ეკოლოგიურ თავისებურებებს; ამუშავებენ მცენარეთა და ცხოველთა აღრიცხვის მეთოდებს, ტყისა და სოფლის მეურნეობის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიურ მეთოდებს, ატარებენ ღონისძიებებს ბუნებრივი კომპლექსების შემოსანახავად, იშვიათად განადგურების გზაზე მდგარ მცენარეთა და ცხოველთა მოსამრავლებლად და სხვა.

**ეროვნული პარკი** – ეროვნული და საერ-

თაშორისო მნიშვნელობის ბუნებრივი და ლანდშაფტური ობიექტებისა და ეკოსისტემების გადასარჩენად გამიზნული დაცული ტერიტორიაა, რომელიც გამოიყენება მეცნიერების, განათლებისა და დასვენების მიზნით;

**ბუნების ძეგლი** – ბუნებრივი ან ხელთქმნილი კულტურულ-ისტორიული ღირსშესანიშნაობა;

**გარეულ ცხოველთა ნაკრძალი** (ალკვეთილი) – იქმნება ცხოველთა გარკვეული პოპულაციების გადარჩენის მიზნით;

**დაცული ლანდშაფტი** – იქმნება უნიკალური ბუნებრივი ლანდშაფტების გადარჩენის მიზნით;

**რესურსების ნაკრძალი** – იქმნება ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების მიზნით;

**ანთროპოლოგიური ნაკრძალი** (ბუნებრივი ბიოთიკური ტერიტორია) – იქმნება ადგილობრივი მოსახლეობისა და სხვადასხვა ტომების ტრადიციებისა და ბუნებრივი საცხოვრებელი პირობების შენარჩუნების მიზნით;

**მართვადი სარესურსო რაიონი** – იქმნება ბუნებრივი რესურსების აღწარმოებისა და მდგრადი განვითარების მიზნით.

| შესყიდვების მოცულობა | მყიდველების შეკვეთა | ერთეულის სარეალიზაციო ფასი | მთლიანი გადასახდელი თანხა (ლარი) |
|----------------------|---------------------|----------------------------|----------------------------------|
| (ცალი)               | (ცალი)              | (ლარი)                     | 2000                             |
| 100-მდე              | 50                  | 40                         | 4500                             |
| 101-200              | 150                 | 30                         | 5000                             |
| 201-300              | 250                 | 20                         |                                  |

მაგალითად, თუ მყიდველს სურს შეიძინოს 50 ცალი საქონელი, უნდა გადაიხადოს 40 ლარი თითოეულში, ანუ 2000 ლარი სულ ( $50 \times 40 = 2000$ ).

თუ სურს შეიძინოს 150 ცალი უნდა გადაიხადოს 30 ლარი თითოეულზე, ანუ 10 ლარით ნაკლები პირველ შემთხვევასთან შედარებით, რადგან 101-დან 200-მდე ინტერვალში ფასი 40-ის ნაცვლად 30 ლარია. სულ მყიდველმა უნდა გადაიხადოს 4500 ლარი.

თუ მყიდველს სურს შეიძინოს 250 ცალი საქონელი, უნდა გადაიხადოს 20 ლარი, თითოეულზე 10 ლარით ნაკლები მეორე შემთხვევასთან შედარებით, რადგან 201-დან 300-მდე ინტერვალში საქონლის ერთეულის ფასი 20 ლარია. სულ მყიდველმა უნდა გადაიხადოს 5000 ლარი.

მეორე შემთხვევაში მყიდველის მთლიანი ეკონომია, დანაზოგი შესყიდვების მოცულო-

ბის ზრდის გამო პირველ შემთხვევასთან შედარებით შეადგენს:

$$(150 \times 40) - (150 \times 30) = 6000 - 4500 = 1500 \text{ ლარს.}$$

მესამე შემთხვევაში პირველ შემთხვევასთან შედარებით:

$$(250 \times 40) - (250 \times 20) = 10000 - 5000 = 5000 \text{ ლარს, ხოლო}$$

$$\text{მეორე შემთხვევასთან შედარებით: } (250 \times 30) - (250 \times 20) = 7500 - 5000 = 2500 \text{ ლარს.}$$

ბლოკური ანუ ორმაგი ტარიფის მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ფასი იცვლება ანუ მცირდება საქონლის შესყიდვის მოცულობის მხოლოდ ყოველი მომდევნო ზრდის კვალობაზე.

**ბლოკური ანუ ორმაგი ტარიფის მეთოდი**

| შესყიდვების მოცულობა, ცალი | მყიდველების შეკვეთა, ცალი | საწყისი ფასი მარტივი ტარიფის მეთოდის თანახმად, ლარი | მთლიანი თანხა ბლოკური ტარიფის მეთოდის თანახმად, ლარი |
|----------------------------|---------------------------|---|--|
| 100-მდე                    | 50                        | 40  | 2000   |
| 101-200                    | 120                       | 30  | 4600   |
| 201-300                    | 220                       | 20  | 7400   |

ბლოკური ანუ ორმაგი ტარიფის მეთოდის თანახმად, ცხრილის მიხედვით, თუ მყიდველს სურს შეიძინოს 50 ცალი საქონელი, ფასი 40 ლარს შეადგენს და სულ გადაიხდის 2000 ლარს, ( $50 \times 40 = 2000$ ). თუ 120 ცალს უნდა იყიდოს, მაშინ იგი 100 ცალში გადაიხდის 40 ლარს, ხოლო დანარჩენ 20 ცალში გადაიხდის 30 ლარს, სულ გადაიხდის ( $100 \times 40$ ) + ( $20 \times 30$ ) =  $4000 + 600 = 4600$  ლარს. 220 ცალის შეძენისას მყიდველი 100 ცალში გადაიხდის 40 ლარს, კიდევ 100 ცალში 30 ლარს, დარჩენილ 20 ცალში 20 ლარს.

$$\text{სულ გადაიხდის: } (100 \times 40) + (100 \times 30) + (20 \times 20) = 4000 + 3000 + 400 = 7400 \text{ ლარს.}$$

მიახლოებით, საჩვენებლად იმის გაანგარიშებაც შეიძლება, თუ რა სარგებელს ღებულობს ფასისმიერი დისკრიმინაციის ბლოკური ანუ ორმაგი ტარიფის გამოყენებით მყიდველები და გამყიდველები ანუ დომინირებული ფირმებში.

მთლიანი დანაზოგის თანხა, რაც მყიდველმა 120 ცალი საქონლის შეძენისას მიიღო, შეადგენს:

$$(120 \times 40) - (120 \times 30) = 4800 - 4600 = 200 \text{ ლარს. მეორე შემთხვევაში ეს დანაზოგი შეადგენს:}$$

$$(220 \times 30) - (220 \times 20) = 6600 - 4400 = 2200 \text{ ლარს. სულ ორივე შემთხვევაში 2400 ლარის დანაზოგი, ეკონომია მიიღო მყიდველმა, რაც დომინირებული ფირმისათვის ჭარბი მომხმარებლების მოზიდვის მნიშვნელოვან სტიმულს წარმოადგენს.}$$

ბლოკური, ანუ ორმაგი ტარიფის მეთოდი

ფართოდაა გავრცელებული. მაგალითად, სატელეფონო საუბრების ტარიფი: ძირითადი, სააბონენტო და საქალაქთაშორისო მიზნული საუბრის ხანგრძლივობაზე ყოველი მომდევნო წუთის გათვალისწინებით, ისე როგორც ამას აკეთებს ვთქვათ, “მაგთი” ან “ჯეოსელი”. ზოგან ფასის (ტარიფის) ცვლილების (შემცირების) ამ მეთოდს შესყიდვების ან მომსახურების ოდენობასთან დაკავშირებით იყენებენ მეტროში ჯგუფებად მგზავრობისას ან მუზეუმებში კოლექტიურად მსვლელობისას. მყიდველების მოზიდვის მიზნით იყენებენ ე.წ. ბონუს-ქულების დარიცხვასაც საქონლის შესყიდვების მოცულობასთან დაკავშირებით: გამყიდველები მყიდველების მოზიდვისა და სტაბილურ მომხმარებლად გადაქცევის მიზნით, შესყიდვის გარკვეულ ოდენობაზე, ვთქვათ, 20 ლარის ერთჯერად შესყიდვაზე, არიცხავენ 50 თეთრს, რაც აღირიცხება მომხმარებლის პირად ანგარიშზე, რომელიც სპეციალურად იხსნება სავაჭრო (საცალო, საბითუმო) ობიექტში. გარკვეული დროის შემდეგ დაგროვილი თანხის მოცულობის შესაბამისად მყიდველს შეუძლია დამატებით შეიძინოს საქონელი ან მომსახურება. ეს მეთოდი ფართოდაა გავრცელებული ფარმაცევტულ ბაზარზე, სააფთიაქო ქსელში. ბევრ ქვეყანაში ბონუს-ქულებით დარიცხულ თანხაზე უფრო მეტი საპროცენტო განაკვეთია გათვალისწინებული, ვიდრე ამას კომერციული ბანკები ითვალისწინებენ.

ფასისმიერი დისკრიმინაციის მესამე დონე ისეთი სიტუაციაა, როცა დომინირებული ფირმა საქონელს სხვადასხვა მყიდველს სხვადასხვა ფასით აწვდის, ახდენს ბაზრის სეგმენტაციას, ხელოვნურად ქმნის “იაფ” და “ძვირ” ბაზარს. “ძვირ ბაზარზე” მოთხოვნა ნაკლებელასტიურია, რაც ფირმას საშუალებას აძლევს მიიღოს მეტი მოგება ფასების ზრდის ხარჯზე. “იაფ ბაზარზე” კი მეტ მოგებას დაბალი ფასებით გაყიდვის მოცულობის გაზრდით აღწევს, რადგან აქ მოთხოვნა მაღალი ელასტიურობით გამოირჩევა. მაგალითად, ბევრგან მოსწავლეებისათვის და სტუდენტებისათვის მუზეუმებში ბილეთების ფასი იაფია, ვიდრე მოზრდილებისათვის. არის სხვადასხვა ვარიანტებიც, მაგალითად, კომპლექსური სადილები დილით და საღამოს საათებში. სატელეფონო ტარიფები პიკის საათებში. ზოგად სასტუმროებში მომსახურების ტარიფი განსხვავებულია ჩვეულებრივ და საკურორტო სეზონის დროს, ფასები ლუქს და საფირმო მაღაზიებში,

მომსახურება დღისით და 24 საათის განმავლობაში, სასწრაფო მომსახურება და სხვა.

გავრცელებულია ფასების დიფერენციაცია მომხმარებელთა სტატუსის მიხედვით. მომხმარებელთა სტატუსი არის მაღალი ან დაბალი ფასების დაწესების საფუძველი. მაგალითად, სხვადასხვა ფასები სამომხმარებლო და სანარმოო სექტორებისთვის, სახელმწიფო და კერძო სექტორისთვის, შიგა და გარე მომხმარებლებისთვის, მაღაზიები დიდ სანარმოებში, შიგა საფირმო მაღაზიები, საქონლის ბითუმად შეზიდვა დაწესებულიებში და სხვა.

ფართოდ გამოყენებაა ურთიერთდაკავშირებული საქონლის რეალიზაცია. ფასისმიერი დისკრიმინაციის ეს მეთოდი ერთმანეთთან აკავშირებს ერთი საქონლის შეძენას სხვა დაკავშირებულ საქონელთან და მომხმარებელი იძულებულია გადაიხადოს ორნაირი ფასი – მოცემული საქონლის ფასი და “დაკავშირებული” საქონლის ფასი. მაგალითად, ფოტოაპარატისა და ფოტოფირის ერთდროული გაყიდვა, როგორც გარანტი კარგი ხარისხის ფოტოს მისაღებად. ასევე, ქსეროაპარატი და სათანადო ფხვნილი. ესაა შემთხვევა, როცა მომხმარებელიდან ფირმები ფაქტობრივად ითხოვენ შეიძინონ დამატებითი, “დაკავშირებული” იმავე ფირმის საქონელი და ამით შეინარჩუნონ და მოიზიდონ ჭარბი მომხმარებელი.

დომინირებული ფირმა დარგობრივ ბაზარზე ლიდერობის შესანარჩუნებლად ცდილობს ეფექტურად გამოიყენოს დანახარჯების შემცირებისა და წარმოების მასშტაბის ეფექტი. ასეთი სტრატეგიული ქცევის განსაზღვრისას დანახარჯებზე ორიენტირებული ფასნარმოქმნის მეთოდის იყენებს და ფასებს აწესებს საშუალო ხარჯების დონეზე, ხოლო მოგების მიზნობრივი ნორმას  $P_n$  განსაზღვრავს ნედლეულს, მასალებისა ( $P_m$ ) და კაპიტალტევადობის ( $P_k$ ) გათვალისწინებით.

დანახარჯებზე ორიენტირებული ფასები განისაზღვრება ფორმულით:

$$P = ATC + P_n + P_m + \frac{M}{Q} + P_k + \frac{K}{Q}$$

სადაც, P – ფასია.

ATC – წარმოების საშუალო დანახარჯები;

M – ნედლეულსა და მასალებზე განეული საშუალო დანახარჯები;

Q – პროდუქციის მოცულობა, ცალობით;

$K$  – ძირითადი კაპიტალის, ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება;

$P_N$  – მოგების მიზნობრივი ნორმა მთლიანი საშუალო დანახარჯების მიმართ;

$P_M$  – მოგების მიზნობრივი ნორმა ნედლეულსა და მასალებზე განეული საშუალო დანახარჯების მიმართ;

$P_K$  – მოგების მიზნობრივი ნორმა ძირითადი კაპიტალის, ძირითადი საწარმოო ფონდების მიმართ.

დანახარჯებზე ორიენტირებული ფას-წარმოქმნის დროს ფირმისათვის მნიშვნელობა აქვს მოგების მიზნობრივ ნორმას  $P_N$ , რომელიც მთლიან საშუალო ხარჯებს (ATC) უნდა დაემატოს და ზეგავლენა მოახდინოს მოცემულ დარგობრივ ბაზარზე ფასის მიერ ელასტიურობაზე. ამასთან ერთად, როგორც ითქვა, რესურსების ეფექტიანი გამოყენების მიზნით მოგების ნორმის ერთ ნაწილს ნედლეულზე და მასალებზე განეული დანახარჯებს უკავშირებს ( $P_M$ ), ხოლო მეორე ნაწილს ძირითად კაპიტალს, ძირითად საწარმოო ფონდებს ( $P_K$ ). ასეთი მიდგომით მხედველობაში მიიღება: მასალატევადი, კაპიტალ-ტევადი თუ შრომატევადი პროდუქცია; როგორია ფასისმიერი ელასტიურობა შრომისა და კაპიტალის ბაზარზე: როგორია საწარმოო ფუნქცია ანუ საქონლის წარმოების მაქსიმალური ოდენობა მოცემული რესურსების პირობებში;  $Q=f(LK)$ ; როგორია იზოკვანტი, როცა ორი ცვლადი წარმოების ფაქტორის (რესურსის) სხვადასხვა კომბინაცია ერთი და იგივე რაოდენობის პროდუქციის გამოშვებას უზრუნველყოფს (იხ. ცხრილი).

**კომპიუტერის წარმოების ალტერნატიული ხარჯები და იზოკვანტი**

| კაპიტალის მატერიალური დანახარჯების ერთეული, (ფაქტორი K) | შრომითი დანახარჯების ერთეული, (ფაქტორი L) |    |    |    |    |
|---|---|----|----|----|----|
|   | 1   | 2  | 3  | 4  | 5  |
| 1   | 5   | 12 | 25 | 50 | 60 |
| 2   | 15  | 25 | 50 | 65 | 70 |
| 3   | 30  | 50 | 66 | 73 | 81 |
| 4   | 45  | 55 | 68 | 75 | 87 |
| 5   | 55  | 67 | 79 | 80 | 95 |

ცხრილიდან ჩანს, რომ 50 ერთეული კომპიუტერის წარმოებას, ადგილი აქვს 1 ერთეული კაპიტალისა და 4 ერთეული შრომითი, 2 ერთეული კაპიტალისა და 3 ერთეული

თეული შრომითი, 2 ერთეული კაპიტალისა და 2 ერთეული კაპიტალის დანახარჯების შეერთების, კომბინაციისას. იზოკვანტი ფირმას საშუალებას აძლევს აირჩიოს წარმოების ფაქტორების (რესურსების) ის კომბინაცია, რაც მინიმალური დანახარჯების პირობებში საქონლის მაქსიმალურ ოდენობას უზრუნველყოფს, რითაც შექმნის პირობებს უპირატესობის მოსაპოვებლად წარმოების ხარჯების შემცირებაში და ხელსაყრელ სიტუაციას ფასისმიერი დისკრიმინაციის განსახორციელებლად.

ფასების დონის ფსიქოლოგიური აღქმა. ფასისმიერი დისკრიმინაცია შეიძლება ითვალისწინებდეს მომხმარებლის მხრიდან ფასების აღქმის ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, მომხმარებელთა რეაქციას ფასების აბსოლუტურ და შეფარდებით დონეებზე. დადგენილია, რომ კონკურენტულ საქონლებს შორის ფასების ცვლილების შეფასება დამოკიდებულია ამოსავალი, საწყისი ფასის დონეზე. ასე მაგალითად, 5 ლარიანი ფასდაკლება 15-ლარიანი ფასის საქონელზე აღიქმება ფსიქოლოგიურად მაღალ ფასდაკლებად, ვიდრე 50 ლარიანი საწყისი ფასის პირობებში. ასეთი ქცევით მიღებულ ეფექტს ვებერ-ფეშენერის ეფექტს უწოდებენ.

საცალო (საფირმო), საბითუმო ვაჭრობის ობიექტებში მომხმარებელთა მოზიდვის და ყურადღების გამახვილების მიზნით არაძირითად საქონელზე დაწესებულია შედარებით დაბალი ფასები და ამით იქმნება შთაბეჭდილება მომხმარებლის თვალში თითქოს მაღაზია გამოირჩევა და ცნობილია დაბალი ფასებით. დანარჩენ, ანუ ძირითად საქონელზე დაწესებულია მაღალი ფასები რითაც ფირმადანაკარგების კომპენსაციასაც ახდენს. მეორენაირად ასეთ ქცევას „ლუზის ეფექტს“, „ფასების ჩაშვების“ ეფექტსაც უწოდებენ.

ფირმა იყენებს ე.წ. „ყურადღების მიმპყრობი“, „მიმზიდველი ციფრების“ ეფექტსაც. გამოკვლევით დადგენილია, რომ საქონლის ფასი თუ მთავრდება „5“ ან „9“ ციფრით იგი მომხმარებლისათვის უფრო მიმზიდველია და შეძენის სტიმულს აძლევს. ასე მაგალითად, მომხმარებელი 1,99 ლარიან საქონელს ფსიქოლოგიურად იაფად აღიქვამს 2,00 ლარიანთან შედარებით.

საქონლის სასაცოცხლო ციკლის თეორია (იგივე საქონლის ზრდის ტემპების თეორია). ამ თეორიის თანახმად საქონელი, რომელსაც ფირმა აწარმოებს, გადის რამდენიმე ფაზას ბაზარზე მისი შესვლიდან გამოსვლამდე პე-

რიოდში.

I ფაზა – ახალი პროდუქტის ნიმუშების შემუშავება და წარმოებაში ჩაშვება.


II ფაზა – ახალი პროდუქტის ბაზარზე შესვლა. ამ ფაზაზე: გასაღება დაბალი, სუსტია; დანახარჯები – მაღალი; მოგება – ნულოვანი; მომხმარებლები – მხოლოდ ნოვატორები, ცნობისმოყვარენი; კონკურენტების რაოდენობა – ძალზე მცირე. ფირმის ქცევის სტრატეგია: შექმნას საქონლის ძირითადი მომხმარებლისათვის მიმზიდველი სახე; უმთავრესად დაეყრდნოს ფასწარმოქმნის დანახარჯების მეთოდს; გააფართოოს საქონელზე ინფორმაცია და რეკლამა.

III ფაზა – ზრდის ფაზა. ამ ფაზისთვის დამახასიათებელია: გასაღება – სწრაფი; დანახარჯები – საშუალო; მოგება – მზარდი; მომხმარებლები – მასობრივი; კონკურენტები – მზარდი. ფირმის ქცევის სტრატეგია: საქონლის სრულყოფა დამატებითი გარანტიებისა და მომსახურების გზით; ბაზარზე მისაღები ფასების დამკვიდრება; აქცენტი მასობრივ მომხმარებელზე; ზრუნვა სასაქონლო მარკაზე, იმიჯზე.

IV ფაზა – სიმწიფის ფაზა. ამ ფაზისთვის დამახასიათებელია: გასაღება მცირედ-მზარდი; დანახარჯები – შემცირებადი; მოგება – შედარებით მზარდი; მომხმარებელი – მასობრივი; კონკურენტები სტაბილურად დიდი. ფირმის ქცევის სტრატეგია: მოგების მაქსიმიზაცია და ბაზარზე მისი მაღალი წილის შენარჩუნება; საქონლის რეკლამის უფრო მეტად გაფართოება; აქცენტი საკუთარი საქონლის ყოველმხრივ უპირატესობაზე კონკურენტებთან შედარებით. V ფაზა – დაცემის ფაზა. ამ ფაზისთვის დამახასიათებელია: გასაღება – კლებადი; დანახარჯები – დაბალი; მოგება – კლებადი; მომხმარებლები – კონსერვატორები, (ჭირვეულები); კონკურენტები – კლებადი. ფირმის ქცევის სტრატეგია – საქონლის სუსტი ვარიანტების წარმოებიდან მოხსნა, დანახარჯების შემცირება; მომხმარებლების მიდრეკილების შენარჩუნება მოცემული საქონლის მარკაზე; ინოვაციების განხორციელება; ფასდაკლებების განხორციელება. შემდგომში თავიდან იწყება ახალი I ფაზა. ასეთი მიდგომა პირველად დაამუშავა ამერიკელმა ეკონომისტმა და მარკეტოლოგმა ტ. ლევიტმა.

საქონლის სასიცოცხლო ციკლის ფაზები სქემატურად შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ. (იხ. სქემა)

## პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის ფაზები



დომინირებული ფირმის მტაცებლური ფასწარმოქმნა დარგობრივ ბაზარზე. როგორც დავინახეთ დომინირებულ ფორმას ფასწარმოქმნის პოლიტიკის გამოყენებით, შეუძლია ბაზარზე თავისი ლიდერობის შენარჩუნება, ბაზარზე შესვლის ბარიერების შექმნა. ამ მიზნით დომინირებული ფირმა მზადაა უარი თქვას და შეელოს კიდევ მოგების მიღებას მოკლევადიანი პერიოდისათვის. ამ მიზნით იგი აწესებს საშუალო დანახარჯებზე დაბალ ფასებს ( $P < ATC$ ). მონოპოლიური ძალაუფლების გაძლიერების მიზნით ფირმა შეიძლება კიდევ უფრო შორს წავიდეს და ფასები დაანესოს არა თუ საშუალოზე დაბალ დანახარჯებზე, არამედ საშუალო ცვალებად დანახარჯებზე დაბლა ( $P < AVC$ ) და ამით კიდევ უფრო გაამკაცროს “მტაცებლური” ფასწარმოქმნის პოლიტიკა. “მტაცებლური” ფასწარმოქმნა გულისხმობს ფასების დაწესებას გაცილებით დაბლა საშუალო დანახარჯებთან შედარებით, რისი საშუალებაც მას ეძლევა დანახარჯებში დიდი უპირატესობის გამო. ამ პოლიტიკას დომინირებული ფირმა იყენებს “ბაზრის გასანმენდად”, დასასუფთავებლად” კონკურენტული ფირმების “ჩასაყლაპავად” და დომინირებული მდგომარეობის კიდევ უფრო განმტკიცების მიზნით. მძარცველური ფასწარმოქმნის ეფექტიანობა დამოკიდებულია თანაფარ-დობაზე დომინირებული ფირმის საშუალო ხარჯებსა და კონკურენტი ფირმების საშუალო ხარჯებს შორის, დარგობრივ ბაზარზე შესვლის ბარიერების სირთულის ხარისხზე.

იმ შემთხვევაში, თუ ბაზარზე შესვლის ბარიერები შედარებით შესუსტებულია, მაშინ ბაზარზე შევლენ ახალი კონკურენტები და მძარცველური ფასწარმოქმნა გადაიქცევა “ფასების ომად”, რამაც დომინირებულ

ფირმას შეიძლება დააკარგვინოს ნორმალური მოგება გრძელვადიანი პერიოდისათვის. ამიტომ მძარცველური ფასწარმოქმნის ეფექტიანობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ მაშინ, როცა დომინირებული ფირმა ბაზრიდან გააძევეს ყველა ძირითად კონკურენტს, რაც თითქმის შეუძლებელია მოკლევადიანი პერიოდისათვის.

ასეთ დროს დომინირებული ფირმა დგას დილემის წინაშე: ჩაებას “ფასების ომში” თუ ქცევის სხვა სტრატეგია აირჩიოს. დომინირებული ფირმის სტრატეგიული ქცევა ნიშნავს, როცა გრძელვადიანი შედეგის განსაზღვრისას ითვალისწინებს კონკურენტების მოსალოდნელ საპასუხო ქმედებებს. დომინირებული ფირმების სტრატეგიული ქცევა დარგობრივ ბაზარზე ორი ძირითადი – არაკოოპერატიული და კოოპერატიული სახით ვლინდება. არაკოოპერატიული სტრატეგიული ქცევის დროს ფირმები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ და დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებენ ფასწარმოქმნის, წარმოების მოცულობის, პროდუქციის ხარისხის და სხვა სფეროში. როგორც ზემოთ აღინიშნა, მწვავე კონკურენციის შედეგად წარმოქმნილმა “ფასების ომმა”, საბაზრო მინიმალურ დონემდე ფასების დაცემამ და მოგების შემცირების ტენდენციამ ფირმებს წარმოების გადიდების სტიმული შეიძლება დუკარგოს. თუ თეორიულ-ლოგიკურ მსჯელობას გავაგრძელებთ, მოგების მინიმიზაციისა ხანგრძლივი “ფასების ომის” შედეგად, სავარაუდოდ ლიდერმა ფირმებმა ფუნქციონირება უნდა შეწყვიტონ, მაგრამ სინამდვილეში, რეალურ ცხოვრებაში ასე არ ხდება. დომინირებული ფირმები შეიმუშავენ გონივრული, რაციონალური ქცევის პოლიტიკას – კოოპერატიული ქცევის, თანამშრომლობის პოლიტიკას, რაც ოლიგოპოლიური ბაზრის წარმოშობის ერთ-ერთ პირობასაც წარმოადგენს. ფირმების გაერთიანებას, რომლის წევრებმაც ერთმანეთთან დადეს ზეპირი (ფარული) ან წერილობითი (აშკარა) შეთანხმება თავიანთი საქმიანობის კოორდინაციის შესახებ ფასების, წარმოების მოცულობისა და გასაღების ბაზრის დანაწილება-დაყოფის თაობაზე ეწოდება კარტელი. შედეგად დომინირებული, მსხვილი ფირმები არა თუ წყვეტენ არსებობას, არამედ ვითარდებიან და თანამე-

დროვე, განვითარებული საბაზრო ეკონომიკური სისტემის ბაზრის ძირითად სუბიექტებს წარმოადგენენ. ამიტომ დომინირებული ფირმები უნდა განვიხილოთ როგორც ნაწილობრივი მონოპოლია – მონოპოლიასა და ოლიგოპოლიას შორის არსებულ შუალედური მოდელი, ტიპი. საბაზრო კონცენტრაციის ა. ლერნერის ინდექსის თანახმად. სრულყოფილი (მოქმედი) კონკურენციის დარგობრივი ბაზარზე კონცენტრაციის დონის კოეფიციენტი უნდა შეადგენდეს 0,1-0,2-ს, მონოპოლისტური კონკურენციისა, 0,3-0,5-ს; ოლიგოპოლიურ ბაზარზე, 0,6-0,8-ს; დომინირებული ფირმის (ფირმების) ბაზარზე, 0,8-0,9-ს; მონოპოლიურ დარგობრივ ბაზარზე, 1-ს უნდა უახლოვდებოდეს.<sup>1</sup>

დომინირებული ფირმის სიცოცხლიუნარიანობა დაკავშირებულია კარტელის სიმტკიცესთანაც. ფირმებს, როგორც წესი, დასაწყისში აწყობთ კარტელში ყოფნა, მაგრამ შემდგომში, როცა კარტელი გადაჭარბებულად ზღუდავს წარმოების მოცულობას და ფასების დონეს, არ ტარდება სათანადო დონის ღონისძიებები მათ დასარეგულირებლად, ფირმებს უჩნდებათ ობიექტური სურვილი დაარღვიონ კარტელური შეთანხმება. ასეთ შემთხვევაში, ერთი ფირმა იზიდავს დამატებით მომხმარებელს და სხვა ფირმების ხარჯზე ზრდის საკუთარ მოგებას. ბუნებრივია, თუ ასეთ გზას სხვა ფირმებიც დაადგებიან, მაშინ კარტელური შეთანხმება დაირღვევა. ამიტომ კარტელური შეთანხმების ხანგრძლივობაზე მეტ-ნაკლებად ყველა ფირმა ზრუნავს. მიუხედავად ამისა, კარტელური შეთანხმება დიდი ხანგრძლივობით არ გამოირჩევა. თუმცა პრაქტიკაში ბევრი კარტელი რამდენიმე წლის განმავლობაშიც ეფექტურად ფუნქციონირებს.

დარგობრივ ბაზარზე დომინირებული ფირმის ქცევის ანალიზი დაკავშირებულია აგრეთვე ისეთი საკითხების განხილვასთან როგორცაა: დომინირებული ფირმის ფუნქციონირების ნეგატიური და პოზიტიური შედეგები, დომინირებული ფირმა და ბუნებრივი მონოპოლიის რეგულირება, საქონლის დიფერენციაცია და სხვა, რომლებიც ცალკე განხილვის საგანს წარმოადგენს.

<sup>1</sup> Авдашева С., Розанова Н. Анализ структуры товарных рынков: Экономическая теория и практика... М., 1998, гв. 19.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Авдашева С., Розанова Н. Анализ структуры отраслевых рынков: Экономическая теория и прак-

тика... М., 1998.

2. Вехи экономической мысли. Теория отраслевых рынков Т.5, СПб, 2003.

3. Вурос А., Розонова Н. Экономика отраслевых рынков. М., 2002.

4. «Ключевые вопросы мезоэкономики». Сборник материалов конференции. М., 2004.

5. Тироль Ж. Рынки и рыночная власть: Теория организации промышленности, Т.1, СПб, 2000.

6. Шерер Ф., Росс Д. Структура отраслевых рынков. М., 1997.

## რეზიუმე

სტატია ეძღვნება დარგობრივი ბაზრის ეკონომიკის თეორიის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს – დომინირებული ფირმის ქცევას საქონლისა და მომსახურების ბაზარზე. განხილულია: დომინირებული ფირმის წარმოშობის წინაპირობები, ფასისმიერი დისკრიმინაციის არსი და დონეები, დომინირებული ფირმა და კონკურენცია ოლიგოპოლიურ ბაზარზე, დომინირებული ფირმის კარტელური შეთანხმებები და სხვა. გამოტანილია დასკვნა, რომ დომინირებული ფირმა არის ნაწილობრივი მონოპოლია – ოლიგოპოლიასა და მონოპოლიას შორის არსებული მოდელი, ტიპი.

## SUMMARY

### ON THE BEHAVIOR OF DOMINANT FIRMS ON COMMODITY AND FIELD MARKETS

M. Chumburidze

G. Chumburidze

The article is dedicated to one of the active issue of the theory of field markets' economy – behavior of the dominant firm on the market of goods and services. The subject of discussion: Preconditions for the origin of the dominant firm, the essence and levels of price discrimination, the dominant firm and the competition on the oligopoly market, cartel agreements dominated by the dominant firm. The conclusion is that the dominant firm is a partial monopoly - the type of model between oligopoly and monopoly.

# ადამიანური რესურსების არსის სწორი გაგებისათვის

თეიმურაზ ბაბუნაშვილი  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
თამაზ დანელია  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი

მე-20 საუკუნეში და ოცდამეერთე საუკუნის პირველ ოცნლეულში საკადრო მენეჯმენტის ევოლუცია შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც სამი გაბატონებული კონცეფციის თანმიმდევრული ცვლა. კონცეფციამ “კადრების მართვა” დასავლეთში ყველაზე მეტად გავრცელება ჰპოვა XX საუკუნის 20-40-იან წლებში. ეს კონცეფცია მუშაკს განიხილავდა, როგორც შრომითი ფუნქციის მატარებელს, “მანქანისადმი ცოცხალ დანართს”.

შემდეგი იყო კონცეფცია “პერსონალის მართვა”, რომელმაც თავისი ეფექტიანობა აღმოაჩინა მხოლოდ მე-20 საუკუნის 50-70-იან წლებში. ამ კონცეფციის არსი იმაში გამოიხატებოდა, რომ მუშაკი უკვე განიხილებოდა როგორც შრომითი ურთიერთობების სუბიექტი, პიროვნება.

საზოგადოების წინაშე ახალმა გამოწვევებმა, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციამ და შრომის ინტელექტუალიზაციამ ხელი შეუწყო მე-20 საუკუნის 80-90-იან წლებში “ადამიანური რესურსების მართვის” კონცეფციის დამტკიცებას, რომლის მიხედვითაც მუშაკი უკვე განიხილება, როგორც ორგანიზაციის მთავარი სტრატეგიული რესურსი.

“ადამიანური რესურსების” არსისა და შინაარსის ასეთმა მაღალმა აღიარებამ გვიბოძა და გვიკარნახა, რომ გავიხსენოთ მისი ხელშემწყობი ისტორია — ეგრეთწოდებული პროფესიონალური რევილუციის ეპოქები, რომლებიც ადამიანთა საზოგადოებაში წინ უძღოდა ტერმინის — “ადამიანური რესურსები”-ს აღმოცენებასა და შეფასებას.

ადამიანთა საზოგადოების განვითარებამ იცის სამი პროფესიონალური რევილუცია. პირველი იყო XVI საუკუნის დასაწყისში — ესაა ევროპაში რეფორმაციისა და განათლების ეპოქა. აღნიშნული ეპოქა ხასიათდებოდა კერძო საკუთრებით, თავისუფალი პროფესიების წარმოჩენით, შესაძლებლობით თავისუფლად გაყიდო შენი საკუთარი შრომა, შენი მომსახურება, თავისუფლად განკარგო ნაწარმოები პროდუქტი; ხოლო მათი ორგანიზაციის საშუალებასა და წესს წარმოადგენდა პროფესიონალური თანასაზოგადოება.

მეორე პროფესიონალური რევილუცია განხორციელდა XIX-XX საუკუნეებში. ესაა კაპიტალიზმის განვითარების ეპოქა, რომელიც ინიცირებული იყო სამრეწველო გადატრიალებითა და მკაცრად სპეციალიზებული მასიური სერიული წარმოების ჩასახვა-წარმოშობით. წარმოჩინდა პროფესიონალების მეორე ტალღა. ფორმირდებიან მასიური პროფესიები, დაბრუნება ხდება ტრადიციული ბიუროკრატიზირებული პირამიდული ორგანიზაციებისაკენ, რომლებიც საშუალებას იძლევიან იერარქიული სისტემის ჩარჩოებში შეინარჩუნონ და შეიკაონ მასიური პროფესიები. მასიური პროფესიის ადამიანების ორგანიზაციის საშუალებაა პროფესიონალური კავშირები, რომლებსაც შეუძლიათ ეფექტიანად დაუპირისპირდნენ ორგანიზაციული სტრუქტურების სანარმოო დიქტატს. ეკონომიკურ სისტემაში დამახასიათებელი პროცესი — სტანდარტიზაციაა.

მესამე პროფესიონალური რევილუცია, რომელიც დაიწყო გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან და დღემდე გრძელდება, თავის შინაარსში გულისხმობს ადამიანების გავლენის სულ უფრო მეტად წარმოჩენას, რომლებიც მზად არიან თავისუფლად, თავიანთი აზროვნებისა და თავიანთი მოღვაწეობის (საქმიანობის) ორგანიზაციის წესების საფუძველზე, იმუშაონ სხვადასხვა განსხვავებულ პროფესიონალურ სფეროებში. ასეთ ადამიანებს ზოგჯერ ტრანსპროფესიონალებსაც უწოდებენ. ტრანსპროფესიონალური მუშაობის სპეციფიკაა — კონკრეტული პრობლემური სიტუაციის მიმართ აზროვნებისა და მოღვაწეობის მეთოდების, საშუალებების, წესების კომპლექსურობა. ეკონომიკურ სისტემაში დამახასიათებელია პროცესი — ესაა კასტომიზაცია (ინგლისურად — ცუსტომიზაციონ), ანუ შემკვეთი მომხმარებლის საჭიროების, მოთხოვნილებისა და თხოვნების აუცილებრივ გათვალისწინება. თანამედროვე პროფესიონალების სოციალური ორგანიზაციის მესამე ფორმა — პროფესიონალების ქსელია.

მესამე პროფესიონალური რევილუციის, ანუ თანამედროვე ეპოქაში მენეჯმენტის მისიას წარმოადგენს ტრანსპროფესიონალე-



ბის მოძიება, გამოზრდა, მათგან სხვადასხვა განსხვავებულ პროფილიანი გუნდების ფორმირება და მათ მიერ კომპლექსური პრობლემების წარმატებით გადაწყვეტის უზრუნველყოფა.

გასული საუკუნის განმავლობაში იმისგან დამოკიდებულებით, თუ ორგანიზაციული კულტურის რომელი ტიპი დომინირებდა ორგანიზაციაში, აღმოცენდა საკადრო მენეჯმენტის ოთხი პარადიგმა თავიანთი კულტურული არხეტიპებით:

1) შრომის მეცნიერული ორგანიზაცია — ბიუროკრატიული კულტურა (კონფორმაციის კულტურული არხეტიპი);

2) ადამიანური ურთიერთობანი — ორგანული კულტურა (კონსოლიდაციის კულტურული არხეტიპი);

3) ინდივიდუალური პასუხისმგებლობის კონტრაქტაცია — სამენარმეო კულტურა (კონკურენციის კულტურული არხეტიპი);

4) სამეთაურო მენეჯმენტი — პარტისიპატიული კულტურა (კოოპერაციის კულტურული არხეტიპი).

ეს ბოლო — სამეთაურო მენეჯმენტი მოყოლებული XX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან ძირითადად აქცენტს ითვალისწინებს თვით მუშაკების სოციალურ და კულტურულ შემოქმედებაზე, ერთობლივი საქმიანობით მუშაკების უშუალო მონაწილეობას თვითორგანიზებაში და თვითმართვაში, ურთიერთ კონტროლს, ურთიერთ დახმარებასა და ურთიერთშეცვლას, საერთო ფასეულობებისა და მიზნების შეცნობადობასა და ნათლად წარმოჩენას, რომლებიც განსაზღვრავენ შრომითი გუნდის თითოეული წევრის ქცევას, შედეგებისათვის კოლექტიურ პასუხისმგებლობასა და მუშაობის მაღალ ეფექტიანობას, ინდივიდუალური და ჯგუფური პოტენციალების განვითარებასა და გამოყენებას.

საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ეტაპზე თითოეული ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. მაგრამ ამ მხრივ მაინც ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ფაქტორს ადამიანური რესურსები წარმოადგენს. ამიტომაც მისი ასეთი უაღრესად დიდი მნიშვნელობისა საჭიროა გავარკვიოთ „ადამიანური რესურსების“ არსი და გაგება. მაგრამ მაინც თანამიმდევრობის დაცვით, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავარკვიოთ „ადამიანური კაპიტალის“ გაგება და შემდეგ მას მივყავართ „ადამიანური რესურსების“ არსის ახსნას. ადამიანური კაპიტალი — ესაა კაპიტალი, რომელიც ადამიანებში ხორცშესხმული და განსახიერებულია

მათი განათლების, კვალიფიკაციის, ცოდნის, გამოცდილების ფორმაში.

ცნობილია ნობელის პრემიის ლაურიატის ჰარი ბეკერის განმარტება ადამიანური კაპიტალის შესახებ, რომელიც მიიჩნევს, რომ აღნიშნული ე.ი. ადამიანური კაპიტალი წარმოადგენს შექმნილი და დაბადებული მახასიათებლების კომპლექსს, ისეთების, როგორიცაა განათლება, ცოდნა — მიღებული სამუშაო ადგილზე, ჯანმრთელობა და სხვანი, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნან გარკვეული დროის განმავლობაში საქონლებისა და მომსახურების წარმოებისათვის.

თანამედროვე წარმოებაში ადამიანის როლზე ახალი შეხედულების პრეზენტაციისათვის მე-20 საუკუნის 80-იანი წლების შუახნიდან გამოიყენება ცნება — ტერმინი „ადამიანური რესურსები“.

„ადამიანური რესურსები“ — ესაა პროფესიონალური ცოდნები, უნარები, მუშებისა და მუშაკების შესაძლებლობები, ეფექტური ფორმირებები, რომელთა გამოყენება და განვითარება უზრუნველყოფს ორგანიზაციის ეკონომიკურ წარმატებებსა და კონკურენციულ უპირატესობებს.

რაც შეეხება ეკონომიკური რესურსების დამახასიათებელ საერთო და სპეციფიკურ თავისებურებებს — ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირება წარმოადგენს რესურსების გარდაქმნის პროცესს საზოგადოებისა და ინდივიდების საქონლებზე და მომსახურებებზე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. ეკონომიკური სისტემის ყველა რესურსები ფლობენ როგორც საერთო, ასევე სპეციფიკურ მახასიათებლებს.

ეკონომიკური რესურსების საერთო მახასიათებლებია: 1) ყველა ეკონომიკური რესურსები სარგებლობიანობისა და ღირებულებითი თვალსა-ზრი-სით წარმოადგენენ პროდუქციის შემადგენელს; 2) თითქმის ყველა რესურსი წარმოადგენს იშვიათობას ან არსებობენ განსაზღვრული ოდენობით; 3) თითქმის ყველა რესურსი ცვდება და დროთა განმავლობაში კარგავს თავის სასარგებლო თვისებებს. ამასთან ერთად საერთო მახასიათებლებთან ერთად თითოეულ ცალკე აღებულ ეკონომიკურ რესურსს აქვს თავისი სპეციფიკური თავისებურებები, სტრუქტურა და მახასიათებლები, რაც განპირობებულია მათი წარმოშობის ბუნებით, ადგილითა და როლით ეკონომიკურ სისტემაში.

რაც შეეხება ადამიანურ რესურსებს, ისი-

ნი სხვა რესურსებისაგან განსხვავდებიან ისეთი სპეციფიკური თავისებურებებით, რომელთაგან ძირითადს წარმოადგენს ამ რესურსის პერსონიფიცირებული სპეციფიკის თავისებურება. მანქანებისა და ნედლეულისაგან განსხვავებით, ადამიანები აღჭურვილი არიან ინტელექტით და შესაბამისად — მათი მონაწილეობა საწარმოო პროცესებში არ წარმოადგენს მექანიკურ მოქმედებას, არამედ ემოციონალურ-შეგნებულ, გააზრებული მოქმედებაა.

ადამიანური რესურსების მეორე სპეციფიკურ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ არ არსებობს ადამიანის ნაყოფიერების, მწარმოებლურობის, დანახული საზღვრები, რამდენადაც ის ფლობს უნიკალურ შემოქმედებით და სამენარმეო მახასიათებლებს.

მესამე სპეციფიკურ თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში ადამიანური რესურსები განსაკუთრებით საგრძნობლად, მნიშვნელოვნად ექვემდებარებიან “მორალურ ცვეთას”, მაგრამ პირადი მოტივაციის შედეგად ადამიანები მუდმივად და შეგნებულად ცდილობენ თვითსრულყოფილდებოდნენ და აიმაღლონ თავიანთი კვალიფიკაცია.

ადამიანური რესურსების მეოთხე თავისებურება კი ისაა, რომ კვალიფიკაცია და ცოდნა ადამიანებს შორის განაწილებულია არათანაბრად, ამიტომაც საჭირო ხდება მუდმივად სწავლება და გადამზადება.

მეხუთე თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ მუშაკი, როგორც პიროვნება მოქმედებს არა მხოლოდ მისი შინაგანი მიდრეკილებებითა და გადანყვეტილებებით, არამედ აგრეთვე გარეგანი ზემოქმედებათა დაკავშირებითაც. ამრიგად, შრომითი შეთანხმების გაფორმების მოტივები შემუშავებულია, ამიტომაც მუშაკების მოტივაციების მართვა უკვე წარმოადგენს მენეჯმენტის ამოცანას.

ადამიანური რესურსის მეექვსე სპეციფიკური თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ თანამედროვე ადამიანის შრომითი ცხოვრება გრძელდება 30-50 წელი, და ამასთან დაკავშირებით ადამიანური რესურსების აღდგენას შეიძლება ხანგრძლივი ხასიათი ქონდეს. და ბოლოს, მეშვიდე სპეციფიკური თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ სწორედ ადამიანური რესურსები ახდენენ ეკონომიკური სისტემის ყველა სხვა დანარჩენი რესურსების ურთიერთქმედების ორგანიზებას.

## რეზიუმე

სტატიაში განხილულია საკითხი იმის შესახებ, რომ საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე ადამიანური შრომის გამოყენების საფუძველზე როგორ მივიდა საზოგადოება იმ დონემდე, რომ შეექმნა ცნება “ადამიანური რესურსები”. აღნიშნულია, რომ თანამედროვე პირობებში ადამიანის როლზე ახალი შეხედულების პრეზენტაციისათვის მე-20 საუკუნის 80-იანი წლების შუახნიდან გამოიყენება ცნება-ტერმინი “ადამიანური რესურსები”. სტატიაში საუბარია ტერმინი “ადამიანური რესურსების” წარმოშობისა და რაობის შესახებ, გაშუქებულია ადამიანური რესურსების ცნების არსის სწორი გაგების საკითხი.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. ამსტრონგი — ადამიანური რესურსების მართვა, თბ. “მაუსი”, 2002.
2. ა. ანცუპოვი, ვ. კოვალოვი — “პერსონალის სოციალურ-ფსიქოლოგიური შეფასება”, ЮНИТИ, 2009.
3. ნ. ბელიაცკი — “ადამიანური რესურსების მართვა”, ЮНИТИ, 2009.
4. გ. გეჩაია ბ., დევაძე ა. — “ადამიანური რესურსების მენეჯმენტი”; ბთ. 2016წ.
5. ვ. გურაბანიძე — “ადამიანური რესურსების მენეჯმენტი”, ქთ. 2009წ.
6. დარსაველიძე ნ., ბოჭორიძე ლ. — “ადამიანური რესურსების მიზანმიმართული გამოყენება სატრანსპორტო სისტემაში”; თბ., ჟურნალი „მოამბე“, 27, 2017 წ.
7. ც. ლომია — “ადამიანური რესურსების მენეჯმენტი”; თბ. 2009წ.
8. ნ. პაიჭაძე — შრომის ეკონომიკა — თბ. თსუ, 2000
9. ნ. პაიჭაძე, ნ. ფარესაშვილი, ე. ჩოხელი — “ადამიანური რესურსების მენეჯმენტები” თბ. 2011.

# ფინანსური ბაზრის კონცენტრაციის დონე საქართველოში

## სოფიკო ნულუკიძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის  
მაგისტრანტი

საქართველოს ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლას თან მოჰყვა ქვეყანაში ახალი ეკონომიკური მოვლენებისა და ცნებების დამკვიდრება. კერძოდ: კონკურენცია, კონცენტრაციის დონე, ანტიმონოპოლიური პოლიტიკა, კონკურენციის დაცვა, ანტიმონოპოლიური რეგულირება და სხვა.

საქართველოში, ისევე, როგორც პოსტკომუნისტური ფორმაციის სხვა ქვეყნებში, საბაზრო ეკონომიკაზე რადიკალური გადასვლა განხორციელდა უაღრესად მოკლე პერიოდში, რამაც შესაბამისად მოითხოვა კონკურენტული გარემოს დაჩქარებული ფორმირება, კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი კანონმდებლობის შექმნა, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის დაუყოვნებლივ შემუშავება და ანტიმონოპოლიური რეგულირების ეფექტური მექანიზმის პრაქტიკული რეალიზაცია.

აღნიშნული შეეხება აგრეთვე დარგობრივ ბაზარზე კონცენტრაციის ანალიზს, რადგან იგი წარმოდგენას გვაძლევს ამ დარგის მომგებიანობაზე, ფასწარმოქმნის მექანიზმზე, პროდუქციის ხარისხზე და საერთოდ დარგის ეფექტიან ფუნქციონირებაზე, რამდენადაც საბოლოოდ სწორედ დარგობრივ ბაზარზე ვლინდება დარგის ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობა. დარგობრივ ბაზარზე საბაზრო კონცენტრაციაში იგულისხმება გამყიდველებისა და მყიდველების კონცენტრაცია. მყიდველების კონცენტრაცია ბაზარზე, როგორც წესი, დამოკიდებულია: 1) ბაზარზე მათ რაოდენობაზე; 2) მათ ხვედრით წილზე მზა პროდუქციის დარგობრივ ყიდვა-გაყიდვებში. ორი დარგობრივი ბაზრიდან გამყიდველების კონცენტრაციის დონე იქ უფრო მაღალია, სადაც ფირმების რიცხვი ნაკლებია. თუ ფირმების რიცხვი თანაბარია, მაშინ კონცენტრაციის დონე იქ უფრო მაღალია სადაც გაყიდვების ხვედრითი წილი მაღალია.

ფირმების მცირე რიცხვი, ე.ი. მცირე სიმჭირდროვე, დიდი ხვედრითი წილი გაყიდვებში მონაწილეობს გამყიდველების მაღალი კონცენტრაციის დონეზე. იმ შემთხვევაში, როცა სიმჭირდროვე უდრის 1-ს საქმე გვაქვს მონოპოლიურ ბაზართან. ბაზრის კონცენტრაციის გასაზომად გამოიყენება ჰერფინდალ ჰირ-

შმანის (HHI) ინდექსი - საბაზრო კონცენტრაციის ინდექსი, რომელიც შეადგენს შესაბამის ბაზარზე ყველა ეკონომიკური აგენტის წილთა კვადრატების ჯამს.

ამ პრობლემის აქტუალობა იმაში გამოიხატება, რომ ნებისმიერი ეკონომიკური ზრდა, მაკროეკონომიკურ დონეზე იქნება იგი თუ მიკრო დონეზე გულისხმობს კონკურენციისა და კონკურენტული გარემოს არსებობას. ქვეყნის ეკონომიკური ზრდა აუცილებლად მოითხოვს კონკურენციის მაღალი დონის არსებობას, რაც უფრო მაღალია კონკურენციის დონე, რაც მეტად არის თავისუფალი ბაზარი, მით მეტია საკუთარი შესაძლებლობების სრულფასოვანი რეალიზაციის საშუალება და შესაბამისად, ეკონომიკური თუ ფინანსური ზრდის ტემპი. მაგრამ სრულიად შესაძლებელია ზრდის მაღალი ტემპის მიუხედავად, განვითარების დონე და მასშტაბი გაცილებით დაბალი, ან სულაც ნულოვანი იყოს. ამიტომ სამიზნე კრიტერიუმი თანამედროვე საზოგადოებაში არის ე.წ. მდგრადი განვითარების მოდელი, რომელიც თავისთავად გულისხმობს, ისეთი სისტემის არსებობას, როცა ეკონომიკური ზრდა წარმოადგენს საზოგადოებრივი კეთილდღეობის, მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ზრდის საფუძველს. ეს ყოველივე უზრუნველყოფს შემდგომი თაობებისთვის ცხოვრების განვითარების მაღალი სტანდარტების მქონე გარემოს ცამოყალიბებას, როგორც რაოდენობრივი ისე, ხარისხობრივი თვალსაზრისით.

დღეისათვის საქართველოში ერთ-ერთი აქტუალური საკითხია ფინანსურ ბაზარზე კონცენტრაციის დონის ანალიზი. ფინანსური ბაზრები შედგება საბანკო დაწესებულებებისაგან და საფონდო ბირჟებისაგან. ფინანსური ბაზრების განვითარებას ხელს უწყობს მნიშვნელოვანი ფინანსური ინსტიტუტებისა და ფინანსური ბაზრების ინფრასტრუქტურის განვითარება და შესაბამისი ინფორმაციული უზრუნველყოფა. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ დღეისათვის საერთაშორისო ბანკებთან ინფორმაციის მიმოცვლა 24 საათის განმავლობაშია შესაძლებელი და, უფრო მეტიც, თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების წყალობით არსებითად გამარ-

ტივდა გარიგებების დადება მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში.

ფინანსური ბაზრების გაერთიანება და განვითარება სტიმულს აძლევს უნივერსალური ინსტრუმენტებისა და პროცედურების შემუშავებას შიდა საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის. ასე იქმნება უნივერსალური ქსელი, რომელიც ერთმანეთს აკავშირებს მსოფლიო საბანკო ცენტრებს. დღეისათვის საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობა 50-ჯერ აღემატება რეალურ ტვირთბრუნვას.

მიუხედავად ფინანსური ბაზრების დიდი მნიშვნელობისა საქართველოში იგი კარგად არ არის განვითარებული, რაც ნაწილობრივ სუბიექტური ფაქტორებით არის განპირობებული. არცერთი წინა ხელისუფლება საქართველოში არ იყო დაინტერესებული ქვეყანაში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებით, უფრო მეტიც, ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკა აქტიურად ეწინააღმდეგებოდა ფასიანი ქაღალდების ბაზრის არსებობის ისეთ საფუძვლებს, როგორცაა საკუთრების დივერსიფიკაცია, ბიზნესის მართვის დემოკრატიული და გამჭვირვალე მექანიზმების განვითარება. მოხდა ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის ისეთი დამახინჯება, რასაც ფასიანი ქაღალდების ბაზრის დისკრედიტაცია და დანგრევა მოყვა. კერძოდ:

\* გაუქმდა დამოუკიდებელი რეგულატორი და ფასიანი ქაღალდების ზედამხედველობა ჩაბარდა ეროვნულ ბანკს, რომლის მთავარ საზრუნავს ყოველთვის კონკურენტი საბანკო სფეროს განვითარება წარმოადგენდა;

\* ბანკებს მიეცათ უფლება უშუალოდ ჩართულიყვნენ ამ საქმიანობაში;

\* გაუქმდა შეზღუდვები საფონდო ბირჟის მესაკუთრეობაზე და ბანკებს მიეცათ შესაძლებლობა სრულად დაპატრონებოდნენ კონკურენტი სფეროს ინფრასტრუქტურას;

\* ამას გარდა, თუ ამ ცვლილებებამდე ბირჟაზე დაშვებულ ფასიან ქაღალდებზე გარიგებები აუცილებლად კონკურენტულ და გამჭვირვალე გარემოში - ბირჟაზე - უნდა დადებულიყო, ამ ცვლილებების შემდეგ ეს აღარ იყო აუცილებელი.

შედეგად, გარიგებათა 95%-ზე მეტმა ბირჟის გარეთ, ჩრდილში, გაუმჭვირვალე და არაკონკურენტულ გარემოში გადაინაცვლა. ამის შედეგად ფასიანი ქაღალდების ფასების შესახებ ინფორმაცია გახდა ნაკლებად სანდო და ხშირად ცალსახად ხელოვნური (მართლაც, ბირჟისთვის მინოდებული ინფორმაციის თანახმად, ხშირად ერთსა და იმავე ფასიან

ქაღალდზე ერთი დღის განმავლობაში ფასები 10-ჯერ და მეტჯერ განსხვავდებოდა!).

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, ჩვენს ქვეყანაში ფულადი შუამავლობის 99% საბანკო სექტორზე მოდის, რადგან ჩვენს ქვეყანაში კარგად არ ან ვერ არის განვითარებული საფონდო ბირჟა და ფულადი გარიგებების არასაბანკო მეთოდები. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ საბანკო სექტორის განვითარება სწორად და კანონის დაცვით მოხდეს.

როცა ვსაუბრობთ საქართველოს საბანკო სექტორში არსებულ მდგომარეობაზე, მნიშვნელოვანია ეს საკითხი სხვადასხვა კუთხით განხილული, დაწყებული კონკურენტული გარემოსა და მისი ხარისხის, ასევე მისი ეფექტიანობის შეფასებით. ამასთანავე, მნიშვნელოვანია სრულფასოვნად შევაფასოთ, არამხოლოდ საბანკო სექტორი, როგორც ეროვნული ბანკის რეგულირებადი სფერო, არამედ მთლიანად ქვეყნის ფინანსური ბაზარი, როგორც ერთი მთლიანი სისტემა და ცალკეულ ქრილში განვიხილოთ მისი სხვადასხვა ასპექტი. მხედველობაში გვაქვს ე.წ. ჰორიზონტალური კონკურენცია, რომელიც მოიცავს საქართველოს მოქმედი საბანკო სტრუქტურების ერთმანეთთან ურთიერთობის ასპექტებს და მეორე, ე.წ. ვერტიკალური კონკურენცია, რომელიც საბანკო სტრუქტურების გარდა მოიცავს სასესხო კაპიტალის ბაზრის სხვა მოთამაშეებისა და ალტერნატიული სასესხო-საკრედიტო ინსტრუმენტების ურთიერთქმედების საკითხებს, აქ უმთავრესად იგულისხმება მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები, საპენსიო და სიცოცხლის დაზღვევის ფონდები და რაც ყველაზე საინტერესოა, საფონდო ბაზარი, როგორც ალტერნატიული სასესხო-საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვისა და მართვის ეფექტიანი ინსტრუმენტი. ჰორიზონტალურ ქრილში საბანკო სექტორისათვის ქვეყანაში საკმაოდ მიმზიდველი და კონკურენტული გარემო ჩამოყალიბდა, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა საბანკო სტრუქტურებისა და მთლიანად საბანკო ინდუსტრიის თანმიმდევრული და სწრაფი ზრდა-განვითარება.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით 2017 წლის სექტემბრის მონაცემებით საქართველოში 17 კომერციული ბანკია საფინანსო ბაზარზე წარმოდგენილი.

საკმაოდ მნიშვნელოვანია განვიხილოთ საბაზრო კონცენტრაციის დონე საბანკო ბაზარზე. ამისათვის, ავიღოთ 5 ყველაზე დიდი

წილის მქონე ბანკი საბანკო აქტივების მიმართულებით. ესენია: საქართველოს ბანკი, თიბისი ბანკი, ლიბერთი ბანკი, ვითიბი ბანკი ჯორჯია, პროკრედიტ ბანკი.

| ბანკი                                       | მთლიანი აქტივები |
|---|------------------|
| ვითიბი ბანკი                                | 1,458,620,501    |
| ტერა ბანკი                                  | 656,779,270      |
| გზირაათ ბანკი                               | 80,951,781       |
| ბანკი ქართუ                                 | 1,179,169,363    |
| საქართველოს ბანკი                           | 9,811,765,604    |
| "სილქ როლდ" ბანკი                           | 56,419,080       |
| თიბისი ბანკი                                | 8,899,743,448    |
| ლიბერთი ბანკი                               | 1,613,923,295    |
| პროკრედიტ ბანკი                             | 1,265,595,619    |
| ბაზის ბანკი                                 | 905,577,990      |
| აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი- საქართველო | 109,121,406      |
| იშ ბანკი საქართველო                         | 312,479,411      |
| ხალიკ ბანკი საქართველო                      | 342,427,163      |
| პაშა ბანკი საქართველო                       | 263,739,551      |
| ფინვა ბანკი საქართველო                      | 274,820,321      |
| კრედო ბანკი                                 | 574,633,321      |

წყარო: ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში 2017 I კვარტალი

საქართველოს ბანკი საქართველოს წამყვანი ბანკია, რომელსაც 2017 წლის სექტემბრის მონაცემებით, უკავია ბაზრის ერთი მე-სამედი მთლიანი აქტივების (საბაზრო წილი 34.1%), მთლიანი სესხების (საბაზრო წილი 33.8%), კლიენტთა დეპოზიტებისა (საბაზრო წილი 30.4%) და სააქციო კაპიტალის (საბაზრო წილი 35.5%) მიხედვით. ხოლო თიბისი ბანკს ბანკი რესპუბლიკასთან გაერთიანებით (2017 წლის ზაფხული) ბაზარზე აქტივების ერთი მე-სამედი უკავია. ბაზრის დანარჩენი მოთამაშეები (ბანკები ერთად აღებული ძალიან მცირე ნაწილს შეადგენენ და შეასაბამისად საბაზრო კონცენტრაციაზე და ძალაუფლებაზე გავლენას ვერ ახდენენ. ისინი აუტსაიდერები და ფასების მიმღებები არიან. განვიხილოთ 5 ბანკის მაგალითი (ისინი ბაზრის 80%-ზე მეტს წარმოადგენენ, ხოლო დანარჩენი 11 ბანკი ინაწილებს ბაზრის 17%-ს). საბანკო ბაზრის კონცენტრაციის დონის განსაზღვრისათვის გამოვიყენეთ უკვე ნახსენები ჰერფინდალ-ჰირშმანის მეთოდი და გავიანგარიშეთ ბაზრის ძრითადი მოთამაშე-

ების (საქართველოს ბანკი 35%, თიბისი ბანკი 32%, ლიბერთი ბანკი 6%, პროკრედიტ ბანკი 5%, ვითიბი ბანკი 5%) კონცენტრაციის დონე და კონცენტრაციის ინდექსი.


$$HHI = 352 + 322 + 62 + 52 + 52 = 1225 + 1024 + 36 + 25 + 25 = 2335$$

გამოდის, რომ საბაზრო კონცენტრაციის დონე 2017 წლის მაისის მონაცემებით 2335 პუნქტს შეადგენს,  $HHI = 2335$ .

მიღებულია, რომ ჰერფინდალ ჰირშმანის ინდექსის მნიშვნელობა მერყეობს 0-10000 ინტერვალში. თუ ინდექსი იმყოფება 0-1000 ინტერვალში, მაშინ კონცენტრაციის დონე დარგობრივ ბაზარზე დაბალია და 2 ფირმის შერწყმა-შეერთება შემოფოთებას არ იწვევს. თუ  $HH$  ინდექსი 1000-1800 ინტერვალშია მაშინ ბაზარი ზომიერად კონცენტრირებულია, ხოლო თუ  $HH$  ინდექსი 1800 პუნქტს აჭარბებს მაღალი კონცენტრაციის დონის ბაზართან გვაქვს საქმე.

ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზიდან ჩანს, რომ საბანკო ბაზარზე კონცენტრაციის ინდექსი 1800 აჭარბებს და 2335-ს შეადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული ბაზარი არსებითად მონოპოლიური ბაზრის ნიშნებს ატარებს.

რაც შეეხება კომერციული ბანკების მოგების მაჩვენებლებს 2017 წლისათვის, აღნიშნული გრაფიკის სახით გვაქვს წარმოდგენილი.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

როგორც უკვე ნაწილობრივ, ცვლილებები რაც საკანონმდებლო დონეზე განხორციელდა ფასიანი ქაღალდების ბაზართან დაკავშირებით პირდაპირ კომერციული ბანკების ინტერესებს ემსახურება. რადგან საბანკო ინსტიტუტები ერთადერთი საშუაშედეგო რგოლია ჩვენს ქვეყანაში აუცილებელია მისი განვითარება სწორად კანონის დაცვით მოხდეს, რომ არ მივიდეთ მონოპოლიური ბაზრამდე, რასაც ბაზარზე ფირმების მაღალი

კონცენტრაციის დონე განაპირობებს. ჩვენს შემთხვევაში, როგორც უკვე ვთქვით საბანკო ბაზრის 70% უკავია ორ მსხვილ ბანკს, ხოლო დანარჩენ 30%-ს ინანილებენ სხვა კომერციული ბანკები. აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ ბანკების როლი არ მთავრდება მხოლოდ საბანკო სექტორში, ისინი ფარულად თუ ღიად ჩართული არიან ასევე სამშენებლო, სამედიცინო და სადაზღვევო სფეროებში, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ბანკი მათ მსგავს საქმიანობასთან დაკავშირებით საკმაოდ მკაცრ აკრძალვებს უწესებს. ექსპერტული შეფასებით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს საფინანსო ბაზარზე მალე სულ რამდენიმე მსხვილი ბანკი დარჩება დანარჩენები კი ბაზარს დატოვებენ, რაც მონოპოლიზაციის გაძლიერებისა და კონკურენციის შეზღუდვის პროცესს კიდევ უფრო გააღრმავებს.

დღეისათვის 17 კომერციული ბანკია ბაზარზე და ყველა ცდილობს კონკრეტულ სეგმენტს მოერგოს და ჰქონდეს ბაზარზე თავისი გავლენა. მსხვილი ბანკები გაცილებით უფრო ძლიერები ჩანან ვიდრე წვრილი ბანკები, რადგან ამ უკანასკნელთა საიმედოობა ხშირად კითხვითი ნიშნის ქვეშაა. რეალურად მცირე და საშუალო ბანკებს აქვთ კლიენტთა მოზიდვის კუთხით პრობლემები, რაც აისახება მათი დეპოზიტების სიმცირეზე, რადგან მომხმარებლები ირჩევენ ისეთ ორგანიზაციას, რომელიც საიმედოა, მცირე ბანკები ცდილობენ გამსხვილებას და ინტეგრაციის ზრდას. ის ფაქტი, რომ დღეისათვის ბაზარზე

„თამაშის წესებს“ 2 ბანკი ადგენს ქმნის საშიშროებას იმისა, რომ სამომავლოდ წვრილ ორგანიზაციებს აღარ ექნებათ ბაზარზე შემოსვლის საშუალება. დღესდღეობით ამის საშიშროება არ დგას, მაგრამ გამორიცხული არ არის მომავალში მოხდეს ბანკების მხრიდან ხელოვნური ბარიერების შექმნა ბაზარზე შეღწევის მსურველთათვის.

მსგავს შემთხვევაში აუცილებელია ქვეყანაში სათანადო დონეზე იყოს ფორმირებული ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა და ანტიმონოპოლიური პოლიტიკა, რომელშიც უმთავრესად იგულისხმება არა მონოპოლიების წინააღმდეგ ბრძოლა, არამედ კონკურენციის ყოველმხრივი დაცვა და განვითარება, რითაც სახელმწიფო იცავს საბაზრო მექანიზმს, საბაზრო ურთიერთობებს. საქართველოში 2004-2012 წლებში გაუქმდა ანტიმონოპოლიური სამსახური და მის ნაცვლად ჩამოყალიბდა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო. დღეისათვის კონკურენციის დაცვის პოლიტიკას ახორციელებს კონკურენციის სააგენტო. მიუხედავად იმისა, რომ „კონკურენციის შესახებ“ 2014 წელს მიღებული კანონი საკმაოდ მნიშვნელოვან ცვლილებებს ვარაუდობდა დარგობრივ ბაზრებზე კონკურენციის დაცვის მიმართულებით, მთლიანად ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკაში დემონოპოლიზაციის საკითხი კვლავ პრობლემატურია.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარბაქაძე ხ. - საბანკო საქმიანობის რეგულირების აქტუალური საკითხები საქართველოში, თბილისი, 2008
2. ლოლაძე გ. - ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში - პრობლემები, გამონვევები და პერსპექტივები <https://idfi.ge/ge/securities-market-georgia>
3. ფეტელავა ს. - ანტიმონოპოლიური პოლიტიკის არსი და ამოცანები, სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი ეკონომისტი 2, 2009
4. კალანდაძე ლ. - კონკურენცია თუ მონოპოლიზებული ბაზარი? <http://forbes.ge/news/1682/konkurencia-Tu-monopolizebuli-bazari%3F>
5. ბანკების რეიტინგი წმინდა მოგების მიხედვით <http://forbes.ge/news/2938/bankebis-reitingi-wminda-mogebis-mixedviT>
6. [https://www.moodys.com/research/Moodys-upgrades-two-Georgian-banks-outlook-remains-stable--PR\\_372441?WT.mc\\_id=AM~RmluYW56ZW4ubmV0X1JTQl9SYXRpbmdzX05ld3NfTm9fVHJhbnNsYXRpb25z~20170913\\_PR\\_372441](https://www.moodys.com/research/Moodys-upgrades-two-Georgian-banks-outlook-remains-stable--PR_372441?WT.mc_id=AM~RmluYW56ZW4ubmV0X1JTQl9SYXRpbmdzX05ld3NfTm9fVHJhbnNsYXRpb25z~20170913_PR_372441)
7. <http://bpi.ge/index.php/bankebis-reitingi-aqtivebis-mikhedvit-saqartvelos-banki-da-tibisi-lideroben/>
8. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2>

## რეზიუმე

სტატიაში განხილულია საქართველოში ფინანსურ-დარგობრივ ბაზარზე კონცენტრაციის დონის მაჩვენებლები და გამოტანილია დასკვნა, რომ აღნიშნული ბაზარი მჭიდროდ ოლიგოპოლურია და არსებითად მონოპოლიზმისაკენ სწრაფვის ტენდენცია აქვს. კონკრეტულ მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზებულია, რომ მთლიანად საქართველოს ეროვნულ ეკონომიკაში დემონოპოლიზაციისა და კონკურენციის დაცვის პრობლემა უაღრესად აქტუალურია. ასევე საკანონმდებლო ბაზაც სრულყოფას მოითხოვს.

## RESUME

The article above deals with the level of concentration of financial-industrial markets in Georgia thus, the mentioned market is oligopoly and has an essential tendency of aspiration towards monopoly. Based on the analysis of specific data, there is an actual Anti-monopolization and competition saving problems in the entire Georgia's national economy. In addition, the article depicts that legislative base requires to be more smoothed.

# ინსტიტუტი: ტერმინის განუსაზღვრელობის განეხილვა (ნაწილი II: ჩვილობის პერიოდი: გერმანული ისტორიული სკოლა)

## თამილა არნანია-კეპულაძე აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი (ქუთაისი)

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „ინსტიტუტი“, როგორც ეს უკვე ჩვენს მიერ ნაჩვენები იყო [1], გამოიყენებოდა სულ მცირე 731 წლიდან, გერმანული ისტორიული სკოლა აღიარებულია, როგორც ინსტიტუციონალიზმის წარმოშობის ერთ-ერთი ისტორიული წყარო, ხოლო გერმანული ისტორიული სკოლის თვალსაჩინო და წამყვანი წარმომადგენლები გუსტავ ფონ შმოლერი (Gustav von Schmoller), მაქს ვებერი (Max Weber) და ვერნერ ზომბარტი (Werner Sombart) აღიარებულნი არიან ინსტიტუციონალიზმის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

გერმანული ისტორიული სკოლის წარმომადგენლები უფრო მიზანდასახულად უდგებოდნენ ინსტიტუტების განხილვას და უშუალოდ შეუწყვეტ ხელი ინსტიტუციონალიზმის, როგორც ახალი ეკონომიკური მიმართულების და ახალი ეკონომიკური სკოლის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ამ თვალსაზრისით ისტორიული სკოლა შეიძლება იყოს განხილული, როგორც ინსტიტუციონალის ჩვილობის პერიოდი, როდესაც ხდებოდა ინსტიტუციონალური ეკონომიკური დოქტრინის მეთოდოლოგიისა და ძირითადი ნიშნების ჩამოყალიბება.

### ფრიდროხ ლისტი

გერმანული ისტორიული სკოლის მამამთავარი ფრიდროხ ლისტი (Friedrich List, 1789–1846) ფართოდ იყენებდა ტერმინს „ინსტიტუტი“ თავის ცნობის შრომაში „პოლიტიკური ეკონომიის ეროვნული სისტემა“ [5] (1841).

გერმანული ისტორიული სკოლისათვის დამახასიათებელი კვლევის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, ფ. ლისტი განიხილავდა ინსტიტუტებს ეროვნულ კონტექსტში და ისტორიულ პერსპექტივაში. ფ. ლისტი აანალიზებდა სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში სხვადასხვა ქვეყნებში (ძველ რომში, იტალიაში, საფრანგეთსა და სხვა) არსებულ ინსტიტუტებს და აღიარებდა ინსტიტუტების განსხვავებული ტიპების არსებობას. ფ. ლისტმა განიხილა ინსტიტუტების ისეთი სახეები, როგორც თავისუფლების ინსტიტუტები (freedom Institutions), სამოქალაქო ინსტიტუტები (civic Institutions), შიდა ინსტიტუტები (internal institutions), პოლიტიკური ინსტიტუტები (poli-

tical Institutions), საზოგადოებრივი ინსტიტუტები (public institutions), სოციალური ინსტიტუტები (social Institutions), დასახიჩრებული (crippled Institutions) და კარგი ინსტიტუტები (good institutions), საკრედიტო ინსტიტუტები (credit institutions), ფულის ინსტიტუტები (money institutions) და ა.შ.

ფრიდროხ ლისტი არ აყენებდა მიზნად ინსტიტუტების არსში ჩანვდომას და ინსტიტუტების როლში განიხილავდა სხვადასხვა საგნებსა და მოვლენებს. ამიტომ არის, რომ ინსტიტუტების კატეგორიის ქვეშ მოქცეული აღმოჩნდნენ ფაბრიკები, სასწავლო დაწესებულებები, სამრეწველო გამოფენები, საპატენტო კანონმდებლობა, საბაჟო გადასახადები და სხვა [5, გვ. 13, 247].

ფ. ლისტი მაღალ შეფასებას აძლევს იმ როლსა და მნიშვნელობას, რომელსაც ასრულებენ ინსტიტუტები და თვლის, რომ ინსტიტუტები საკმაოდ ძლიერ გავლენას ახდენენ საზოგადოების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

ფ. ლისტის მეცნიერულ ინტერესის ცენტრშია მოქცეული პოლიტიკური ინსტიტუტები და ის იკვლევს, თუ რა გავლენას ახდენენ ეს ინსტიტუტები საზოგადოების რელიგიურობის ხასიათზე, ზნეობასა და აღზრდაზე, ადამიანთა უსაფრთხოებასა და საკუთრების დაცვაზე, თავისუფლებასა და სამართლიანობაზე. ფ. ლისტს კარგად ესმის, რომ ინსტიტუტებს არ მოაქვთ შედეგი მომენტალურად და საჭიროა გარკვეული დრო იმისათვის, რომ ინსტიტუტებმა მათი არსებობის მიზანს მიაღწიონ.

ფრიდროხ ლისტის შეხედულებებში ინსტიტუტები იძენენ უშუალოდ ეკონომიკურ შინაარსს და მათ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში. ფ. ლისტი აღიარებს იმ ფაქტს, რომ ინსტიტუტები წარმოშობენ იმ მწარმოებლურ ძალასა და შესაძლებლობას, რომლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ეროვნული სიმდიდრის გადიდება.

ფრიდროხ ლისტი განიხილავს ინსტიტუტებს და, განსაკუთრებით, პოლიტიკურ, თავისუფალ, სოციალურ და მუნიციპალურ ინსტიტუტებს, როგორც ეროვნული ეკონო-



მიკის პროგრესის ყველაზე მნიშვნელოვან რესურსს, ქალაქების განვითარების უმთავრეს ფაქტორს და სოფლის მეურნეობისა და წარმოების წინსვლის საფუძველს, როგორც ეროვნული სიმდიდრის გადიდებისა და ქვეყნის აყვავების წინაპირობას. ლისტისთვის ნათელია ინსტიტუტების არსებობის აუცილებლობა და ის აღიარებს იმ ფაქტს, რომ პოლიტიკური ინსტიტუტების ნაკლებობას ანდა მათ არასრულყოფილებას შეუძლია მნიშვნელოვნად შეუშალოს ხელი ქვეყნის ინდუსტრიულ და კომერციულ პროგრესს [5, გვ. 76].

ფრიდროხ ლისტის შეხედულებებისთვის დამახასიათებელია ინსტიტუტების განხილვა და ინსტიტუტების დაკავშირება არა მხოლოდ მაკროეკონომიკურ თუ პოლიტიკურ დონეზე მოქმედ მოვლენებთან, არამედ აგრეთვე მიკროეკონომიკურ დონეზე მიმდინარე პროცესებთან. სწორედ ინსტიტუტების კონტექსტში განიხილავს ფრიდროხ ლისტი თითოეული ადამიანის კეთილდღეობას და მენარმეობის განვითარებას. ასე, ფ. ლისტი ამტკიცებს, რომ ინდივიდუალური კეთილდღეობა და მენარმეობრივი ძალა იზრდება პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების სრულყოფის პარალელურად.

ფრიდროხ ლისტი შეისწავლის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ისეთი სპეციფიკური ინსტიტუტების გავლენას, როგორიცაა არისტოკრატის ინსტიტუტები. ფ. ლისტი მაღლა აფასებს ამ ინსტიტუტებს და თვლის, რომ ამ ინსტიტუტების ყველაზე სრულყოფილი ფორმები ინგლისშია ჩამოყალიბდა. არისტოკრატის ინსტიტუტების მნიშვნელობა ლისტს გამოყავს იმ გაგებიდან, რომ ეს ინსტიტუტები, მისი გაგებით, ყველაზე უკეთ იცავენ ბრიტანეთის თავადების ინდივიდუალურ დამოუკიდებლობას, ღირსებას, სტაბილურობას, სოციალურ მდგომარეობას და ა.შ.

ამავე დროს ფრიდრიხ ლისტი ამჩნევს იმ გარემოებასაც, რომ ინსტიტუტებისა და საზოგადოების განვითარების დონეს შორის არსებული კავშირი არ ატარებს ცალმხრივ ხასიათს და არსებობს უკუდამოკიდებულება საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობისა და ინსტიტუტების განვითარებას შორის და აცხადებს, რომ დამოუკიდებლობის დონე, საზოგადოების წინსვლა და კეთილდღეობა დადებითად მოქმედებენ ინსტიტუტების განვითარებაზე და მათ სრულყოფაზე.

ფ. ლისტი განასხვავებდა ინსტიტუტებს მათ ხარისხის მიხედვით და, ჰერბერტ სპენ-

სერის მსგავსად, განიხილავდა „კარგ ინსტიტუტებს“ და „დეფექტურ ინსტიტუტებს“.

ე.წ. „კარგი ინსტიტუტები“ ან „ეფექტიანი ინსტიტუტები“ განაპირობებენ ერისა და მისი ცალკეული წევრის წინსვლას და კეთილდღეობას, მაშინ როდესაც „დეფექტური ინსტიტუტები“ აქვეითებენ ადამიანთა საზოგადოების ყველა სფეროს ქმედითუნარიანობას, ზღუდავენ სამოქალაქო თავისუფლებასა და უსაფრთხოებას და ამცირებს სამართლიანობის დონეს საზოგადოებაში.

### გუსტავ ფონ შმოლერი

გერმანული ისტორიული სკოლის ერთ-ერთი ლიდერი გუსტავ ფონ შმოლერი (Gustav von Schmoller, 1838–1917), რომელიც ცნობილი ავსტრიელი და ამერიკელი ეკონომისტის, სოციოლოგისა და პოლიტოლოგის ჯოზეფ ალოიზ შუმპეტერის (Joseph Alois Schumpeter, 1883–1950) წყალობით ამერიკული ინსტიტუციური ეკონომიკის მამის სახელს ატარებს, თავისი წინამორბედთა განსხვავებით ცდილობს არა მხოლოდ შეაფასოს ინსტიტუტების როლი და მნიშვნელობა საზოგადოებაში, არამედ განსაზღვროს ინსტიტუტების არსი და განმარტოს, თუ რა არის ინსტიტუტი. თუმცა ეს მცდელობა საკმაოდ რთული აღმოჩნდა და გ. შმოლერი იძლევა ინსტიტუტების მხოლოდ ზოგად განმარტებას. მისი შეხედულებით, ინსტიტუტი ეს არის „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაწილი, რომელიც ემსახურება სპეციფიკური მიზნის მიღწევას და რომელსაც გააჩნია უნარი დამოუკიდებლად გაიაროს შემდგომი ევოლუციის გზა... ინსტიტუტები ვარაუდობენ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მყარი საფუძვლების არსებობას სოციალური ქმედებების ჩამოყალიბებისათვის“ [7, გვ. 61]. ანუ გ. შმოლერისთვის ინსტიტუტები ხასიათდებიან თვითგანვითარებისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის სტაბილური პირობების შექმნის უნარით.

ინსტიტუტების ზოგადი განსაზღვრასთან ერთად გ. შმოლერი ცდილობს ინსტიტუტების სხვადასხვა ტიპს მისცეს განმარტება. აღსანიშნავია, რომ გ. შმოლერი განასხვავებდა ინსტიტუტების ისეთ ნაირსახეობებს, როგორიცაა ეკონომიკური ინსტიტუტები (economic institutions), ადამიანური ინსტიტუტები (human institutions), სოციალური ინსტიტუტები (social institutions), აგრარული ინსტიტუტები (agrarian institutions), საზოგადოებრივი ინსტიტუტები (public institutions), ტრადიციული ინსტიტუტები (traditional institution) და სხვა.

ეკონომიკურ ინსტიტუტებს გ. შმოლერი განსაზღვრავდა, როგორც მორალური წესე-

ბისა და უფლებების ერთობლიობას, რომლებიც კოორდინაციას უწევენ ადამიანთა შრომასა და ცხოვრებას და ახორციელებენ მათი საქმიანობის ჰარმონიზაციას სამართლიანობის „იდეალური კონცეფციის“ საფუძველზე. გ.შმოლერისთვის ეკონომიკური ინსტიტუტები წარმოადგენენ ადამიანთა გრძნობებისა და აზროვნების, ადამიანთა ქმედებების, ჩვევებისა და კანონის შედეგს [8]. ასეთი მიდგომით გ.შმოლერი, ფ.ლისტის მსგავსად, მიუთითებს ინსტიტუტებისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულებაზე, რაც გამოიხატება მათი ორმხრივ ურთიერთქმედებაზე ანუ თუ ინსტიტუტები გავლენას ახდენენ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ადამიანთა საზოგადოების ცხოვრების წესი და მასში მიმდინარე პროცესები თავის მხრივ მოქმედებენ ინსტიტუტების ცვლილებებზე და მათ განვითარებაზე.

გ.შმოლერი ინსტიტუტებს განმარტავს ორი პოზიციიდან გამომდინარე ანუ ვიწრო გაგებით და ფართო გაგებით. ვიწრო გაგებით, შმოლერისთვის ინსტიტუტები წარმოადგენენ ფორმალურ ორგანიზაციებს ანუ შმოლერი აიგივებს ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებს და ასეთი მიდგომა საკმაოდ გავრცელებულია დღევანდელ ეკონომიკურ მეცნიერებაში, განსაკუთრებით გერმანიაში, ხოლო ფართო გაგებით ინსტიტუტები მისთვის წარმოადგენენ „სოციალურად შეჩვეულ ქცევას“ ანუ სოციალიზაციის პროცესში ადამიანთა მიერ შექმნილ და ჩვევაში გადაზრდილ ქცევას. ასეთი გაგებით გ.შმოლერი ავითარებს წარმოდგენას ინსტიტუტებისა და ადამიანთა ქცევის უშუალო კავშირის, მათ ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ.

გუსტავ შმოლერი, როგორც ისტორიული სკოლის წარმომადგენელი და ლიდერი, ყველა საზოგადოებრივ პროცესს განიხილავს ისტორიულ ჭრილში და ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. სწორედ ისტორიული და ეროვნული მიდგომა უდევს მის წარმოდგენას ინსტიტუტებზე.

გ.შმოლერი ემხრობა ინსტიტუტების არსებობის აუცილებლობის იდეას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინსტიტუტები განიცდიან მუდმივ ევოლუციას საზოგადოების ისტორიული განვითარების პროცესში. მისთვის უდაოა ტრადიციული ფასეულობების მნიშვნელობა და ამგვარ შეხედულებას ინსტიტუტებზეც ავრცელებს. ის წერს, რომ ინსტიტუტები არასდროს არ უნდა შეწყვიტონ თავისი არსებობა, რომ ერი ვერასოდეს შეძლებს შექმნას რაიმე აბსოლუტურად ახალი

და ყოველთვის უნდა დაეფუძნოს იმას, რაც უკვე არსებობს [8]. გ.შმოლერი აღნიშნავს ინსტიტუტების „მყარ უწყვეტობას“ და თვლის, რომ ინსტიტუტების მონაცვლეობა უზრუნველყოფს იმ „სიბრძნისა და სამართლიანობის“ მემკვიდრეობითობას, რომლებსაც ტრადიციული ინსტიტუტები მოიცავს. ანუ გ.შმოლერისთვის მნიშვნელოვანია ინსტიტუტების მემკვიდრეობითი ხასიათი, როდესაც შესაძლებელია ადრე ჩამოყალიბებული ფასეულობების გადაცემა მომდევნო თაობებისთვის და ამის საფუძველზე საკუთარი ერის, საკუთარი კულტურის იდენტურობის შენარჩუნება და ამის საფუძველზე ქვეყნის განვითარება. მისი გაგებით, ყოველი ინსტიტუტის ფუნქციონირების შედეგი უნდა იყოს შემომნებელი ამ ინსტიტუტის წარმოშობის, სამართლიანობაზე გავლენისა და, ზოგადად, მისი არსებობის აუცილებლობის თვალსაზრისით დროის ყოველი კონკრეტული მონაკვეთისათვის.

გ.შმოლერის შეხედულებები ინსტიტუტებზე არ შემოიფარგლებიან მხოლოდ ისეთი „ტექნიკური“ მახასიათებლებით, როგორცაა მონაცვლეობა, ევოლუციისა და დროში ცვალებადობის უნარი, არამედ მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ფსიქოლოგიურ, ეტიკურ, გრძნობიარობისა და ინსტინქტის იდეასთან [9, გვ.448]. სწორედ ამ თვალსაზრისით განიხილავს გ.შმოლერი ეკონომიკურ ინსტიტუტებს, როცა წერს, რომ ეკონომიკური ინსტიტუტები უნდა იყვნენ გამოყვანილი, ანუ უნდა დაეფუძნონ ადამიანთა ფსიქოლოგიურ ძალას ზოგადად, მათ გრძნობებს, ინსტინქტებსა და ეტიკურ ნორმებს.

ამგვარად, გუსტავ შმოლერი განიხილავს ინსტიტუტებს მათი ისტორიულ კონტექსტში და აღიარებს ინსტიტუტების როგორც დროში ცვალებადობის უნარს, ასევე ინსტიტუტების მონაცვლეობის, მათი უმთავრესი მახასიათებლების მემკვიდრეობითობის შესაძლებლობას. გ.შმოლერი აღიარებს ინსტიტუტების დიდ მნიშვნელობას და განიხილავს მათ, როგორც სოციალური ცვლილებების წყაროს, სოციალური გრადაციის, „სოციალური კლასიფიკაციის“ მიზეზს.

#### **კარლ ბიუხერი**

გერმანული ისტორიული სკოლის სხვა წარმომადგენელი - ლაიფციგის უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის პროფესორი კარლ ბიუხერი (Karl Bucher, 1847–1930) ასევე არ ტოვებს უყურადღებოდ ინსტიტუტების ცნებას და ავითარებს საკუთარ წარმოდგენას ამ ფენომენის მიმართ.

ინსტიტუტების მიმართ კ.ბიუხერის წარმოდგენა არ არის ერთგვაროვანი და ინსტიტუტებს იგი განმარტავს, ერთის მხრივ, როგორც სპეციფიკურ მექანიზმს გარკვეული საქმიანობის შესრულებისათვის და განიხილავს ისეთ ინსტიტუტებს, როგორცაა გამოძალვის ინსტიტუტები (institutions for extortion), საჩუქრების სისტემის ინსტიტუტები (the institutions of the system of gifts), მექრთამეობის სისტემის ინსტიტუტები (institutions for system of bribery) და სხვა [2, გვ.80], ხოლო მეორეს მხრივ, გ.შომლერის მსგავსად, ინსტიტუტების როლში კ.ბიუხერი განიხილავს ორგანიზაციებს და განათლების სახელმწიფო ინსტიტუტების სახით ასახელებს მონასტერებს (monasteries), მუნიციპალურ და კათოლიკურ სკოლებს (municipal and cathedral schools), ტექნიკურ სკოლებს (technical schools). გარდა ამისა, ინსტიტუტების სახით მან განიხილა ისეთი ორგანიზაციები, როგორცაა ბრმა და მუნჯი ადამიანების თავშესაფარი (asylums for the deaf and dumb), ციხეები და ყაზარმები (prison and barracks), საფოსტო დაწესებულებები (postal institutions) და ა.შ. [2, გვ.146, 190, 242].

მაგრამ კ.ბიუხერის შეხედულებებისათვის დამახასიათებელია, აგრეთვე, სხვა მიდგომა, რომელიც წარმოადგენს პირველი ორის თავისებურ ნაერთს, როცა ის ერთსა და იგივე ინსტიტუტს განიხილავს ერთდროულად როგორც მექანიზმს და როგორც ორგანიზაციას. ასე, ფაბრიკას კ.ბიუხერი განიხილავს, როგორც ორგანიზაციას გარკვეული პროდუქტის შექმნისათვის და როგორც მექანიზმს, „განსაკუთრებულ გზას“ შრომის ეფექტიანი გამოყენებისათვის.

როგორც ისტორიული სკოლის წარმომადგენელი, კ.ბიუხერი აფასებს ინსტიტუტებს კულტურულ-ეროვნული თვალსაზრისით. მისი შეხედულებით, ყოველ ქვეყანას გააჩნია საკუთარი, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებული პოლიტიკური, რელიგიური და სოციალური ინსტიტუტები. ამის გამო როცა ერთი ქვეყნის მოქალაქე ხვდება სხვა ქვეყანაში, ის იძულებული ხდება შეეფუოს ახალ გარემოს, ახალ ინსტიტუტებს [2, გვ.174, 336].

### **ჯორჯ ფრიდრიხ კნაპი**

გერმანელი ეკონომისტი, სტატისტიკოსი და განმანათლებელი, ლაიფციგის უნივერსიტეტის პროფესორი ჯორჯ ფრიდრიხ კნაპი (Georg Friedrich Knapp, 1842–1926) თავის ცნობილ წიგნში „ფულის სახელმწიფო თეორია“ („The State Theory of money“ [4], 1905), რომელმაც მიიღო „ეკონომიკური მეცნიერების მოვლენის“ [3, გვ. 251] სახელი და მნიშვნელოვნად

იმოქმედა მონეტარულ თეორიის აღქმაზე გერმანიაში, განავითარა საკუთარი წარმოდგენა ინსტიტუტებზე.

ბანკების, ვალუტისა და ფულის თეორიის შესწავლის დროს ჯორჯ ფრიდრიხ კნაპი მჭიდროდ უკავშირებს ტერმინს „ინსტიტუტი“ ფულად მიმოქცევას. ჯ.ფ.კნაპისთვის ინსტიტუტები ორგანიზაციებს, აქტივების გამოცალკავებულ ნაწილს წარმოადგენენ. საკუთარი კვლევის საგნიდან გამომდინარე, ჯ. ფ. კნაპი განიხილავს ბანკებს, როგორც ინსტიტუტებს და განსაზღვრავს მათი ფუნქციონირების თავისებურებებს.

ჯ.ფ.კნაპი იყენებს ცნებას „კერძო ინსტიტუტი“, რომელშიც გულისხმობს ბანკებს, ხოლო საქონელგაცვლა მისთვის წარმოადგენს სოციალური ურთოერთქმედების ინსტიტუტს [3, გვ. 3. 192].

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დამდეგს და, კერძოდ, 1905 წელს, ჯ.ფ.კნაპმა გამოთქვა მოსაზრება ინსტიტუტების ფორმების ცვალებადობის შესახებ. ის წერს, რომ „ნებისმიერ საზოგადოებაში ხდება წესის, წეს-ჩვეულების თანდათანობითი აღიარება კანონის მიერ“ და ეს, თანამედროვე ინსტიტუციონალიზმის ტერმინოლოგიის გამოყენებით, ნიშნავს, რომ ჯ.ფ.კნაპმა მიუთითა არაფორმალური ინსტიტუტების ფორმალურ ინსტიტუტებში გადასვლის (გარდაქმნის) შესაძლებლობაზე.

### **ვერნერ ზომბარტი**

ტერმინი „ინსტიტუტის“ ფართო გამოყენების კიდევ ერთ მაგალითს იძლევა გერმანული უახლესი ისტორიული სკოლის მთავარი წარმომადგენელი ვერნერ ზომბარტი (Werner Sombart, 1863–1941), რომლისთვის დამახასიათებელია კვლევის ისტორიული მეთოდების უკიდურესი ფორმების გამოყენება.

ვ. ზომბარტის წარმოდგენით ინსტიტუტები პოლიტიკურ „ჟღერადობას“ ატარებენ და განიხილავს ინსტიტუტებს კლასობრივი პოზიციიდან, კლასობრივი ინტერესებიდან გამომდინარე, როგორც საზოგადოებისა და ქვეყნის „სოციალურ სულს“.

ვ. ზომბარტი ინსტიტუტებს განსაზღვრავს, აგრეთვე, როგორც „გარკვეულ სულს“, რომელიც მიმოქცევა გარკვეულ წესების მოქმედების სივრცეში და მსჯელობს ისეთ „გარკვეულ სულზე“, როგორცაა იურიდიული ინსტიტუტები. ამ ინსტიტუტებს ვ. ზომბარტი განსაზღვრავს, როგორც „ძირითად დებულებებს“, რომლებიც მიმოქცევა ორ განსხვავებულ სივრცეში, როგორცაა ინსტიტუტების ასაკი და საზოგადოების გან-

ვითარების პროცესი. ვ. ზომბარტიის შეხედულებით, ამ „მიმოქცევაში“ ინსტიტუტები ავლენენ განსხვავებულ თვისებებს. ინსტიტუტები ნაკლებად ავლენენ ცვალებადობის ხასიათს და ნაკლებად არიან დამოკიდებულნი ასაკზე ანუ დროის ფაქტორზე, მაგრამ იცვლებიან საზოგადოების პროგრესის შესაბამისად [10, გვ.83, 93].

ვერნერ ზომბარტი აღიარებს ინსტიტუტების ისეთ ფორმებს, როგორცაა ეკონომიკური და სოციალური ინსტიტუტები (economic and social institutions), თავისუფალი ინსტიტუტები (free institutions), ჰუმანიტარული ინსტიტუტები (humanitarian institutions), პროლეტარული ინსტიტუტები (proletarian institution), პროფკავშირების ინსტიტუტები (trade-union institutions) ან მშრომელთა სინდიკატები და კოოპერატიული საზოგადოებები (the workers' syndicate and co-operative society), საკრედიტო ინსტიტუტები (credit institutions), იურიდიული ინსტიტუტები (legal institutions), კომერციული ინსტიტუტები (commercial institutions) [10, გვ. 47; 11, გვ.83, 93].

თავისუფალ ინსტიტუტებში ვ. ზომბარტი გულისხმობს საპარლამენტო სისტემას და ამტკიცებს, რომ თავისუფალი ინსტიტუტები შეესაბამებიან საშუალო ფენების (საშუალო კლასების) ინტერესებს, მაშინ როცა პროფკავშირების ინსტიტუტები ეს არის „პროლეტარული ინსტიტუტები მათი საუკეთესო გაგებით“ [11, გვ.26,102].

ვ. ზომბარტი წარადგენს პროფკავშირების

ინსტიტუტებს და კოოპერატიული საზოგადოებებს, როგორც მუშათა მოძრაობის ორ ქვაკითხედს, ორ მაგისტრალურ მიმართულებას.

როგორც ვხრდავთ, ტერმინი „ინსტიტუტი“ გამოიყენება გერმანული ისტორიული სკოლის წარმომადგენებისა და მათი წინაფართა მიერ, როგორც დამხმარე, თანმხლები ტერმინი სხვადასხვა ეკონომიკური პრობლემების კვლევისათვის. ისინი განიხილავდნენ ცნებებს „ინსტიტუტი“ და „ორგანიზაცია“, როგორც იდენტურ კატეგორიებს და ხშირად ანაცვლებდნენ ერთ ტერმინს მეორე ტერმინით. ამავე დროს, ფრიდრიხ ლისტის მსგავსად, ახალი ისტორიული სკოლის მთავარი თეორეტიკოსი გუსტავ შმოლერი და მასთან ერთად ისტორიული სკოლის სხვა წარმომადგენლები აღიარებენ ინსტიტუტების მნიშვნელობას ეკონომიკური აგენტების ქცევის ფორმირებაში და განიხილავდნენ ეკონომიკურ ქცევას კულტურულ კონტექსტში. ინსტიტუტების ცვალებადობის ფაქტის აღიარებით, ეკონომიკის ისტორიული სკოლის წარმომადგენელთა შეხედულებებმა წინ უსწრეს ინსტიტუტების ევოლუციური ხასიათის იდეას და აღიარეს მნიშვნელობა ისეთი მოვლენებისა, როგორცაა ტრადიციები, ჩვევები, წეს-ჩვეულებები, კანონი, მორალი და სხვა ანუ ყოველივე იმისა, რაც ასე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ძველი ინსტიტუციონალიზმისთვის.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. არნანია-კეპულაძე თამილა, 2016, ინსტიტუტი: ტერმინის განუსაზღვრელობის გენეზისი (ნაწილი I: წინაისტორია). მოამბე, 27, გვ.23-32.
2. Bucher, C., 1991, [1901], Industrial Evolution. Original Published United States.
3. Hawtrey, R., 1925, Review of Knapp's The Theory of Money. Economic Journal.
4. Knapp Georg Friedrich, 1924, The State Theory of money, London, Macmillan & Company Limited, St. Martin's Street.
5. List F., 1909, The National System of Political Economy. London: Longmans, Green & Co.
6. Schmoller, G., 1911, Volkswirtschaft, Volkswirtschaftslehre und methode. In: J. Conrad, L. Elster, W. Lexis, & E. Loening (Eds.). Handwörterbuch der Staatswissenschaften, Vol. 8. Jena: Gustav Fischer.
7. Schmoller, G., 1900, Grundriß der Allgemeinen Volkswirtschaftslehre. Leipzig: Erster Teil, Duncker & Humblot.
8. Schmoller, G., 1881, The Idea of Justice in Political Economy. Annals of the American Academy of Political and Social Science, 4.
9. Schmoller, G., 1911, Volkswirtschaft, Volkswirtschaftslehre und methode. In: J. Conrad, L. Elster, W. Lexis, & E. Loening (Eds.). Handwörterbuch der Staatswissenschaften, Vol. 8. Jena: Gustav Fischer.
10. Sombart, W., 2001, The Jews and Modern Capitalism. Ontario: Batoche Books Limited, 83, 93.
11. Sombart, W., 1909, Socialism and the Social Movement. London: J.M. Dent & CO, New York: E.P. Dutton & CO MCMIX.

## ABSTRACT

### INSTITUTION: GENESIS OF THE TERM UNCERTAINTY (PART 2: INFANCY: GERMAN HISTORICAL SCHOOL)

Prof. Tamila Armania-Kepuladze  
Akaki Tsereteli State University

The German Historical School and its major scholars such as Gustav von Schmoller, Max Weber and Werner Sombart are recognized as one of the origins, the historical roots of institutional economic school. The paper aims to investigate the understanding of term “Institutions” by famous representatives of German Historical School.

As the paper has found the term “institutions” was used by the representatives of German Historical School of Economics and their predecessors as supportive, concomitant for investigation of various economic issues. They understood institutions and organizations as very similar concepts and often replaced one term by other. At the same time, in continuation of Friedrich List, the leader of Younger German Historical School of economics Gustav v.Schmoller and after him other representatives of Historical School recognized the importance of institutions in the formation of economic actors’ behavior, and considered economic behavior through the cultural background. By admission of the fact that institutions are changeable through the time, the Historical School of Economics predated the idea of evolutionary character of institutions. Economists of German Historical School in a great deal preempted most of ideas of American Institutional Economics and recognized the importance of tradition, habit, custom, law, moral etc.

# მასმედია და საზოგადოება

## ნინო შოშიტაშვილი

სოციოლოგიის დოქტორი

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

## ნათუნა კაჭარავა

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე საზოგადოების ტრანსფორმაციის პირობებში მასმედიის საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების საკითხი კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს – ფლობენ რა საზოგადოებაზე ზემოქმედების მრავალფეროვან შესაძლებლობებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ფართოდ იჭრებიან ინდივიდისა და საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამასთან, მასობრივი კომუნიკაციის ინდუსტრიის ტექნოლოგიური სრულყოფა, ინფორმაციის გავრცელების სწრაფი ტემპი და მრავლობითი რისკები, რომლებიც თან ახლავს ჟურნალისტიკის ყოველდღიურ საქმიანობას, მასობრივი კომუნიკაციის სფეროში ინვესტაციის პროფესიონალიზმის მრავალასპექტიან შეფასებას.

მასმედიისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების პრობლემა ათეული წლების მანძილზე აღელვებდა მასობრივი კომუნიკაციის მკვლევარებს: თ. ვ. ადორნოს, მ.ჰორკჰაიმერს, გ.დებორს, პ.გოლდინგს, გ.მერდოკს, ჰ.შილერს და სხვ. ფრანკფურტის სკოლის სოციოლოგების თვალსაზრისით, მასობრივი კომუნიკაციის ტექნოლოგიები (ჟურნალი, კინო, რეკლამა, ტელევიზია და ა.შ.) ქმნიან „მედიამპერიებს“, რომელთაც ესა თუ ის სისტემა თვითშენარჩუნებისა და ინდივიდთა დაქვემდებარების მიზნით იყენებს. „კულტურული ინდუსტრია“ მართავს ინდივიდთა მოთხოვნილებებს და განსაზღვრავს მათ ჩვევებს, აქცევს მათ პასიურებად და ჰეტერო-მართულებად, ანულირებს უკეთეს მათ, როგორც პიროვნებებს და „ერთგვაროვან მასამდე“ დაჰყავს, – აღნიშნავს თ. ადორნო. საზოგადოების განათლებისა და ადამიანის მიერ ჭეშმარიტების ძიებისას თავისუფალი პრესის მნიშვნელოვან როლზე წერდნენ ჯ.ლოკი, ჯ. ს. მილი, ჯ. მილტონი, თ. ჯეფერსონი და სხვანი.

სოციოკულტურულ პროგრესში მუდმივად ცდილობენ შექმნან მასმედიის მორალური თუ სოციალური პასუხისმგებლობის

იდეალური მოდელი, რომელიც დაფუძნებული იქნება ზოგად ჟურნალისტურ პრინციპებსა და ნორმებზე. თუმცა, როგორც დ. მაქქუელი აღნიშნავს, – არც ერთი მედიასისტემა არ არის ბოლომდე სრულყოფილად ფორმულირებული. „მედია ყოველთვის იცვლის ფორმას და იღებს იმ სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურების ელფერს, რომელშიც მას უწევს ფუნქციონირება“, – წერს ფ. სიბერტი.

მასმედიის სოციალური პასუხისმგებლობის მოდელი ერთ-ერთია იმ ოთხი თეორიიდან („პრესის ოთხი თეორია“), რომელსაც გვთავაზობენ სტენფორდის უნივერსიტეტის მეცნიერები (ფ. სიბერტი, უ. შრამი და ტ. პეტერსონი) მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომი გამოქვეყნდა 1956 წელს აშშ-ში, თანამედროვე მეცნიერები მასმედიის ადგილისა და როლის კვლევისას დღესაც ხშირად მიმართავენ მას.

სოციალური პასუხისმგებლობის თეორია წარმოიშვა XX საუკუნის 40-იან წლებში, მასმედიის არასასურველი მდგომარეობის გამო საზოგადოებასა და ჟურნალისტთა წრეებში დაგროვილი უკმაყოფილების პასუხად. მას ხშირად სოციალური პასუხისმგებლობის ანგლო-ამერიკულ თეორიასაც უწოდებენ. ამ მოდელში აისახა მასმედიის საქმიანობის ახალი მიზნის ძიება. იმ დროისთვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უკვე წარმოადგენდნენ ინდუსტრიებს, აწარმოებდნენ და ავრცელებდნენ საინფორმაციო მასალებს. მასმედია წარმოადგენდა იარაღს, რომელიც უზრუნველყოფდა განუსაზღვრელ ძალაუფლებას საზოგადოების მხოლოდ მცირე ნევრთათვის, რაც მიმართული იყო არა საზოგადოების, არამედ ინდივიდუალური კეთილდღეობისკენ. ე.წ. „ახალი ამბების ოლიგოპოლია“ ზღუდავდა განსხვავებული თვალსაზრისების გავრცელებას, რის შედეგადაც მოქალაქეს ართმევდა პოლიტიკური არჩევანის შესაძლებლობას. საინფორმაციო მასალების გაშუქებისას

ძირითადი ყურადღება ექცეოდა სენსაციას, გასართობი გადაცემები ხშირად მოკლებული იყო შინაარსს. არცთუ იშვიათად მასობრივი ინფორმაციის საშუალებები საფრთხეს უქმნიდა საზოგადოების ზნეობრიობას. ვრცლად შუქდებოდა ძალადობა, პორნოგრაფია და სისასტიკე. რამდენადაც არსებულ მედიაორგანიზაციებს აკონტროლებდა ერთი სოციალურ-პოლიტიკური ჯგუფი, მედიაბაზარზე ახალი სახეების შეღწევა დიდ სირთულეებს წარმოადგენდა, რითაც ირღვეოდა ღია და თავისუფალი მედია ბაზრის პრინციპი.

საზოგადოების მხრიდან აღნიშნული საკითხების განსაზღვრის კვალდაკვალ ინგლისსა და ამერიკაში თითქმის ერთდროულად შეიქმნა კომისიები, რომელთაც საკუთარ თავზე აიღეს ვალდებულება შეემუშავებინათ მასმედიის საქმიანობის ეთიკური სტანდარტები. დ. მაქქუეილი ახასიათებს სოციალური პასუხისმგებლობის თეორიულ პრინციპებს:

მასმედია თავისი საქმიანობის განხორციელებისას ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე;

საინფორმაციო მასალებში აუცილებელია მაღალი პროფესიონალური მოთხოვნების, ინფორმაციულობის, სიზუსტისა და ობიექტურობის დაცვა;

მასმედიის საქმიანობა თვითრეგულირდება სამართლებრივი ნორმებისა და მორალური მოთხოვნების საფუძველზე;

მასმედია პლურალისტურია, გამოხატავს განსხვავებულ შეხედულებებს და ქმნის საჯარო დისკუსიის შესაძლებლობას;

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობაში ჩარევა დასაშვებია მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით;

ჟურნალისტებს აკისრიათ პასუხისმგებლობა როგორც დამქირავებლის, ისე, საზოგადოების წინაშე.

მასმედიის საქმიანობა პირდაპირ ან ირიბად არ უნდა იწვევდეს ძალადობის, საზოგადოებრივი უნესრიგობის პროვოცირებას და არ შეუარაცხყოფდეს საზოგადოების მცირე ჯგუფების უფლებებს.

სოციალური პასუხისმგებლობის თეორიის მიხედვით მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მოწოდებულია გაავრცელოს საზოგადოებაში დომინანტური ფასეულობანი, მორალურ-ეთიკური ნორმები და იდეურ-პოლიტიკური ორიენტაციები. ამავდროს, მასმედია ასახავს საზოგადოებრივ

აზრს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს მმართველი ჯგუფების, ხელისუფლებისა და კონკრეტულ პოლიტიკურ მოქმედებათა შეზღუდვისათვის, მათი მხრიდან კანონდარღვევის ფაქტების მხილებაში. სოციალური პასუხისმგებლობის თეორია აღნიშნავს რა დამოუკიდებელი პრესის მნიშვნელობას ფაქტობრივად, იმეორებს პროფესიული ეთიკის მოსაზრებებს. ამავდროს გვთავაზობს მნიშვნელოვან ინოვაციას, რომლის მიხედვითაც მასმედია კულტურული პლურალიზმის დათქმით, პასუხისმგებელია „სამოქალაქო საზოგადოების“ ფორმირებაზე.

გარკვეული თვალსაზრისით, სოციალური პასუხისმგებლობის თეორია მკვეთრად რადიკალურია თავის განწყობებში. ერთი მხრივ, მოითხოვს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების და მათი მფლობელების სრულ თავისუფლებას, მეორე მხრივ, გარკვეულ ვალდებულებას აკისრებს მათ. როგორც ლიბერტარიანიზმი წარმოიშვა როგორც ავტორიტარული იდეების ალტერნატივა, ისე სოციალური პასუხისმგებლობის თეორიაც არის პასუხი ტოტალიტარული იდეების წინააღმდეგ.

სოციალური პასუხისმგებლობის თეორიას გამოყენების ფართო სპექტრი აქვს, რადგან ის მოიცავს სხვადასხვა კერძო მასობრივ ინფორმაციის საშუალებებსა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ინსტიტუტებს, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან საზოგადოების წინაშე. დემოკრატიული პოლიტიკის განსახორციელებლად მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უზრუნველჰყოფენ განსხვავებული შეხედულებების სადისკუსიო პლატფორმას. მასმედიის მაქსიმალური დამოუკიდებლობა სავსებით თავსებადია საზოგადოების წინაშე მისი ანგარიშვალდებულებისა, რადგან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობა ეფუძნება საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებს. მედიასაკუთრება და კონტროლი უნდა გავიგოთ როგორც ერთგვარი საზოგადოებრივი გარანტია, და არა კერძო ფრენჩაიზი. „თავისუფალი პრესის თეორიისგან“ განსხვავებით, რომელიც გულისხმობს მასმედიას როგორც „თავისუფალი იდეების ბაზარს“, სოციალური პასუხისმგებლობის თეორია კერძო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში დასაქმებულ ჟურნალისტებს ანგარიშვალდებულს ხდის არა მხოლოდ მომხმარებლის, არამედ მთელი საზოგადოების წინაშე. საზოგადოების წინაშე ვალდებულე-

ბაში კი იგულისხმობა:

სამოქალაქო ფორუმის უზრუნველყოფა, სადაც მიმდინარეობს პლურალისტური დებატები საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ;

2) ძალაუფლების ბოროტად გამოყენების სადარაჯოზე მდგომი ინსტიტუტი;

3) მობილიზების იარაღი, რომელიც ხელს უწყობს მოსახლეობის სწავლებას და ჩართვას პოლიტიკურ ბრძოლაში.

თანამედროვე საზოგადოებებში სოციალური პასუხისმგებლობის თეორია აერთიანებს სამ განსხვავებულ პრინციპს: ინდივიდუალურ თავისუფლებას და არჩევანს; მედიის თავისუფლებას; მედიაანგარიშვალდებულებას საზოგადოების წინაშე. ზემოაღნიშნული თეზისური წინააღმდეგობის დასაძლევად სასურველია, ერთი მხრივ, ფუნქციონირებდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის ინსტიტუტები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან სამაუწყებლო პოლიტიკის განხორციელებაში, რაც ხელს შეუწყობს მედიის სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის გაფართოებას. მეორე მხრივ, პროფესიონალიზმის მუდმივი სრულყოფა, იმ დათქმით, რომ პროფესიონალიზმი გულისხმობს არა მხოლოდ მაღალ კრეატიულობას, არამედ მიუკერძოებლობასა და „ბალანსის“ დაცვას, რომლებიც უმნიშვნელოვანესია მედიაკომუნიკაციისთვის.

ჟურნალისტები აღიარებენ მედიის სოციალური პასუხისმგებლობის თეორიის ძირითად ფასეულობებს—პლურალიზმსა და კულტურულ მრავალფეროვნებას, თუმცა პრაქტიკული საქმიანობისას ნაკლებად ითვალისწინებენ მათ. რადგან ნაკლებ საინფორმაციო ღირებულებას ანიჭებენ მცირე ინტერეს-ჯგუფებისა და საზოგადოების ყოველდღიურ საქმიანობას. სოციალური პასუხისმგებლობის თეორია იქნება ქმედუნარიანი ნორმატიული თეორია, თუ მედიის ეფექტების მრავალმხრივი კვლევისას დიდი ყურადღება დაეთმობა საზოგადოების მიზნებისა და მედიასაშუალებების მიერ შეთავაზებული „ახალი ამბების“ დღის წესრიგის შესაბამისობის შესწავლას.

თანამედროვე საზოგადოების ტრანსფორმაციის პირობებში სოციალური პასუხისმგებლობის მქონე მედიის ფორმირება გართულდა პოლიტიკური, ეკონომიკური და მედია აქტორების ურთიერთმიმართების შედეგად, რაც ნეგატიურად აისახა ჟურნალისტების, როგორც დამოუკიდებელი პროფე-

სიონალების იდენტობაზე.

ეკონომიკურად სწრაფად განვითარებადი მასმედია გადაიქცა ბიზნესის დამოუკიდებელ და მომგებიან დარგად. ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები წარმოადგენს კერძო სამენარმეო ინსტიტუტს, რომელთა ეკონომიკური საქმიანობა ემყარება ინფორმაციის შეგროვებას, წარმოებას, შენახვას და გაყიდვას. კონკურენციის პირობებში ახალი ამბების წარმოება და გაშუქება ერთდროულად განიხილება როგორც კომერციული საქმიანობა და როგორც გარკვეული შეხედულებების გავრცელების საშუალება. შესაბამისად, მასობრივ ინფორმაციის საშუალებებს აქვთ საკუთარი ინტერესები, რაც ყოველთვის არ ემთხვევა და ზოგჯერ ეწინააღმდეგება კიდევ საზოგადოების ამა თუ იმ გავლენიანი ძალის ან ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ინტერესებს. კომერციული სანყისი, რაც საფუძვლად უდევს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა უმეტესობის საქმიანობას, პრინციპში ინდიფერენტულია შინაარსისადმი, რაც ჟურნალისტებს აიძულებს უარი თქვან საზოგადოებრივი ფუნქციების შესრულებაზე და მთლიანად კომერციული მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე იმუშაონ. საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული პრესა, შესაძლებელია მხოლოდ იდეალურ პირობებში, როდესაც საზოგადოებრივ სისტემაში ეკონომიკურ, პოლიტიკურ სუბიექტებსა და მასმედიის წარმომადგენლებს შორის დარეგულირებულია ძალაუფლების გადანაწილება.

გვიანდემოკრატიზებულ საზოგადოებებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები პოლიტიკური გავლენის იარაღად გვევლინებიან, ხოლო ყველა დანარჩენი მოქალაქე მოკლებულია საჯაროდ თვითგამოხატვის შესაძლებლობას. რათქმაუნდა დემოკრატია შეუძლებელია თავისუფალი მასმედიის გარეშე, მაგრამ მათი თავისუფლება არ უნდა ნიშნავდეს საზოგადოებისა და მოქალაქეებისგან მოწყვეტას, რომელთა ინტერესების და აზრის გამოსახატავად არის მასმედია მონო-დებული. მასმედიის საშუალებათა მაღალი ღირებულებისა და იმის გამო, რომ ყველა მოქალაქეს მათი შექმნის შესაძლებლობა არა აქვს, ამიტომ მასმედიის დამფუძნებლებს, აგრეთვე რედაქტორებსა და ჟურნალისტებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ თავიანთი საქმიანობის საზოგადოებრივ შედეგებზე.



დემოკრატიული რეჟიმებისთვის ძირითადად დამახასიათებელია მედიაფასეულობების ერთგვაროვნება. მედიაეთიკა ისეთ საყოველთაო ღირებულებებს ეფუძნება, როგორცაა სიძულვილის, ძალადობის, ადამიანთა დამცირების, ან მათი რომელიმე გამოვლენის უარყოფა. ჟურნალისტთა შემთხვევაში ეს საყოველთაო ფასეულობებია: ახალი ამბების სრულად, ზუსტად, რელევანტურად და დაბალანსებულად გადმოცემა; თუ განვაზოგადებთ, ცხადია, რომ ჟურნალისტური ფასეულობები აშკარა კავშირშია მედიის ფუნქციებთან. ამდენად, აუცილებელია, რომ ჟურნალისტს ნათლად ჰქონდეს გაცნობიერებული ეს ფუნქციები. პროფესიული ეთოსი არსებობს, თუმცა ეთიკური რეფლექსები ჟურნალისტების ყოველდღიურ საქმიანობაში ნაკლებადაა გამოხატული. სამოქალაქო სექტორში არის ცალკეული ინიციატივები იმ მიმართულებით, რომ წაახალისონ მედიაში თვითრეგულირების მექანიზმების არსებობა. მაგრამ თითოეული ასეთი ინიციატივა ჯერ არ ქცეულა თვითრეგულაციის ქმედით მექანიზმად. არადა, ამ მექანიზმების ამუშავება მეტად მნიშვნელოვანია მედიის პროფესიონ-

ალიზმისა და დამოუკიდებლობის განვითარებისთვის. ასეთი თვითრეგულაციის მექანიზმები თვით მედიაორგანიზაციებისა და ჟურნალისტების ნებაზეა დამოკიდებული. ეს სფერო შეიძლება მედიისა და მესამე სექტორის ორგანიზაციების მჭიდრო თანამშრომლობის სფეროც კი გახდეს.

ჟან კლოდ ბერტრანის აზრით, მედიაეთიკა მხოლოდ დემოკრატიის პირობებში შეიძლება არსებობდეს. „თვითრეგულირება მხოლოდ იქ შეიძლება განიხილებოდეს სერიოზულად, სადაც გარანტირებულია სიტყვის თავისუფლება, არსებობს შედარებით წარმატებული მედია და არიან კომპეტენტური ჟურნალისტები, რომლებიც თავიანთი საქმით ამაყოფენ. ღარიბ ქვეყნებში მომხმარებლის სიმცირე განსაზღვრავს რეკლამის მცირერიცხოვნებას; შესაბამისად, მედია ღატაკი, კორუმპირებული და სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადია. ეს ნიშნავს, რომ ბევრ ქვეყანაში, იმისდა მიუხედავად, რომ ისინი ოფიციალურად დემოკრატიულად არიან აღიარებული, მედიაეთიკა დიდწილად არარელევანტურია“ – აღნიშნავს ჟ. კ. ბერტრანი.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Siebert F., Peterson T., Schramm W. Four Theories of the Press. Urbana, 1956.
2. Mc Quail D. Mass Communication Theory: An Introduction. L., 1987. ) [1, p. 109],
3. Last Rights. Revisiting Four Theories of the Press/ed. by J. Nerone. University of Illinois press. Urbana, Chicago, 1965
4. Baron S. I. and Davis D. K. Mass Communication Theory; Foundation, Fervent and Future, Belmont, 1995.
5. Altschull J. H. Agents of Power: The Role of the News Media in Human Affairs. N. Y., 1984.
6. Ср. Хоркхаймер М., Адорно Т.В. Диалектика Просвещения. Философские фрагменты. М.; СПб., 1997. Стр. 199, 307
7. Commission of Freedom of the Press. A Free and Responsible Press. Chicago, 1947.
8. Hallin, D., S Papathanassopoulos 2002, Political clientelism and the media: southern Europe and Latin America in comparative perspective Media, Culture and Society, v.24, N 2, pp.175-195
9. გ. ნოდია. სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები. თბილისი 2005. გვ 48–51
10. ლ. რამიშვილი. მედიის შესახებ. [http://www.liberty.ge/geo/menu\\_pages\\_full.php?article=yes&id=106&subTitlesId=29&from=subTitles](http://www.liberty.ge/geo/menu_pages_full.php?article=yes&id=106&subTitlesId=29&from=subTitles)
11. მ. მაცაბრიძე. პოლიტიკის მედიატიზაცია და მედიატექნოლოგიები. ჟურნალი – ბიზნესი და მენეჯენტი. #3(23), 2009
12. ჟ.კ. ბერტრანი. მედია, ეთიკა და ანგარიშვალდებულების სისტემები . თავისუფლების ინსტიტუტი. 2004.
13. სამოქალაქო საზოგადოება: შედარებითი ანალიზი. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა.
14. М.М. НАЗАРОВ „МАССОВАЯ КОММУНИКАЦИЯ И ОБЩЕСТВО“ 2004

## რეზიუმე

საქართველოში მიმდინარე რეფორმების დღის წესრიგში დგას დემოკრატიზაციის პრინციპზე დაფუძნებული მმართველობის უზრუნველყოფა და სწორედ ამიტომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სოციალურ ინსტიტუტს, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოს განვითარებას ამ მიმართულებით. დღეს მასმედიას აკისრია სოციალური პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშეც, რაც საკუთარი უფლებების რეალიზებასთან ერთად საზოგადოებრივი ვალდებულებების გააზრებასაც გულისხმობს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყნებში მედიის სოციალური პასუხისმგებლობა მყიდვია, რაც გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური გარემოებებითაა განპირობებული. სტატიაში წარმოდგენილია მასმედიის სოციალური პასუხისმგებლობის თეორიის ძირითადი ტენდენციები და მიმართულებები, აგრეთვე განხილულია მისი განხორციელების ხელშემშლელი ფაქტორები.

## S U M M A R Y

### MASSMEDIA AND SOCIETY

**Nino Shoshitashvili Sociology Ph.D.**

Associate Professor of Grigol Robakidze University

**Khatuna kacharava Sociology Ph.D.**

Associate Professor of Grigol Robakidze University

During the ongoing reforms in Georgia, ensuring the governance, based on democratic principles is the order of the day. That is the reason why mass information sources represent one of the most essential social institutions, contributing to development of state in the following direction. Nowadays media holds social responsibility, and along with realization of its own rights, it includes sharing social obligations as well. It is worthy to mention that countries with new democracies, the social responsibility of media is fragile, which is caused by certain objective or subjective reasons. The article represents basic tendencies and directions of Theory of Social Responsibility, also reviewing contributing and impending factors.